

II 61002 4-9

# ԱՅՅՆՈ ՕՆՈՒԹՅՈՒՆ

9

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ  
(1890-1891)

ՅՅՈՒՆԻՆ  
1940

# ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოფილთვიური ორგანო

12 797

9



სახელმწიფო გამომცემლობა  
ტფილისი  
1940 წელი. სექტემბერი.

## შინაარსი:

<b>მხატვრული ლიტერატურა</b>	83
მარია ბარათაშვილი—ბალადა პარტიზან ქა- ლიშვილზე . . . . .	3
კოტე ხიმშიაშვილი—ჯონქა ხორნაული . . . . .	5
შ. ლონლაძე — გულს გული იცნობს . . . . .	20
ივანე ფანჯიკიძე — დაბრუნება . . . . .	27
ასლან ყოჩიაშვილი—ვარდის ციხე . . . . .	38
გიორგი ქავთარაძე — ქარი . . . . .	40
<b>კრიტიკა</b>	
დავით კასრაძე—ლიტერატურული შენიშვნები . . . . .	41
იაკობ ბალახაშვილი — გრიბოედოვი საქართვე- ლოში და ნინო ქავჭავაძე . . . . .	45
<b>ლიტერატურული კალენდარი</b>	
ვლადიმერ ჯიბუტი—პიერ-ჟან ბერანჟე . . . . .	58
შალვა გოწალიშვილი — დიმიტრი ზაქარაიასძე ბაქრაძე . . . . .	61
<b>ბიბლიოგრაფია</b>	
გ. მეზუკე—დავით სულიაშვილი . . . . .	63

---

სარედაქციო კოლეგია: ასტვაცატურკოვი ვრემია, ბენაშვილი დი-  
მიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვი-  
ლი სერგო, ძინაძე ლეო, შენგელაია დემნა, ჩიქოვანი სიმონ.  
პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აგიაშვილი

---

---

წარმოებას გადაეცა 18/IX-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-40 წ. ქალ. ზომა 72×108.  
უურნალის ზომა 7×11½. ფორმათა რაოდენობა 4. შეკვეთის № 1537. შპ 3766. ტირ. 2000.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, უორესის ქ. № 5.

# მხატვრული ღიბარატურა

მარია ბაკათაშვილი

## ბალადა პარტიზან ქალიშვილზე

თითქო ქარს დარჩა ის მხარე და ის ბნელი ღამე,  
ისე აიშვა, აშფოთდა და ბრაზით ატირდა...  
ხან სოფლის თავში ჩამორეკდა გუმბათზე ზარებს  
და ხან ზუზუნით გაწვებოდა ვოლგის ნაპირთან...  
დასცხო, აიკლო ბანაკი და თეთრი კარვები,  
აღარ ინდობდა ხეებსა და სახლის სახურავს...  
სოფელს მიუხტა, შეუმტვრია გიჟმა კარები,  
შეუმტვრია და გულმოსულად ეკვეთა ბუხარს...

ასე—ქარივით მტერი უტევს ვოლგის ნაპირებს,  
სადაც წითლები ამასწინათ დადგნენ ბანაკად!  
მტერი სოფლების გადათელვას ისევ აპირებს...  
ზევადა მოეჭრა ამ ალაგს და აქვე გამაგრდა.  
იგი დიდია... ურიცხვია თეთრების ჯარი,  
ურიცხვი არის, ვერაგი და დაუნდობელი;  
მოდის სოფლებზე ხმალაწვდილი, ცეცხლით და ზარით...  
აურაცხელი — წააწვინა ველზე ძმობილი...  
მაგრამ აქ წითლებს ვერ დასძლია, ვერა და ვერა  
(თითქო ბანაკი უძლეველი ლომის ბუდეა!!)  
დღეს უფრო ცხარედ გაიბრძოლა მოსულმა მტერმა:  
ასტყდა, გაცოფდა, აიწყვიტა და შეუტია.  
დღე—გულგამსკდარი მიიმალა ბინდში განწირვით...  
ასე—ქუხილში გადიოდა ბნელი ღამეცა.....  
პარტიზანები მტერს ხედებოდნენ, როგორც არწივნი,  
ბევრი აკვნესდა, მაგრამ მტერი მეტი დაეცა.  
თითქო, გალომდა თვითეული პარტიზანელი  
და ზღაპრულ გმირად გადაიქცა მათი სარდალი,  
ხმალგატეხილნი მტერს უტევდნენ ხელით, დანებით...  
იღვა ქუხილი, ყიჟინა და კვნესა საზარი.

როცა გვიანმა გარიჟრაჟმა მიწას დახედა,  
თვალი ასტკივდა და ცრემლებით იგი გაჰბანა...  
ქარი მიყუჩდა, შიშველ ხეებს აღარ არხევდა...  
მტერი — ძლეული შორდებოდა წითლების ბანაკს.  
ბევრი დასტოვა მან ვოლგასთან გულგანგმირული,  
მაგრამ გულფიცხი პარტიზანიც ბევრი დაეცა...  
უკვირდა სოფელს ვაჟკაცების ბრძოლა გმირული...  
მტერს გაქცეულსა, ქარს ჩამდგარს და დაბინდულ ზეცას..

ძვირად დაუფრდათ ის ღამე და ის გამარჯვება:  
უკეთეს ვაჟკაცთ დახუჭული დარჩათ თვალები,  
ბევრმა შესწყვიტა გულმა ცემა, ფეთქვა მაჯებმა,  
ვერ გაიხარებს მნახველი და სახლის კარები...  
მათი სარდალიც გმირთა-გმირი და ის ყმაწვილი  
ერთად დაეცნენ, აღისფერად შეღებეს მიწა..  
გაყინულ სარდალს მოჰხვევია მძიმედ დაჭრილი.  
მოჰხვევია და თითქო ახლაც მტრისაგან იცავს...  
მივარდნენ სარდალს... — უიმედო გამოდგა შველა,  
მივარდნენ ყმაწვილს, გადაუხსნეს საკინძი ფრთხილად...  
გაოცდნენ (თითქო შეშინდაო მათგანი — ყველა:)  
ქალწულს თეთრ მკერდზე აღისფერი გაჰკროდა ღილად.  
ტკივილით თართოდა მკერდდაჭრილი ქალი-ლამაზი,  
ფერი გაჰკროდა მტრის მახვილით ასე ნაწამებს...  
ახილა თვალი, გაიღიმა თითქო თავაზით  
და დილის შუქი შეაფინა აწლილ წაშწამებს...  
უთხრათ: „მშვიდობით, დიდ გაზაფხულს მე ვეღარ ვნახავ,  
ამ სიცივეში ჩავექრები და დავიმარხები...  
მივდივარ თქვენგან და შე მინდა იცოდეთ ახლა...  
ჩემი სახელი.. მარინაა ჩემი სახელი...  
ცრემლი არ მინდა... არ მაწუხებს ტკივილი მძიმე...  
ეს გამარჯვება ცისკარივით მისდევს გონებას...  
ხანი გაივლის, ამ ადგილებს დაჰხედავს ვინმე  
და გაზაფხულზე მეც სითბოთი მომიგონებენ.  
სარდალი, ალბათ, აქ ჩაწვება, ვოლგის ნაპირას,  
მე კი მინდოდა... ჩამიხვიონ გოჟმა ტალღებმა...  
ჩვენ გავიმარჯვეთ... მე — ზვირთებში ვიპოვი ბინას-  
წყალმაც ხომ იცის... გატანა და... ფიქრის გაგება“...

## ჯონა ხორნაული\*)

ბამზირზე

სალამობით რუსთაველის გამზირი იერს იცვლის.

გაჩირადნებული ვიტრინები შენობებსა და ფილაქნების გასწვრივ დარგულ ახალგაზრდა ხეებს განსაკუთრებულ, საზეიმო ელფერს აძლევენ. ვიტრინების ბრწყინვალეობა ხის ტოტებს ისე ახალისებს, თითქო ფოთლებზე განთიადის სხივი ელამუნებოდეთ და ქვებით შებოჭილ ფესვებსაც მდინარის ტალღები ურეცხავდეთ შავი ასფალტის მაგივრად. ავტოების თვლებით მოლიპული ასფალტიც, შუა გამზირზე მძივად გაბმულ ელნათურების ანარეკლით, ბუნდოვნად დაიწყებს ზოლმე კრიალს, მოდიდებულ, წყალსავსე მდინარესავით.

შენობების ზევითა სართულებსაც გამვლელებისთვის ინტერესი ემატებათ. თვალდათხრილ, ცხრათავიან დევივით იყურება დღისით რუხი ქვის უზარმაზარი სახლი, ან ისე მოუჩანს თეთრფარდიანი სარკმლები, თითქო თვალებზე ლიბრი გადაჰკროდეს; საღამოთი, ბნელში, შენობები კიდევ უფრო მაღალნი და მძიმენი სჩანან, მაგრამ განათებული სარკმლები სიღრმეს აძლევთ და მეტ ადამიანს უბრუნებს, როგორც უკაცურ მღვიმეს — შიგ დანთებულ კოცონის შუქი. ფანჯარაში ქუჩიდან ხედავ როგორ ირხევიან ჩრდილები ოთახის კედლებზე, უცნაურ ფორმას იღებენ, ჭერამდე აღიმართებიან უეცრად, ფანჯრის ჩარჩოს უახლოვდებიან და სწრაფადვე ჰქრებიან. იღუმალად და საინტერესოდ მოგეჩვენება უცნობი ოჯახის ჩვეულებრივი ცხოვრება.

ელნათურების ანთებისთანავე გამზირზე საქმიან ნაბიჯებს ვეღარ შეამჩნევ — ფილაქნები ივსება მოსეირნე ხალხით.

თავისებური, კმაყოფილი და ალტკინებული სახეები აქვთ ამ მოსეირნეებს, გეგონება ყველაზე უკეთესი ადგილები დაეჭიროთ ღია ესტრადასთან. უთუოდ ეს სახეები უნდა უწყობდნენ ზელს იმ საერთო, უქმ გამომეტყველებას, რომელიც რუსთაველის გამზირს ეუფლება საღამოობით. ხალხი ქალაქის ყოველი კუთხიდან მოისწრაფვის აქეთკენ, თითქოს სანახაობა რამ ეგულებოდეთ. და ოპერის თეატრიც, თავისი უცხო კონტურებითა და კვიპაროსების თაღნი სილუეტებით, აღმოსავლური ზღაპრის დეკორაციასავით დგას მაყურებლის წინ, ტფილისის ლურჯი ხავერდის ფონზე.

\*) გაგრძელება. „ჩენი თაობა“ № 8.

ხალხი აუჩქარებლად დასეირნობს; ვიტრინებთან, ხეებ ქვეშ ან პირდაპირ შუა ქვაფენილზე, დგანან ჯგუფებად, ხმამალა მასლაათობენ, გახეთებს აფრიალებენ, გამვლელებს შესცქერიან. ქავეჭავაძის ქუჩის კუთხიდან რომ გახედოს ტფილისში პირველად ჩამოსულმა კაცმა — დიდი ბაზრობა აქვთო, იფიქრებს.

ამ ადგილიდან თანდათან მატულობს ხალხის სიმჭიდროვე. ზოგჯერ სამიოთხი ახალგაზრდა ერთად მოდის ზელიხელ გაყრილი, გზას არავის უთმობს, სხვა ჯგუფს გადაეყრება სადმე, უნებურად ქეშად წაეა მათი მწკრივი და რამდენიმე წუთით ზურგების კედელი იქმნება, ველარაფერს დაინახავ.

აქა-იქ, ხის ძირებთან, ფილაქნის ამალლებულ კიდევებზე დგანან, აქედან ადვილად შეიძლება ყველა გამვლელის დათვალიერება. ხისქვეშ მდგომთ მხოლოდ თეატრალური ბინოკლებილა აკლიათ, თორემ ისე ყოველმხრივ, სულისკვეთებითა და ქცევითაც, სპექტაკლის მაყურებლებს წარმოადგენენ, რადგან...

არსებობს სიმფონია:

ტრამვაის ბორბლების ჭრიალი ლიანდაგზე, — მიწას ჩასწვდება ეს ხმა, ჩასწვდება და მის გაბრძოლებას ფეხის გულეზიც იგრძნობენ; მუხრუჭების ტკაცანი; ზარის ხმაური; ნიავეით წამოსული ჩუმი სრიალი მსუბუქი ავტობუსისა; საბარგო მანქანების გუგუნნი, შერყეულ სატვირთოების ჯაყჯაყით; სხვადასხვა ტონის გამაფრთხილებელი საყვირები; მოტოციკლების რბენა, განუწვეტელი აფეთქებით; ველოსიპედის გაუბედავი, უფლებამოკლებული წკრიალი; ამათ თან ერთვის: გაზეთის გამყიდველთა ძახილი, გრილი სასმელებით მოვაჭრე ფარდულების ჩოჩქოლი. ზოგჯერ, — მილიციელის სტვენა.

ყველა ამ ხმებში ჩაქსოვილია და შეუმჩნეველი გამვლელთა ნაბიჯები — ლეიტმოტივი დედაქალაქის მთავარი ქუჩის დიდი, დინამიური სიმფონიისა.

მანქანებისა და ნაბიჯის ხმაურით შექმნილ მუსიკაზე სრულდება ყოველდღიური, მოფუსფუსე ცეკვა. და ამ სიმფონიას ყვანან თავისი მუდმივი მსმენელები, ბალეტს — მუდმივი მაყურებლები.

დილიდან გვიან ნაშულამევაძედე, ვიდრე მეეზოვეები დაიწყებდნენ დაცარიელებული ქუჩების დაგვას, დადონ ისინი აქ და სცვეთენ ფილაქნებს. რუსთაველის ძეგლიდან მთავრობის სასახლეამდე, ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში შეხვდებით მათ. კოკისპირულ წვიმაშიც, რომელიმე შესასვლელთან თავშეფარებულნი, ინტერესით გასცქერიან ასფალტზე წყლის შეფებით გაჩენილ უთვალავ მერცხლებს, დასველებულ ქალიშვილებს და ქოლგიან, ძველებურად ჩაცმულ მამაკაცებს.

მრავალი ბალია ქალაქში, ლამაზი სანაპირო, ნარიყალა, თბილისის ფიქრიანი შუბლი — მთაწმინდა. მაგრამ არც ერთ მათგანს არა ჰყავს იმდენი მულდმივი, განუყრელი მეინახე, რამდენიც რუსთაველის გამზირს. უცნაური შეჩვევა სცოდნია ამ დალოცვილ ალაგს. ვინც ერთხელ მაინც სოლოლაკიდან ვერის დაღმართამდე გაჰყვება ნელი ნაბიჯით, შემობრუნდება და ისევ ჩაივლის ბოლომდე — მორჩა, იგი სამუდამოდ მოჯადოვებულია. შემდეგ გული სულ აქეთ მოუწევს, მთელი ქალაქის მოძრაობა აქეთკენ ეზიდება, მორევით ითრევს. ღვინის სმას მიატოვებს კაცი, თამბაქოს დასთმობს, სიყვარულსაც დაივიწყებს,

მაგრამ გამზირს კი ვერ მოშორდება, სიბერემდე გაჰყვება რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება.

თბილისის რამდენ მოქალაქეს არ შეუძლია ისე დაიძინოს, თუ ერთხელ მაინც მწუხრისას, ან თუ გინდ შუალამისას ნელი ნაბიჯით არ ჩაიარა რუსთაველის გამზირზე. რამდენი ეშვება ნავახშმევს მთაწმინდიდან და სოლოლაკიდან, რათა ძილის წინ აუცილებელი, ჩვეულებად ქცეული მოციონი შეასრულოს — გაიაროს გამზირზე და ნაცნობებს თავი დაუკრას. სამსახურიდან, სხდომიდან გამოსულნი უთუოდ ერთხელ მაინც გაჰყვებიან გამზირს სახლში წასვლამდე. ზაფხულობით ზოგი თბილისელი აგარაკიდან ორიოდ დღით ჩამოვა ხოლმე პაპანება სიცხეში, რათა რუსთაველზე გაიაროს, გული დაიმშვიდოს. აქ მოსეირნენი ხშირად პირადად არ იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ ისე კი დავწვრილებით იციან ურთიერთის ავკარგი და გამზირზე შეხვედრისას თვალეზით ესალმებიან. თუ რომ ვინმე მათგანი რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოჩნდა, ყველა შეშფოთებით კითხულობს — მავანი კაცი თუ ქალი სად არის, ხომ არაფერი მოსვლიაო. ხოლო როცა ხანმოკლე შევბუღების შემდეგ ისევ ჩაიარს გამზირელი, მას აღერსიანი, მაგრამ უსიტყვო ღიმილით ეგებებიან ნაცნობებიცა და უცნობებიც.

აქ სიარული ავადმყოფობად იქცევა ზოგიერთისთვის, სხვა საქმე აღარ გამოუდით, გულისყური ეკარგებათ. ბევრს კარგად ესმის, რომ ამ უწყინარმა სეირნობამ შეიძლება სამუდამოდ უქნარა — შარახვეტია გაგხადოს. მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს აღმოაჩნდება მტკიცე ნებისყოფა საკუთარი ხასიათის გარდასაქმნელად. ორი თაობაც უნახავთ გამზირზე, დედა და ქალიშვილი; ისინი ერთმანეთს უბღვერენ, ემალებიან, უძრახავენ აქ სეირნობას, მაგრამ მაინც ვერ მოუშლიათ და თვალს არიდებენ ერთმანეთს, ვიტრინებში იხედებიან შეხვედრისას. უფროსი ძმა ხშირად საცემად დასდევს უმცროსს, არ აყენებს გამზირზე, სახლისკენ ერეკება, მაგრამ ჭაბუკს უღვაშის აყრასთან ერთად ასტყდომია აქ სიარული და ძმაც დალაქივით ველარას უშველის, საღამოთი მაინც გამოჩნდება დილით მოპარსულ უღვაშივით.

რამდენი სტუდენტის ცოდვა აქვს ამ დალოცვილ ალაგს, რამდენი პოეტის, მხატვრისა თუ მუსიკოსის. ბევრი მფრინავი რითმა დახარჯულა აქ, ბევრი ექსპრომტიც უთქვამთ, მთელი სიმფონია ხმადაბალი სტვენით გადმოუკრიათ ხისძირას. არიებიც ჩაუღლინებიათ გოგონების გასაგონად. მაგრამ გამზირს ერთი დიდი ტალანტიც არ გაუზრდია ჯერ, თუმცა გენიოსის სახელს კი ატარებს. წიგნის მალაზიებსა და თეატრების წინ მოსეირნე ახალგაზრდობა ერთნაირი აღტაცებული და ცინიკური ტონით საუბრობს ოპერის მსახიობზე, ცივ ლულზე და არქტიკულ ექსპედიციებზე. მაგრამ ისინი ისევე ღრმად სწვდებიან საგნებს, როგორც ვარსკვლავების ცქერით მეოცნებე შეყვარებულები — ციურ მექანიკას.

გამზირელები რამდენიმე ჯგუფად უნდა დავყოთ. ზანშესულთა და მანდილოსანთა უმრავლესობა დღელამეში ერთჯერ გასეირნებით კმაყოფილდება; იქნებ საოჯახო ან სხვა საქმეები უშლით. ქარებით შეპყრობილი მოხუცები მხოლოდ კარგ ამინდში დაბაკუნებენ. ნახევრად დამბლად აცემულებიც კი კვირადღით მაინც ახერხებენ ყავარჯნით ჩოჩიალს. ახალგაზრდების ერთი ნაწილი



აქ ატარებს მთელ თავისუფალ დროს. მათთვის გამზირზე სიარული ყველაზე კარგი გასართობია და დასვენება. მეორე ნაწილი მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა სხვაგან ვერსად წასულა, როცა საღამო დაკარგულია, მოწყენისთვის განწირული, უსაქმო დროის მოკვლაა საჭირო. დასასრულ მესამე ნაწილი მუდამ გამზირზე იყო და ჯონქასთვის აქამდე გამოცანას წარმოადგენდა—როგორ ახერხებდნენ ისინი ამ ამბავს.

ეს უკანასკნელი კატეგორია უთუოდ სულიერი მემკვიდრეა „ლაღობის რიგის“ საზოგადოებისა,—გალარიბებული, ლაზღანდარობას გადაყოლილი თავდაზნაურობისა და ჩინოენიკობის. საუბედუროთ იმ ადგილას სკამები აიღეს და დილიდან-საღამომდე ფენზე დგომით ძალაგამოლეული გამზირელები ახლა იძულებულნი არიან პირდაპირ ქვებზე ჩამოსხდნენ. ეს ნაწილი გამზირელებისა შედარებით მცირერიცხოვანია. მათი გამოცნობა უფრო შარვლის ტოტებით შეიძლება—მუდამ ნელი ნაბიჯის სიარულისგან გრძელი შარვლის ბოლოები შემოცვეთილი აქვთ ფილაქნების ხვეტით; ძაფები მოუჩანთ. დღემუდამ ნახევარკილომეტრიანი ბოლთისცემით ზოგს იმდენი მანძილი აქვს გავლილი, პირდაპირ რომ ეარა მაგელანს დაჩრდილადა. საერთოდ გამზირელის გამორჩევა კი სხვა ახალგაზრდებისგან ძნელია, უტიფარი გამოხედვითა და ძალზე თავდაჯერებული ქცევით თუ განსხვავდება მხოლოდ.

გამზირელი თავის ნებით ქალაქს აროდეს დასტოვებს დიდხნით, ხოლო თუ ბედმა უმუხთლა, ბარათს „მოთხოვნამდე“ უცნაური მისამართით აგზავნის: „რუსთაველის ბიჭებს“. სულაც რომ არ უჭრიდეს კალამი, მაინც მიახვედრებს, თუ რარიგ ნაღვლობს გამზირზე, სხვაგან მისთვის ცხოვრების სიყვარული ამაოა, როგორც სამრეკლოზე შემომჯდარ ყვავისთვის სააღდგომო ზარების რეკვა.

ჯონქამ ჭავჭავაძის ქუჩასთან ნაბიჯს დაუკლო, თავისუფალი ხის ძირი მონახა და გაზონის ნაპირას, ფილაქნის კიდზე შედგა. აქედან ადვილად შეიძლებოდა ყველა გამვლელის შემჩნევა.

განუწყვეტილ და აუჩქარებლად მიედინებოდა გამვლელთა ნაკადი. ახალგაზრდობა სჭარბობდა, მაგრამ შეჭალარავებულიც ბევრი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნაწნავებიანი გოგონები და ყვინჩილებივით წამოზრდილი, ხმა-გაბოხებული ბიჭები. შუაში, ჩვეულებრივ, ორი-სამი გოგონა მიდიოდა მკლავგაყრილი, წინ, უკან და ორივე ფრთებზე კი ბიჭების გუნდები მისდევდათ საბრძოლო დაცვასავით; ისინი ამაოდ ცდილობდნენ უკვე დაქალაქულ ტოლებთან თავი ღირსეულად დაეჭირათ; ბევრს უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი ტანსაცმელი ეცვა და ჯუჯა-კაცს ჰგავდა დაბამბული მხრებით, ზოგსაც უღვაშები მოეშვა მეტი სერიოზულობისთვის.

ერთმა, შედარებით მაღალმა მოწაფემ, არიერგარდში მომავალმა, შორიდან შენიშნა ვიღაც კაცი, რომელსაც ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ბიჭი მკვირცხლად შემოტრიალდა, თავში ჩააფარა ამხანაგს და იყვირა:

— ცილინდრი!

ერთ წუთს გოგონების გარშემო საშინელი ცემა-ტყევა გაჩაღდა. აქამდე დინჯად მიმავალი ბიჭები სწრაფად შეჯგუფდნენ, მთელი ძალღონით სცემდნენ ერთმანეთს თავში და გაიძახოდნენ:

— ცილინდრი, ცილინდრი... — თან ისე უმიზნებდნენ მოპირდაპირეს, თითქო მის თავზე დახურული ცილინდრის ჩაქყლეტა უნდოდათ. ეს ამბავი მანამ გრძელდებოდა, სანამ კაცი, რომელსაც ფარფლებიანი ქუდი ეხურა, თვალს არ მიეფარა. შემდეგ ბიჭები დაწყნარდნენ, შუბლზე ჩამოფხატული ქუდები გაისწორეს და თავში ცემისაგან შეწითლებულნი და კმაყოფილნი იმით, რომ ასე გაამასხარავეს უცნობი, სიცილით დაეწივნენ წინწასულ გოგონებს.

ჯონქა გულგრილად შესცქეროდა ამ ამბავს, მსგავს სანახაობას ხშირად შეხვედებოდი გამზირზე. მან ისევ გამვლელებს დაუწყო თვალთვალი. დღეს კიდევ შედარებით ჩვეულებრივი მოძრაობა იყო, უკმ დღეებში კი გამზირზე ქდევია, ნაბიჯს ველარ გადასდგამ: ქრელთავსაფრიანი შინამოსამსახურე ქალები და მათი აშიკები პირამდე ავსებენ განიერ ფილაქნებს; ქვეები იკაწრება და-ლურსმული ქუსლებით, ჰაერში ტყავისა და მარწყვის საპნის სუნი ტრიალებს; ზოლო ნაშუალამეუს მეფხოვეები საბარგო მანქანით ეზიდებიან მზისუმზირის ჩინჩოს.

ფიქრებში გართულ ხორნაულს მოულოდნელად, ზურგს უკან ისეთი სისინი მოესმა, თითქო ამ შუა ქალაქში, ოპერის წინ, ლერლეტი გაეშვათ ქუქულებიანათ. ჯონქამ მიიხედა და დაინახა, რომ კიკა, თავის ძვირფას პალტოში გამოწყობილი, ფილაქნის მეორე მხარეს იდგა და ხელს უქნევდა. ხორნაულს არც თუ ძალიან ესიამოვნა მეგობრის შეხვედრა, რადგან შემდეგ მისი თავიდან მოცილება ადვილი საქმე არ გახლდათ; მაინც ანიშნა თითონ მოსულიყო.

— ნამეტანი ადრე გამოგიზაფხულებია, ჯონქა ჩემო, — მიაძახა კიკამ მოახლოებისთანავე. მართლაც, დღეს ხორნაულს სულმა წასძლია, თავი დაირწმუნა, რომ თბილი საღამო იყო და პალტო აღარ ჩაუცვამს, — ახალი კოსტიუმით გამოვიდა გარეთ.

— რა უშავს, მე არ მცივა, შენ იკითხე, რომ მალე დაგცხება და პალტოს მაინც ვერ შეეღვევი.

— ელოდები ვინმეს?

— არა.

— ისე მიმალულხარ ხის ქვეშ — პაემანი უნდა გქონდეს დანიშნული.

ჯონქა მართლაც ელოდებოდა. მანანა დღეს არ მოვიდა ლექციებზე და ჯონქას იმედი ჰქონდა, რომ ქუჩაში მაინც შეხვედებოდა სადმე.

— წავიდეთ, გავიაროთ, — სთქვა ხორნაულმა იქვის გასაქარვებლად.

სტუდენტები ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ გამზირს. ხალხი თანდათან მატულობდა. ასეა ღამის ათ საათამდე, შემდეგ დროდადრო ტალღებად გადაივლის კინო-თეატრებიდან გამოსული წყვილები; პირველი საათის მერე კი შემთხვევით გამვლელთა გარდა, მხოლოდ გამზირელთა მუდმივი კადრი — „რუსთაველის მორიგეები“ სეირნობენ. კიჭას მოუსვენრად ეჭირა თავი, ყველა ქალს ათვალისკვამდა თავიდან-ფეხებამდე, თუ განსაკუთრებით მოეწონებოდა როშელიმე — შესდგებოდა და ისე გააყოლებდა თვალს. ამ საქმით გართული ერთი-ორჯერ მთელი ძალღონით დაეჯახა გამვლელებს, მაგრამ ბოდიშის მოხდა არ მოგონებია. ერთგან შიბზიკა და კიტი ნარდიშვილი შემოხვდათ. შიბ-

ზიკას მჭიდროდ ეჭირა. მკერდთან ქალის მკლავი და ატაცებულ. შეწყობილი ნაბიჯით მიდიოდნენ ორივენი.

— ოჰ, რა ქალია, — სთქვა კიჭამ, — რა ადგი-გოგდი სიარული აქვს... მაგას რომ ცოტა კიდევ სიმსუქნე მისცა...

— კარგი ერთი, ყინჩო, მეტი რაღა გაასუქებს, კაბა ზედ ასქდება.

— მაშ ისეთი ცოლი რად მინდა — ხუთ ფუთზე ნაკლებს იწონიდეს. სქელი უნდა იყოს, ბამბასავით თეთრი, შვიდი შვილი გვერდით ჰყავდეს და მაინც პატარძალსა ჰგავდეს.

— ცოლის შერთვას ხომ არ აპირებ კიჭავ?

— არა, ჯერ აღრეა, მაგრამ მაგისთანა გოგო რომ შემხვდეს და თანაც ბინა ჰქონდეს ტფილისში — უარს არ ვიტყოდი.

— მაგ ამბავს ერთ დროს მეშხანობას ვეძახდით, თუ გახსოვს.

— ეჰ, მეც მინდა კარგი ცხოვრება, სხვებზე ნაკლები ბიჭი ვარ?..

— სიყვარული, კიჭავ, სიყვარული?

— შევიყვარებ.

— ძალით, ბინის გულისთვის?

— რატომ ძალით, თუ მანჩხი იქნა — ნახევარი ტფილისიც რომ მზითვად დაულოცონ, მაინც არ წავიყვან.

— სიყვარული ხომ სილამაზეზე არა ჰკილია.

— იჰ, გააწყალე გული, ქალი თუ მომეწონა და საქმე გავიკეთე — შევიყვარებ კიდევ.

— ჯერ საქმეს გაიკეთებ და მერე შევიყვარებ?

— მაშ წინასწარ? არა, გენაცვა, მე ეგ ერთხელ უკვე მივქარე, მაშინ ჯერ პატარა ვიყავი, თორმეტი-ცამეტი წლისა. ოთხ-გვერდიანი წერილი გავაქრელე და სატრფოს წიგნებში ჩავუღდევი. იმან კიდევ აიღო და მასწავლებელს უჩვენა.

— მერე?

— მერე და სახლში ყური ამიწიეს, სკოლაში ბავშვები დამცინოდნენ. მეც დავუხვდი ორლობეში და გემოზე მივსტყვიე. ამით დამთავრდა ჩემი პირველი და უკანასკნელი რომანტიული გატაცება.

ბორჯომის წყლით სავაჭროსთან გამზირლების მოზრდილი ჯგუფი იდგა და სიცილით იყურებოდა მინის კედლის იქით, მომცრო მაგიდებთან დამსხდარ ხალხისკენ. კიჭამ ჯონქას მკლავში ხელი ჩაავლო.

— მოიცა, აქ რაღაც ამბავია.

ეს ადგილი მაკლერების საპაემანოდ იყო განკუთვნილი. ვრცელ, სინათლიან დარბაზში, თეთრი მარმარილოს მაგიდებთან, ორ აბაზად შეიძლებოდა მთელი საღამოს გატარება. ბორჯომის ხეობის მწვეანე პეიზაჟები, კედლის სარკეები და სუფთა ხალათებში გამოწყობილი მოსამსახურე ქალები მყუდროების ილუზიას ჰქმნიდნენ. შექალაქებულ საზოგადოება წყნარად საუბრობდა. აუჩქარებლად მიჰქონდათ ტუჩთან ნახშირმყავა აირის ბუშტულებით სავსე ჭიქები, შეუმჩნევლად იზოგავდნენ წყალს, მხოლოდ უღვაწებს ინამავდნენ ზედაპირზე გაჩენილ შხეფებით. აქ შეხვდებოდით ძველ ჩოხას, საქილე-ცარიელსა და უქამროს, ბოსტნის საფრთხობელასავით წამოცმულს გა-

ძვალტყავებულ მოხუცის მხრებზე; ნახავდით ლაბაზშემხმარ ნასოფერადგარალს, მაღალი კარტუზით; ხავერდის საყელოიან პალტოს, ნაზამთრი თავვისფრად ქცეულს ჟამთავითარებისაგან. უმცირეს ყლუპებად სწრუპავდნენ სასმელს, ხნადაბლა დალალობდნენ, კიდევ უფრო ხნადაბლა მსჯელობდნენ პოლიტიკურ აზრებზე და ერთმანეთისაგან სამ მანეთს სესხულობდნენ „ხვალდილამდე“.

გამზირლები შეჩოჩოლდნენ, როცა ვანაპირა მაგიდიდან ვილაც ჭილის ქუდიანი, ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი წამოდგა და კარებისკენ გაემართა. მას ძლიერ შავი, მბზინავი მოკლე წვერი ჰქონდა და სქელი, თავუკულმა დაწერილ მძიმეების მსგავსი ულვაშები. ქუჩაში გამოსვლისთანავე ერთი გამზიოელი გადაუდგა წინ და ღრმა სალამი მისცა. შევწვეროსანს კარგად არც კი შეუხედავს მისთვის, სწრაფად მოუხადა ქუდი და უცნაური თავი გამოაჩინათივითკივით თეთრ თმაზე აქა-იქ მოყვითალო და ჟღალა ლაქები აჩნდა, დაუმწიფარ წაბლივით იყო აჭრელებული. წვერულვაში კი კარგად შეეღება უთუოდ, ყორნის ფრთასავით შავად უმჭვინვარებდა. გამზირლებმა იხუვლეს და შორიახლო, ნახევარწრედ შემოერტყნენ.

— ციცუნია კატო, ეგრე რამ დაგხატაო... — დაიწყო ვილაცამ.

— ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ვარდისფერია... — აპყვა მეორე.

ჭილის ქუდიანი დაიბნა, ალბათ უნდოდა წაეყრუებია, ჟილეთის ჯიბიდან ძეწკვიანი საათი ამოიღო და საქმიანად დახედა.

— ჭრელავ, ცრუჭაბუკო, — დააყარეს გამზირლებმა, — თექესმეტი წლის რომ შეიქმნა ულვაშები დაიმშვენა...

ჭილის ქუდიანი გაწითლდა, აკანკალებული ხელით ძლივს მოახერხა საათის უკანვე შენახვა. შემდეგ უეცრად, თავდახრილი გამოქანდა საარჩოლად წამოსულ მოხვერივით, ხალხი გაარღვია, პირდაპირ ყვავილნარი გადასჭრა აჩქარებული ნაბიჯით და ისე გავიდა ასფალტზე. გამზირლები უკან აედევნენ.

— ჯეელო!.. — მისძახოდნენ და თან ხარხარებდნენ თავშეუკავებლად, — გენაცვალე ქორფა წვერულვაშში...

— რა მადლიანად უკივლეს... — სთქვა კიჭამ და სიცილისაგან თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. ჯონქას შეეცოდა კვიმატი მოხუცი, იგი გამზირის მეორე მხარეზე გადასულიყო და გაღმიდან ჯოხით ემუჭრებოდა ვილაცას.

— გააპამპულეს კაცი..

— ეგრე ურჩევნია, რატომ ჩვენ არ ვინ გვიკვივის. ბარემ თმაც კარგად შეეღება ოჯახქორს.

— შენ რა ძალიან იცავ ამ გამზირლებს.

— შენ კიდევ ზედმეტად სერიოზულობ. ვინც აქ დადის ყველა უჭკუო ნუ გგონია.

— არა, აქ მე და შენც ხშირად დავდივართ.

— ჰო და მითუმეტეს. ტფილისში თუ გამზირლები არ გიცნობენ — კაცადაც არ ითვლები.

ჯონქამ გაიფიქრა, რომ ზოგნი, პროვინციიდან ჩამოსულები, სწრაფად ითვისებდნენ ამ დებულებას და დიდის გულმოდგინებით სცდილობდნენ ყოველ-

მხრივ წაებაძათ ქალაქელებისთვის. ჯერ ზოგაბარკს ნახადენენ და შემდეგ გამ-  
ზირს მოაშურებდნენ. მათი მონდომება იმდენად დიდი—სითამამე სიტუტუტუცედ  
გამოსდით, პურმარილიანობა — მფლანგველობად. მეორე დღესვე გაიკრეჭენ  
კეფას, ქამარს მოუშვებენ, რათა შარვალი ცოტათი მაინც დაგრძელდეს, პა-  
პიროსს მხოლოდ ტრამევის ბაქანზე აბოლებენ და გაქანებულ ვაგონიდან ხტე-  
ზიან კისრისტეხით.

სტუდენტები კავშირგაბმულობის სახლამდე მივიდნენ და უკან გამო-  
ბრუნდნენ.

ჯონქას უკვე მეორე დღე იყო მანანა არ ენახა. მხოლოდ გუშინ, ფიქვებ-  
თან გაუმხილა თავისთავს, რომ მანანა უყვარს. მას შემდეგ უეცრად შეიცვალა  
ყველაფერი, ენძელის ავგაროზმა მოსვენება დაუკარგა. უწინ ასეთი რამ არ  
დამართენია; ვითომ სხვათაშორის, მოწყენილობის გამო ჩამოივლიდა ხოლმე  
უნნივერსიტეტს, საჯარო ბიბლიოთეკას, სოლოლაკს და რუსთაველის გამზირს,  
ოპერაშიც შეუვლია ერთი-ორჯერ მხოლოდ იმ მიზნით, რათა მანანასთვის შე-  
ენდნა; მაგრამ მაშინ ასეთი შეშფოთება აროდეს უგრძენია მისი უნახაობით.

დაუსრულებლად მოდიოდა გამვლელთა ნაკადი და ჯონქა უამრავ ლამაზ  
ქალიშვილებში ამაოდ ეძებდა ნაცნობ სახეს. რომელიღაც რესტორანიდან ჯა-  
ზის ჰმა გამოიჭრა, ძლიერი რიტმი წამით სპილენძის ფულებივით გაიფანტა  
ფილაქნებზე და მისწყდა მისურულ კარს აქეთ. ტაქტი მაინც აედევნა გამვლე-  
ლებს, ფეხები აუთამაშა, სტენა დააწყებინა. ახალშეფოთლილი ხის ტოტები  
შეირხნენ, ქალებს საცეკვაოდ აუფრიალდათ კაბის კალთები. იქნებ მანანაც  
ერთობა სადმე. ბოლო დროს ყველგან ცეკვავდნენ, სადაც კი წახვიდოდი. ცე-  
კვავდნენ გატაცებით, თავდავიწყებით, წონაში იკლებდნენ, თავბრუსხვევა, გუ-  
ლისფრიალი ემართებოდათ. სწავლობდნენ ცეკვას საქმიანად, მონდომებით,  
როგორც ქაღაროსნები საღამოს სკოლებში; ფეხებს ამტვრევდნენ ქალებს,  
ოფლში იწურებოდნენ და კიდევ არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ოდესმე მაინც  
ისწავლიდნენ თავის დროზე, ტაქტის დაურღვევლად შემობრუნებას.

ერთ კუთხეში მალალი კაცი, სამხედრო ძახილს მიჩვეული ხმით, მოკლე  
ფრაზებით იუწყებოდა ფეხბურთის მომავალ შეჯიბრის ცნობებს. ირგვლივ  
პატარა ბიჭები და გამელოტებული, ღიბიანი ძიები ეხვეოდნენ, ორ-ორ ცალად  
ყიდულობდნენ მიწაზე გაშლილ ნუსხებსა და პროგრამებს — თავისთვის და  
ნაცნობებისთვის.

ამ ჯგუფს ერთი ახალგაზრდა გამოეყო და წინ წავიდა. ჯონქამ შეკრე-  
ჭილი, მოწითალო კეფით იცნო — რეზო უნდა ყოფილიყო. იგი მძიმედ, თით-  
ქო ქუსლებით მიდიოდა, მხრების რხევითა და ხელების ქნევით. ამ ორი დღის  
წინ, ციხისელისას ყოფნის დროს, ჯონქას არ შეუნიშნავს თუ ის ასეთი მანე-  
რით დადიოდა. რაღაც ხელოვნურობას შეამჩნევდა დაკვირვებული თვალი,  
უნცაური იყო უმუხიკოდ მოცეკვავესავით.

— შეხედე, — უთხრა ჯონქამ კიჭას — როგორ დადის ეს კაცი.

კიჭამ ლოჯები გამოაჩინა.

— ეგეც სხვებივით ერთ ცნობილ ფეხბურთელს უნდა ბაძვდეს. ის მარ-  
თლაც ორგინალურია, უხდება კიდევ, როცა მოედანზე დაძვრება. ამ ქაბუკი-  
სა კი რა მოგახსენო...

რეზო ხეებქვეშ გაჩერებულ ყმაწვილების ჯგუფს შეუერთდა. კიჭამაც მათკენ გაიწია, ნაცნობები იყვნენ. აქ ვილაც ქალის პატიოსნებაზე ჰქონდათ გაცხარებული კამათი. გამზირზე დაწვრილებით იციან ყველა გამვლელის ინტიმიური ცხოვრება და ტულეტიც კი.

— არა, ტფილისში ყოვლად შეუძლებელია დაფარვა. — ამბობდა ერთი, ყველამ იცის დღეს სადილად ვის რა ჰქონდა და სხვა რამეს გამოაპარებ?..

— ვაჰ, გეუბნები, ჩემს მეტს სხვას არვის გაუგია მაგ ქალის ამბავი... —

— ლოთიანად, — გააწყვეტიანა რეზომ, — რა მიამიტად ლაპარაკობ, შენ კი არა, ახლა ქვეყანამ იცის, გინდა ჩვენთან გითქვამს — გინდ გაზეთში ჩაგივლია.

თითქმის ნახევარსაათს დაგრძელდა კამათი. ერთი აცხადებდა, რომ ტფილისის ყველა ლამაზი ქალი აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი, — დანამდვილებით იცის: ვინ ვის ჰყვარობს, სად ეწყობა მათი პაემნები და კმაყოფილნი არიან თუ არა ერთმანეთით. ვითომ სიცრუეში დაჭერა მოუხდომეს, მაგრამ მან მართლაც ისე ზუსტად აღწერა სხვადასხვა წრისა და ასაკის მანდილოსანთა საყვარელი ფერები, გულისპირის ქარგი, მათი შორეული ნათესავების ვინაობა და ახლო მეგობრების კაპრიზი, რომ ზოგი განცვიფრებული დარჩა, ხოლო დანარჩენები, უეცრად პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულნი ამ კაცისადმი, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საჭირო ცნობების შეკრებას.

ჯონქას იგი უწინაც ჰყავდა შემჩნეული. ტანმორჩილი და მკვირცხლი ახალგაზრდა, ბილიარდის ბურთივით დაგოგავდა გამზირზე, ცოცხალი თვალებით მუდამ რალაცას ეძებდა და არჩევდა, ისე ათვალიერებდა გამვლელ ქალებში ლამაზმანებს, თითქო ვენახში შეპარულს ყველაზე მწიფე მტევნის მოწყვეტა უნდოდა. ზოგი მათგანი ამოჩემებული ჰყავდა და ყოველ შეხვედრისას ჩაულაპარაკებდა ერთდაიგივე, მაგრამ განსაკუთრებულ ქათინაურს, თანაც აროდეს შეშლია, ვინმე უცნობი შავგვრემანისთვის მოგონილი ქათინაური. მერე უცნობისა და ქერასთვის აროდეს უთქვამს:

— ნამდვილი ქართველი ქალის პროფილია.

— ასეთი ლამაზი ქალი ტფილისში არ დადის.

— ძველი ფრესკიდან გეგონება აჭრილი.

ბევრი წითლდებოდა, გამზირზე ცასვლისას აუცილებლად მოელოდა ამ არც თუ ისე უსიამოვნო შენიშვნების მოსმენას.

რეზოს თაოსნობით რამდენიმე ჰაბუკმა „ნუმერის“ თამაში გააჩაღა. ეს თამაში მხოლოდ დიდი ქალაქის გამზირზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო. შოთამაშენი შეთანხმდებიან გარკვეულ თანხაზე, რის შემდეგაც ერთერთი ირჩევს მათკენ წამოსულ ავტოს ნუმერს, ხოლო მეორე — მომდევნო ავტოსას, ისინი აკვირდებიან მანქანების რადიატორებთან და ბენზინის უყანა საცავეთან მიკრულ ნუმერებს და რომლის არჩევანიც მეტი რიცხვისა გამოდგება — მოგებაც მისია. ცოტანის შემდეგ მოთამაშეებს კარგად ჩაცმული, მაღალი ჰაბუკი მიემატათ. იგი ძლიერ ნათელი თვალებითა და ყელსაწვევის ძლიერი ფართო ნასკვით გამოირჩეოდა სხვებისაგან. მან თამაშის სურვილი განაცხადა.

— ჰარიფები გვნახე? — უთხრა რეზომ, — ქალაქში ყველა შოფერს იცნობს, ყველა მანქანის ნომერს საყვირის ხმაზე გეტყვის, გიჟი ვარ. შენთან ვითამაშო?

— რა ღირს, ფორი, ეგ ყელსახვევი? — ჰკითხა ერთმა. ფორიამ ფასი დაუსახელა და ხანმოკლე ვაჭრობის შემდეგ გულმოღეღილი დარჩა.

— თუ „ნუმერი“ არ გინდათ — ხარი მაინც — გავაგოროთ, — სთქვა მან, ცალ ხელში ყელსახვევით ნავაჭრი ფული შეაშრიალა, მეორეთი ჯიბიდან ამოიღო ხავერდის ქისა, შიგ კამათლები ჰქონდა შენახული. რამდენიმე კაცი დასთანხმდა და გაჰყვა ბნელი კუნჭულისაკენ. ეს ცნობილი ფორია — აფერისტი იყო, ცოცხალი, მოარული მანქენი — თავიდან ფეხებამდე ახლებში გამოწყობილი დადიოდა და რასაც მოისურვებდი იქვე მოგყიდა ქუჩაზე — შარვალს, გულჯიბეში ჩაკეცილ ცხვირსახოცს, აბრეშუმის წინდებსაც კი.

ჯონქა და კიჭა ისევ ვერისკენ გაჰყვნენ გამზირს, მაგრამ მხოლოდ საქადრაკო კლუბამდე მივიდნენ და უკან გამობრუნდნენ.

ჯონქამ დაღლილობა იგრძნო და გუნება გაუფუჭდა. უთუოდ დღესაც ვერ ნახავდა მანანას. მაინც რა მიზეზია, რომ არსადა სჩანს. გაჰქრა სადღაც. ჯონქას უხალისო ფიქრები აეკვიატენ. იქნებ იმ ღამეს რაიმე მოხდა. სახელდობრ — რა უნდა მომხდარიყო — ფანტაზია არ ყოფნიდა. მაგრამ ხომ შეიძლება რომ იათაძეს ელაპარაკნა მანანასთან, ცოტა ხნით მარტო დარჩენილიყვნენ. თამაზი გულწრფელი და თავდაჯერებული სჩანს. იგი უთუოდ ძლიერ ახლოა მანანას სრულყოფილი ადამიანის იდეალთან, იგი ყოველმხრივ ღირსია თანაგრძნობის. ჯონქამ მოსახვევთან გახედა პირდაპირ, შორეულ მოედნისა და ნარიყალას ხეივნის სინათლებში დაკარგულ გამზირს. ასფალტი, ავტოების თვლებისაგან მოსარკული, ბუნდოვნად არეკლავდა შუაზე გაბმულ ელნათურათა შივიებს, ფილაქნების გასწვრივ ჩამწკრივებულ ტანმოჩრილ ხეებსა და შენობების განათებულ სარკმლებს. გამზირის ბოლოს, პროექტორებით გაშუქებულ ცას ქვიშისფერი ჰქონდა, თითქო ხანძრით იყო გაკაშკაშებული. მოშორებით კი, ბნელი სახურავების თავზე, უსასრულო სილურჯეში, ოდნავ შესამჩნევად ციმციმებდნენ ქალაქის სინათლეებით დაჩრდილული, მარადიული ცინათელები.

ქალაქის ელვარებამ დაბრმავება იცის, შორეულ ცაში მოკიაფე ვარსკვლავებს ვეღარ შეამჩნევ, მაგრამ ქალაქმა დაღლაც იცის.

ჯონქას უეცრად, თითქმის პირველად ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, დედა მოენატრა. მოაგონდა ნიგვზის ხის სურნელი. დედა ნიგვზის ქერქში ღებავდა ხოლმე შინაურ ქსოვილს და ჯონქაზე ყოველთვის დამამწვიდებლად მოქმედებდა ეს სუნი, როცა კალთაში ჩაუდებდა თავს. ახლა ძილის დროა სოფელში. თითებზე მუდამ მარილისა და რძის გემო ჰქონდა დედას, რადგან საღამომობით ძროხას წველიდა და ახალ ყველს ამარილებდა. ბალიშს თუ თავის ხელით გაგისწორებდა დედა, მაშინ ცუდ სიზმარს აღარ ნახავდი; რძეს თუ თავის ხელით გადმოგისხავდა ქვაბიდან, მაშინ უფრო მეტი ნალები გადმოჰყვებოდა რატომღაც. საღამოთი ბოჩოლას დაამწყვდევს, ქათმებს დაითვლის ქანდარაზე და მერე ოთახში შემოსული, ალბათ, შეიღებოსაც მოიკითხავს.

მალე თვეზე მეტი იქნება, რაც ჯონქას ხმა არ მიუწვდენია შინ, არც იქიდან მოსვლია ბარათი.

ავტოები მისრიალებდნენ გამზირზე. ასაფრენად მომზადებულ ხოქოები-ვით მოდიოდნენ ზუზუნით, თვალებს აბრიალებდნენ. შორიდან ისე ირეოდა ავტოების ზურგის წითელი და ცისფერი სინათლეები, ფრთებზე დამაგრებული მცირე თეთრი მაშუქები, რომ ცდომილი ცეცხლების თამაში გევონებოდა.

დღესაც ვერ ნახავს მანანას. იქნებ ავად გახდა და მიტომაც არსადა სჩანს.

ჯონქა ამ აზრს მოეკიდა.

სახლში ვერ მივიდოდა მანანასთან, მხოლოდ ტელეფონით თუ შეიძლებოდა ყველაფრის გაგება. ხორნაული აქამდეც დარეკდა, მაგრამ უწინ, რამდენჯერაც სცადა — ყოველთვის ვიღაც სხვამ აიღო მილი, ან შინ არ იყო მანანა, ან დიდხანს აცდევინებდნენ და წინასწარ ჰკითხავდნენ, თუ ვინ ურეკდა.

ჯონქამ ახლა, რაკი მანანას ავადმყოფობა იფიქრა, უხერხულობა სძლია და გადასწყვიტა მახლობელ ავტომატთან მისულიყო.

ხორნაულს არ უნდოდა, რომ კიჭასაც გაეგო მისი წუხილი, მაგრამ ცნობისმოყვარე მეგობარი მაინც არ მოეშვებოდა და აღარაფერი უთქვამს.

ტელეფონთან ისევ სხვა მოვიდა, ქალის ხმა იყო, უთუოდ ნინო იქნებოდა. მანანა სახლში არ აღმოჩნდა.

— გულჩახვეული კაცი ხარ, — უთხრა კიჭამ, როცა ავტომატს მოსცილდნენ, — ამოშაქრე ბიჭო, რას მიმაღავ?

— რა უნდა გითხრა... — მოწყენით სთქვა ჯონქამ. მან მართლაც ორძნო, რომ ამ წუთში ვინმე სჭირდებოდა მესაიდუმლედ — შენ ხომ მაინც არა გწამს... — ჯონქამ მეორე მხარეს, საათისკენ, გაიხედა და გაჩუმდა. კუთხეში, ოპერის ბალთან, მანანა, თამაზი და ციციო იდგნენ.

— როგორ არა მწამს, ცხოვრებაში ერთხელ ყველა ჩავარდება, რა უშავს მერე. — ისეთი ტონით სთქვა კიჭამ, თითქო სამძიმარს ეუბნებოდა. ჯონქამ ნაბიჯს დაუკლო, უნდოდა ენახა — საით წავიდოდა მანანა.

— გეტყობა დიდ უბედურებად სთვლი სიყვარულს.

— არა, რატომ, კაცია და ვუნება.

მანანა და მისი მეგობრები საუბრით დაიძრნენ მეორე მხარეს. იქით მოსერიენნი შედარებით ნაკლები იყვნენ, მაგრამ თეატრებში სპექტაკლების დაწყების დრო მოახლოვდა და ხალხმაც იმატა.

ჯონქამ კიჭა ოპერისკენ გადაიყვანა, არ უნდოდა, რომ ქალი თვალიდან დაჰკარგვოდა. მალე კიჭამაც შენიშნა მანანა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ამხანაგს.

— მივიდეთ.

— მოიცა...

— მარტო დარჩეს და მერე. — ამ წუთიდან ჯონქამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ კიჭა მისი ერთადერთი მესაიდუმლე გამხდარიყო. ისინი შორიდან გაჰყვნენ წინწასულებს, რადგან ციციოს ქული მაინც დიდ მანძილზე მოსჩანდა შუქურასავით და არსად დაეკარგებოდათ. კარგა ხანს იარეს ასე. იათაძე



შუაში ჩადგომოდა ქალებს და გატაცებით ჰყვებოდა რაღაცას: ბოლოს, სამხატვრო გალერეისთან იგი დასცილდა მათ და გამზირი გადასჭრა.

— ახლა მაინც მივიდეთ... — აუჩქარა ნაბიჯი კიჭამ.

— მოიცა...

— წამო, რაღას უნდა მოუცადოთ, მე ვიცი რასაც ვაკეთებ.

მეგობრები სწრაფად წამოეწივნენ ქალიშვილებს. ჯონქა შეეცადა უღარდელი სახე მიეღო. აქამდე იგი თავისუფლად გრძნობდა თავს მანანასთან, ახლა კი დიდიხნის მოლოდინმა იმოქმედა და ოდნავ დაძაბული იყო.

— მე შენ ახლახან დაგირეკე, — უთხრა ჯონქამ მანანას მისალმებისთანავე, უფრო იმისათვის, რათა აღელვება დაეფარა.

— საქმე მქონდა, — განაგრძო მან და წამსვე ინანა, — სიცრუეც უნდა ეთქვა.

— რა საქმე, ჯონქა?

— წიგნი მჭირდებოდა, — ჯონქამ დაასახელა ავტორი, ეს წიგნი ერთხელ უკვე ენახა მანანას ხელში.

— აჰ, — წამოიძახა ციციანომ, — მე მითხრეს, რომ მაგ კრიტიკოსს არაფერი გაეგება თანამედროვე მწერლობისა, მაგრამ ხათრის გულისათვის სწერს ზერელე რეცენზიებს მეგობრების წიგნებზე. ჰაგიოგრაფიული ძეგლების მკვლევარი ისევე გამოდგება თანამედროვე ლიტერატურის განსაქიქებლად, როგორც მუმიფიკატორი — ცოცხალი ადამიანის მკურნალად, სთქვა ერთხელ ძია გიორგიმ.

ციციანოს ყველა პროფესორი და ხანშესული ხელოვანი ძიად ეკუთვნოდა.

კიჭა არ იცნობდა თურმე ამილახორის ქალს და ჩუმად, მუჯღუგუნით ჯონქას ანიშნა.

— საერთოდ, რა უნდა გააკრიტიკოს კაცმა ახლანდელი მწერლობიდან, — დაიწყო კიჭამ, როგორც კი ჩამოართვა ხელი ციციანოს; ჯონქამ ტუჩზე იკბინა, კიჭასაც თითქმის იმდენი გაეგებოდა თანამედროვე ლიტერატურისა, რამდენიც ეგვიპტური მუმების.

— რატომ, — ციციანო მზად იყო საკამათოდ, როგორც ყოველთვის, — არც ეგრე ხელალებით შეიძლება ყველაფრის უარყოფა.

— არა, ჭირიმე, — კიჭამ ადგილი გადაინაცვლა და ქალებს შუაში ჩაუდგა. ჯონქამ კარგად იცოდა კიჭას ხასიათი, — ეს იმას ნიშნავდა, რომ მან გადასწყვიტა საუბარს გასძლოლოდა და ჭკუამახვილობა გამოეჩინა.

— არა, — განაგრძო კიჭამ, — ლექსები ლამაზ ქალიშვილებზე უნდა იწერებოდეს. — მან მრავალსმთქმელი ღიმილით გადახედა ციციანოს.

ჯონქა ერთი წუთით დაინტერესდა, როგორ მიიღებდა ამილახორის ქალი ამ გამოწვევას. ციციანომ ჯერ თვალები დახარა და შემდეგ მანანას გადახედა ირონიით. იფიქრებდი, რომ დასცინოდა მოსაუბრეს; მაგრამ სახე სწრაფად შეეცვალა, მიუბრუნდა კიჭას და მეგობრული ღიმილით გრძლად მოუყვია, თუ როგორ უძღვნეს მას ლექსები პოეტებმა. მერე ერთი მათგანის ლექსიც მოიგონა, თავის შეხედულებაც გამოსთქვა პოეზიაზე, ორიოდ კლასიკოსი დაიმოწმა: ერთი ცნობილი მწერალი და ერთიც უცნობი, მაგრამ თურმე, დიდად განსწავლული, ნიჭიერი და კიდევ უფრო მეტად მივიწყებული ლიტერა-

ტორი. მის ორიგინალურ აზრებზეც მოჰყვა მსჯელობას, თუმცა მსგავსი რამ ლურსმნის სახევე ქალაქდზე დაბეჭდილი ძველ ჟურნალებშიც ამოუკითხა ჯონქას.

კიჭა ამაოდ ეცადა ერთი-ორი სიტყვა ჩაერთო, მაგრამ ქალის საუბარი ისე მიედინებოდა წყალდიდობას მოვარდნილ. ნიაღვარივით, რომ ბიჭმა კინალამ დაჰკარგა გაღმა ვასვლის იმედი.

მანანა ჩუმად გაჰყურებდა ქუჩას. მათ ლაპარაკს უთუოდ ყურსაც არ უგდებდა. ჯონქამ სინანულით გაიფიქრა, რომ ეს შეხვედრა ძალით აკიდებს უფრო ჰგავდა. ან იქნებ მართლაც ასე იყო.

ბოლოს, როცა ქუჩა გადასჭრეს, კიჭამ ისარგებლა მცირე პაუზით, რომელიც მხოლოდ შექსპირის სახელის პათეტიურ წარმოთქმას მოჰყვა. ციციწო უკვე აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ კიჭამ დაასწრო:

— შექსპირზე მომგონდა, — დაიწყო მან, — ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა მსახიობი გადმოვიდა ტფილისში ზედღურეთის თეატრიდან. იქ პრემიერი ციყავიო, ამბობს და ახლა აქაც დიდ როლი მიუციათ. შექსპირის ტრაგედიაში თამაშობს თურმე.

— საინტერესოა რა როლი მისცეს, — სთქვა ციციწომ, იგი ცოტა ნაწყენი სჩანდა, რაკი მოსაუბრემ ლიტერატურულ საკითხებზე საუბარი შესწყვიტა.

— კულისებიდან ყვირის: „მიშველეთ, გამძარცვეს“...

ქალებმა გაიცინეს, კიჭას კვლავ დაუბრუნდა ოხუნჯობის ხალისი, რომელიც წელან ციციწოს გრძელმა ტირადებმა დაუკარგეს. მან პალტო შეიხსნა; რათა მეტი გასაქანი მისცემოდა და გამხიარულებული ბევრს ეცადა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა კიჭების დამალვას.

— ერთი ქალიშვილი გადამეკიდა — წამიყვანე თეატრშიო, — ისეთი ხმით დაიწყო მეორეჯერ კიჭამ, რომ ჯონქა მიხვდა — პირველი ოხუნჯობის გამარჯვებით მოვრალს დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ზომიერების გრძნობა, — მე უთხარი — წამო, გოგო, კინოში დაგპატიებებ, ჯაზი იქნება; ახალ სურათსაც ვნახავთ მეთქი. მე იმის დარდი ჩქონდა — ფული ცოტა დამეხარჯებოდა და არც ხელს შეგვიშლიდა ვინმე, მარა არ ჰქნა იმ შეჩვენებულმა.

ჯონქას დასცხა, თუმც უპალტოვოდ იყო; იგი შეძრწუნებული ელოდა ამბის გაგრძელებას.

— წავედით თეატრში. ხურდა არ მქონდა, ხუთმანეთიანი მივეცი მეგარდერობეს. ზუტდი...

— ციციწო, „ჰამლეტი“ თუ ნახეთ? — ხმამალლა მიმართა მოთმინებიდან გამოსულმა ჯონქამ ამილახურის ქალს, — ბოდიში, კიჭა, სიტყვა შეგაწყვეტინე.

— ვნახე, გენერალურ რეპერტიციასაც დავესწარი... — და ციციწომ ვრცლად გამოსთქვა თავისი მოსაზრებები.

კიჭას მაინც უნდა ბოლომდე ეამბნა თავგადასავალი, მაგრამ ამ დროს სოლოლაკთან მივიდნენ.

— მე წავსულვარ, ხალხნო, ნახვამდის, — სთქვა ციციწომ.

— გავაცილებთ. — კიჭამ პალტოს ლილები შეიბნია.

— მადლობთ, ახლო ვცხოვრობ, ნუ შეწყუბდებით.

2. „ჩენი თაობა“, № 9.

17



— რას ბრძანებთ, მარტო როგორ გაგიშვებთ? — კიკამ მანანასაც ჩამოართვა ხელი, — ორივე ხელი, და ჯონქასაც, თუმცა ამ უკანასკნელთან ერთად ჰქონდა ბინა საერთო საცხოვრებელში. ეს განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრდილობის ნიშანი იყო.

— სად გაჰქიერ ყმაწვილო, იმ ღამეს, — უთხრა ჯონქას მანანამ, როცა მარტო დარჩნენ.

— რა ვიცი, მანანა, უნდა ბოდიში მომეხადა შენთან, ისე უწესოდ ვიქცეოდი...

მანანამ გაიოცა.

— მაინც რა ჩაიდინე?

— რას ჰგავდა იმ ყანწის გამოცლა. დავთვერი და თქვენებს მადლობაც ვეღარ ვუთხარი, ისე გამოვიპარე.

— სულ ეგ იყო? ღვინო იმიტომ მოიტანეს სუფრაზე, რომ ყანწითაც დაგელია და სათითურითაც. მადლობა კი შეგიძლია მე მითხრა, თუ ასე ძალიან გაწუხებებს, იმ ღამეს ჩემი სტუმარი იყავი.

ჯონქას გულზე მოეშვა.

რას მიიპარებოდი, კიტი ნარდიშვილმა მოიწყინა უშენოდ.

— მეჯავრება ის მანქია...

მანანამ წარბებით გაიკვირვა...

— მე კი ვფიქრობდი, რომ ძლიერ მოგწონდა.

— არ მეგონა, თუ მაგასაც ვერ გამოიცნობდი... — ჯონქა რალაცამ შეაშინა თავის ხმაში და გაჩუმდა.

— არც ვცდილვარ შენი ინტიმური ამბების გამოცნობას.

ჯონქა დაბნეული მიჰყვებოდა გვერდით, გრძობდა, რომ საჭირო იყო რაიმეს თქმა, მაგრამ რისი, თითონაც არ იცოდა. ცდილობდა — ისეთი სიტყვა მოენახა, უბრალო და მართალი, რომლის შემდეგ შედმეტად მოეჩვენებოდათ ორთავეს გრძელი, აბნეული განმარტება, გაცვეთილი ფრაზები.

— მანანო...

— რა სთქვი, ჯონქა?

— არაფერი.

ბებების ჩრდილი იწვა ფილაქნებზე. ფოთლებში ატანდა ელნათურების სხივი, გამველებებს სხეულს უჭრებდა, ვეფხის ტყავს აცმევდა. წვრილი ფოთლის ჩრდილები მანანას სახეზე ხალეზად დარბოდნენ და ჯონქას ვეღარ გაერჩია — ილიმებოდა მის გვერდით მომავალი ქალი, თუ სიფითრე გადაჰკრავდა აღელვებისგან.

თუმცა, რისთვის უნდა აღელვებულყო, განა მასაც მთელი ქალაქი მოვლილი ჰქონდა ვინმეს ძებნაში. განა ისიც გულის ჯიბით ატარებდა სიფრიფანა ენძელას.

ზოგჯერ ხეთა რიგი წყდებოდა ქუჩის პირებზე, სინათლის ფართო ზოლი ნაკადულივით გადაუჭრიდათ ხოლმე გზას; მაშინ ჯონქა მანანას შემოხედვას გაურბოდა, ეშინოდა დამცინავი ღიმილი არ შეენიშნა მომწვანო თვალებში.

ჯონქა რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ისინი ამ საღამოთი ასე მა-  
ლე და ზვეულებრივ არ დასცილდებოდნენ ერთმანეთს. წინაგოდნობა გაუმა-  
როლდა.

— ამოდი, ჯონქა, წიგნს მოგიძებნი, — უთხრა მანანამ, როცა სახლთან  
მივიდნენ.

ჯონქა დასთანხმდა, მაგრამ კიბეებზე ასვლისას გრძნობდა, რომ ისევ მო-  
ელოდა ყოველწუთში კრთომა და დარცხვენა. ბიჭმა მხრები შეიმუშნა, თი-  
თქო ცივი შხაპის ქვეშ უნდა დამდგარიყო.

(გაგრძელება იქნება)

## გულს გული იხნობს

პირველი თავი რომანიდან „ფოთლები ზრიალში“.

ტფილისის მატარებელი ღამის სრულ თორმეტ საათზე მოვიდა ქალაქ მახარაძის სადგურზე და მგზავრებით დატვირთული რეზონანსი ჯარისკაცებით გალაგდნენ სადგურის პირველ ლიანდაგზე.

ბაქანი საესტა ხალხით.

რონოდებიდან გადმოსული მგზავრები დამხდურებთან ერთად სადგურის უკან, ასფალტით დაფენილ მოედანზე გადიან, სადაც რიგში ჩამდგარი ეტლები ელოდება მათ.

მატარებლიდან ჩამოსულ მგზავრებს ერთი საშუალო ხნის წვრილი მალა-ლი ტანის კაცი გამოეყო და ჩქარხ ნაბიჯით რიგში ჩამდგარ ეტლებსაკენ გაემართა. მხარზე წყლის ფერი კავერკოტის პალტო ჰქონდა გადაკიდებული, ევროპულად შეკერილი ლურჯი ინდიგოს კოსტუმი ეცვა. შავი ქუდი ეხურა. ერთ ხელში პოქტფელი ეჭირა და მეორეში ტყავის პატარა ჩანთა, ეტყობოდა, იგი ხშირი სტუმარი არ უნდა ყოფილიყო ამ პატარა ქალაქისა.

უცნობის მისვლამდე მგზავრებს უკვე შეეფხოთ ეტლები და არსად თავისუფალი ადგილი აღარ იყო, ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ჩააფიქრა სტუმარი, არ ესიამოვნა. საკუთარ ეტლის დაჭირავებას აპირებდა და ერთი დასაჯდომი ადგილიც ვერ იშოვნა. განერვიულებული ცოტა ხანს ერთ ადგილზე შეჩერდა. ჩანთა ძირს დადგა, ელექტრონის შუქით გაჩირაღდნებულ ქალაქს გახედა, ბოლოს წაიბურტყუნა რაღაც თავისთვის, სახემოქმუნებით, შეიგინა კიდევ ვილაცის მისამართით იღუმალად, შემდეგ აიღო ისევე ჩანთა ხელში და ის იყო ფეხით წასვლას აპირებდა, რომ ამ დროს მოედანზე ახლადმოსულ ეტლს მოჰკრა თვალი, რომელსაც სიძველისაგან ერთი ნაწილიც აღარ შერჩენოდა მთელი. მხოლოდ მასში შებმული ცხენები ისე იყვნენ ჩამომხმარი, დაკნინებულნი, რომ ზედ არ შეეხედებოდა.

უცნობი მიუახლოვდა ეტლსა და პირდაპირ შეხედა.

— რას ვიზამ, მეტი რა გზაა? — ჩაილაპარაკა თავისთვის და მივიდა მეეტლესთან.

— სასტუმროში უნდა წამიყვანო, რას გამომართმევთ? — შეეკითხა მეეტლეს.

— აბი მანეთს, — უპასუხა მეეტლემ ისეთი ტონით, ეტყობოდა ცოტა გადაკრულში უნდა ყოფილიყო.

— ათი მანეთი და ასეთი ეტლით წასვლა? — წარმოსთქვა მგზავრმა და უნებურად დაეთანხმა.

მეეტლემ მედიდურად გაუტყლაშუნა მათრახი ბედაურებს და ნელინელ დაძრა ეტლი ადგილიდან.

— შენ, ჩემო ძმაო, იცი რა ვითხრა? — მიმართა მგზავრმა მეეტლეს ცოტა ხნის შემდეგ, როცა გასცდნენ სადგურის მოედანს.

— ვისმენთ, ბატონო, რას მიბრძანებთ? — უთხრა მეეტლემ მგზავრს ნახევრად მისკენ გადახრილმა.

— ვეტყობათ გურული ხართ, შეხედულება ვაჟაკისა გაქვთ, მაგრამ თავმოყვარეობა რომ არ გაკლდეთ, ასეთ ეტლზე, არ დაჯდებოდით. თუ მგზავრს არაფრად ავდებ, შე კაცო, შენ თავს მაინც უნდა სცე პატივი.

— ეჰ, ჩემო ბატონო, — ამოიოხრა მეეტლემ, — ესეც ეხარბება ჩემთვის ახლანდელ ბედს. მეტი რად უნდა ღარიბ მეეტლეს? შეიძლება ხვალ აღარც ეს დამირჩეს საკუთრად.

— როგორ, განა უკეთესი ბედი გქონიათ ოდესმე, ვიდრე დღეს ღარიბ მეეტლეს? — შეეკითხა უცნობი.

— თქვენ თუ გგონიათ, რომ ადამიანს მთელ თავის სიცოცხლეში ბედი არ ეცვლება და ერთიდაიგივე რჩება ბოლომდის, დამიჯერეთ, სცდებით, მაგრამ მართო თქვენ კი არა, მეც ვცდები თქვენს შეხედულებაზე, რომ ნასწავლ კაცად დაგინახეთ, განათლებულად. შეეკითხებით: უკეთესი ბედი გქონიათ თუ არა ოდესმეო. მქონია, რა დავძალო. ახლა რომ არა მაქვს, ვერც ამას დავძალოვ, მაგრამ არც იმედს ვკარგავ იმაზე, რომ შეიძლება მომავალში მაინც მქონდეს.

— მომავალში! — სთქვა მგზავრმა და ირონიულად გაიღიმა.

— რატომ გაიკვირვით, — შეეკითხა მეეტლემ, — განა ცოცხალი კაცი მომავალს არ უნდა ელოდეს? რა ვუყოთ, სიბერემ დამძლია და დამაჩნია თავის დალი, სანამ პირში სული მიდგას, ცხოვრება მინდა და ამისათვის უფლება მაქვს ვიფიქრო მომავალზე, უკეთეს ბედზე. გარდა ამისა არც ისეთი ხნიერი ვარ, თქვენ რომ გგონიათ. მერწმუნეთ თუ კი მეღირსა სხვა უკეთესი ბედი, მაშინ ეს სახე, ახლა რომ ბებერს მამსუავესებს, გაყმაწვილდება. მაგრამ, ეჰ ძმაო, ზღაპარია, რასაც ვამბობ. ფიქრმა წამილო და ჩემი თავი კიდევ ახალგაზრდად გამომეცხადა. კაცს სამოცი წელი სათითაოდ გადამითვისია ისე როგორც ეს ჩემი ბედაურები ითვისიან ნაბიჯებს, რაც წამოვსულვართ სადგურიდან. ჰაი, თქვე ოხრებო, როგორ მოუკელით ფეხს, დრო იხელთეთ განა, რომ ლაპარაკში გავერთე? — შეუტია ცხენებს მეეტლემ.

უცნობი ჩააფიქრა მეეტლის სიტყვებმა. მისი წარმოდენით ეს მეეტლე არც გავდა სხვა მეეტლეს, რომლებსაც მართო ცხენისა და ეტლის მოვლის მეტი არა ვაეგებათ რა, ამისათვის დაინტერესდა, ვაეგო მისი ვინაობა, მისი გულისწვა, თანაც შეეცადა, რომ აღარაფერი ეწყენინებინა.

— ამხანაგო მეეტლე, მეტიჩრობად ნუ ჩამითვლით, რომ გეკითხებით: თქვენ აქაური ბრძანდებით?

— არა, მოსული ვარ, — მიუგო მეეტლემ, — ბედმა გადმომტყორცნა აქ, წარსული რომ გადამევიწყნა და აწმყოს დაგმეგობრებოდი. მართალია, არ ვეთანხმებოდი ჩემს ბედს, მაგრამ იძულებით დამითანხმა, დამიყოლია.

— თქვენ სულ ბედის მისამართით ლაპარაკობთ. ყველაფერს ბედს აბრალებთ, — შენიშნა უცნობმა.

— მაშ ვის უნდა დავაბრალო? — მიუგო მეეტლემ — ბედია საქმე. როცა ბედი გწყალობთ, ქუდიცა ვზურავთ, თქვენ ხელშია მთელი საუკუნეები, თუ რამე სიხარული და ბედნიერება არსებობს ამ ქვეყნად, თქვენს კარიბჭეს არ ასცდება. თუ ბედმა დაგწიხლათ, გამოეთხოვეთ ყველაფერს. აი, მაგალითად, — განაგრძო მეეტლემ, — თქვენ რომ ბედი გქონებოდათ, ასეთი ეტლით არ მოგხდებოდათ მოგზაურობა. ამ შემთხვევაში ჩემი ბედი თქვენსასა სჯობია. მე კარგი მუშტარი ჩამივაჭრდა ზელში თქვენი სახით, თქვენ კი ცუდი ეტლი. რა თქმა უნდა ახლა უფლება გაქვთ ბედს დაემდუროთ.

— მერე და ბედი აქ რა შუაშია? ეგ ხომ შემთხვევითი ამბავია — შეესიტყვა უცნობი.

— ყველაფერი შემთხვევითია, რაც ხდება ცხოვრებაში. გამიგონია, მაგრამ ბედი და შემთხვევა, ჩემის ფიქრით, ერთმანეთის ძმები უნდა იყვნენ, უერთმანეთოდ ისინი არაფერს წარმოადგენენ, — უბასუბა მეეტლემ.

— ჰა, ჰა, ჰა! — დამცინავად ჩაიხარხარა უცნობმა; — გეტყობათ მეცნიერულად მსჯელობთ, მაგრამ ვეჭობ, თქვენ რომ ბედს გულისხმობთ, ის ბედი სულ სხვაა.

— ჩემის ფიქრით ცუდად ეჭვობთ, — მიახალა სიტყვა მეეტლემ — მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ უბედურებას მთავრობას მიაწერენ, სისულელეა ეს. ჩვენი მთავრობა ძალიან მიყვარს, არ დაგავიწყდეთ, ძველი რევოლუციონერი ვარ. მონაწილეობა მიმიღია სამეგრელოს აჯანყებაში. ბევრი ბოლშევიკი შემინახავს და დამიფარავს, ბევრჯერ ვუწამებებივარ იმისათვის ნიკოლოზის მთავრობას, მენშევიკებსაც.

— მაშ თქვენ ამბობთ, ძველი რევოლუციონერი ვარო? — ირონიულად შეეკითხა უცნობი.

— დიაღ, ვახლავართ, — ომახიანად მიუგო მეეტლემ, — ასე ნუ კი მიყურებთ, ტანზე რომ დაგლეჯილი ტანისამოსი მაცვია. დრო იყო, ტანზედ კარგად მეცვა და ვაუჯაკობითაც არავის დაუფარდებოდი. ტყვიას ნემსის ყუნწში გავადვრენდი, ცხენოსნობაში ხომ ნულარ იტყვით, ტოლი არ მყავდა, ერთი მითხარი, რატომ არ უნდა ვყოფილიყავ რევოლუციონერი? რისთვის უნდა დავმორჩილებოდი თავდაზნაურებს, მეფის მთავრობას, რად უნდა გავმხდარიყავი მათ ყურმოჭრილ მონად! ბევრჯერ დამიფრთხია ანგელოზები მათთვის, ბევრჯერ დამიყენებია შავი დღე.

— ვაუჯაკი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, ვაუჯაკი, — მიუგო უცნობმა, — მაგრამ ხომ არ გეწყინებათ, თქვენი გვაჩი და სახელი გავიგო? შეიძლება გიცნობ კიდევ შორიდან.

— მე აღმასხან იორდანეს ძე სულუხია ვახლავართ, — უთხრა ამყად მეეტლემ.

— აღმასხან იორდანეს ძე სულუხია? — გაიმეორა უცნობმა, — კარგი და პატიოსანი, მაგრამ სამეგრელოს აჯანყების ისტორიაში ასეთი გვარი და სახელი არ გამიგონია.

— საიდან გაიგონებდი, ჩემო ძმაო, — უთხრა მეეტლემ — მე მაშინ სხვა გვარზე ვეწერებოდი, ხელისუფლებას ვემალეობოდი.

— ახლა ვიღას ემალები? რატომ არ გინდა გამომამქლავნო შენი წარსული? — დაეინებით ჩააცივდა მგზავრი.

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ... სანამ ეს ბედაურები ცოცხლები მყვანან და დანჯღრეული ეტლი შემრჩენია, მკადას, ლობიოს და ლომს არ მოვიკლებ. ხანდისხან იზაბელას ღვინოსაც ვიქონიებ, ბევრს თუ არა, ცოტას მაინც გიახლებით სადილად ან ვახშმად. დილით კიდევ, როცა ძალიან ცივა, ერთ-ორ ყანწს ჭკპის არაყსაც მივაგნებ თაროზე, ჩემი ცოლის გადამალულს, გადავკრავ და შეზარხოშებული დავჯდები ეტლზე. მე ამ ცხოვრებით ვერთობი ისე, როგორც უდედოდ დარჩენილი ბავშვი სათამაშოებით. კმაყოფილი ვარ ამით, მეტი რომ მქონდეს კიდევ, ჭიანჭველები წამართმევენ და სოროში შეზიდავენ ზამთრის საზრდოდ.

ამ სიტყვების შემდეგ თითოჯერ კიდევ გაუტკაცუნა ბედაურებს, რალაც შეუკურთხა ღვინით შეზარხოშებულ კაცის ენით, ბოლოს აჩქარებული ეტლის რახრახში და ცხენების ფეხის თრაქატორუქში თვითონაც ხალისზე მოვიდა და გესლიანად ჩაიღიღინა.

მალე სასტუმროც გამოჩნდა. მეეტლემ გააჩერა ეტლი სასტუმროს წინ და სანამ მგზავრი ეტლიდან ძირს ჩამოვიდოდა, მანამ სასტუმროს მორიგე გამოვიდა სამორიგოდან და ეტლს წინ გადაუდგა.

— ადგილი არა გვაქვს, ამხანაგო, ვერ მივიღებთ, სხვაგან უნდა მონახოთ სადმე ღამის ფასათევი.

— სხვაგან! — უსიამოვნოდ გაიმეორა უცნობმა მორიგეს სიტყვები.

— დიად, სხვაგან, — განაგრძო მორიგემ, — რაიონის კონფერენციაა, სასტუმრო დელეგატებს აქვს დაკავებული.

— როგორ თუ დელეგატებს. მე ტფილისიდან ვარ მოვლინებული სერაიოზულ საქმეზე, აქ არავის არ ციცნობ, სად გავათიო ღამე?

— რა ვქნა, ძმობილო, მე ჩემი ვალი მოვიხადე, უკვე მოვახსენეთ, ადგილი არა მაქვს მეთქი, ახლა როგორც გენებოთ, ისე მოიქეცი. გეტყობათ ურიგო სტუმარი არა ხართ, მაგრამ, რაც არ შემიძლიან, როგორ შევძლო? — ამ სიტყვების შემდეგ მორიგე უკან გაბრუნდა და კარი მიიხურა. უცნობმა თვალი გააყოლა მას და უკმაყოფილოდ სთქვა, — მაშ რა მეშველებაო.

რაკი მეეტლემ შეიტყო, რომ მისი მუსტარი დიდი ვინმე უნდა ყოფილიყო, გაიფიქრა, „მოდრი მე მივიღებ ოჯახში სტუმრად ამაღამ, იქნებ პატივისცემამ გასჭრას და გაჭირების დროს გამომადგესო“.

— რატომ სწუხდებით ეგრე, ბატონო? — უთხრა მგზავრს, — წყალში ხომ არა ვცხოვრობთ? წავიდეთ ჩემთან, მესტუმრეთ ოჯახში, ღამესაც გავათივებინებთ და, რაც კი შემიძლიან, გაგიმასპინძლდებით კიდევ.

უცნობი ჩაფიქრდა. მეეტლეს სახით მას თვალწინ წარმოუდგა ადამიანი, რომელსაც რალაც აწუხებს, რალაც მწარე საიდუმლოება სწვავს მის გულს, ქეჯ-



ნის და აწამებს, რალაც გაუმხელელი იღუმალებითაა მოცული მისი ეტლი; მისი ცხენები.

ერთის მხრივ, საინტერესოცაა გავეცნო ამ ადამიანს, გავიგო ვინ არის, რას წარმოადგენს იგი, — გაიფიქრა მან.

— კარგი, თანახმა ვარ ჩემო აღმასხან, — უთხრა მეეტლეს, — შეგაწუხებთ, წამოვალ და ვეცდები სამაგიერო გადაგიხადოთ.

— ჰო და ასე, — კმაყოფილებით სთქვა მეეტლემ, — სადღა გამოვყო თავი, რომ თქვენისთანა განათლებული პიროვნება გარეთ დავტოვო, განა თქვენისთანა ადამიანებს ეგ ეკადრება? რომ თქვენ არ გვედგეთ სათავეში, თქვენ არ უძლოდეთ საერთო საქმეს, რა გვეშველებოდა, თქვენით გვიდგას პიროში სული, თქვენითა ვსუნთქავთ, თორემ ჩვენ რა შეგვიძლიან უსწავლელ-გაუნათლებელ ადამიანებს?

მეეტლე ქალაქის განაპირა უბანში სტხოვრობდა კრამიტით დახურულ ერთსართულიან ხის სახლში.

სახლის გვერდით მიდგმული ჰქონდა პატარა ქვით აშენებული თავლა, სადაც თავის ოთხ გამხმარ ცხენს და ორ ძროხას ინახავდა ზამთრობით. ეზო გარშემო ფიჭვის გარბილებით იყო ამესრილი ისე, რომ ტანმალა კაცს შიგნით გადახედვა გაუჭირდებოდა, ფეხის ცერებზედაც რომ დამდგარიყო.

ეზოს ძველი ყავრით გადახურული დიდი ალაყაფით ჰქონდა შესაველი ქუჩიდან.

კაცმა რომ სთქვას, ავი თვალით არ ინახებოდა მეეტლის ეზო. ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ალუბალი, თეთრი თუ შავი ქლიაფი; ლობის ძირებში ჩარიგებული ბეოლის ხეები, ჩაის ბუჩქები, სახლის აივნოდან ალაყაფის კარამდე გაშლილი იზაბელას ხეივანი. ერთი სიტყვით ბაღს ჰგავდა ეს ეზო, განსაკუთრებით განზაფხულზე. როცა ამწვანდებოდა და გაიფოთლებოდა ყველაფერი.

— მარინე, გააღე ჭიშკარი. კეთილი სტუმარი მომყავს, — მიძახა ალაყაფოდან ეტლით მომდგარმა აღმასხანმა მეუღლეს.

— გააღე მეთქი, ხომ არ დაგეძინა? არ გესმის, ადამიანო? — გაიმეორა მეეტლემ.

— ჰო, მოვიდვარ, მოვიდვარ — იყო მარინეს პასუხი სახლიდან. ცოტა ხნის შემდეგ მარინე გამოვიდა გარეთ და ალაყაფისაკენ გამოსწია, მიუახლოვდა ჭიშკარს, ეზოს გარეთ მდგარ ეტლს შეხედა ალაყაფის ქუჭრუტანიდან, თვალი მოჰკრა ეტლში მჯდარ უცნობს.

— ვინ იცის, დიდხანაა მეძახდი და მეკი გვიან გავიგე, მაპატიეთ, ცოტა ჩამთვლიმა, მარტოობაში მომდის ხოლმე ასე, ეს სულ შენი ბრალია, — უსაყვედურა მარინემ აღმასხანს — შენს მოსვლამდე ვერ ვიძინებ, შენ გელოდები და ძილს ვერ ვიძრულებო.

— სტუმარი მომყავს ქალო, სტუმარი... შენ იცი, როგორ დაუხვდები, შენე ბურად იმართდათ, არ შემარცხენო.

— შე კაცო, რა წინასწარ მაშინებ, ვერ დაუხვდები თუ რა? ხომ გავიგია. სტუმარი ღვთისა არისო. სტუმრის მოსვლას ოჯახში თან მოსდევს სიხარული

და ჩვენ მეტი რაღა გვინდა. — სთქვა მარინემ და მიუახლოვდა ეტლიდან გა-  
მოსულ უცნობს.

— ჩემს მეუღლეს იცნობდეთ, — მიუთითა მეეტლემა სტუმარს.

— მე დიმიტრი ყანჩელი გახლავართ, — უთხრა სტუმარმა და ხელი გაუ-  
წოდა მარინეს, თანაც დააყოლა, — კეთილი იყოს ჩვენი გაცნობაო.

მეეტლემა ეტლით თავლისაკენ გასწია და ცოლს კი ანიშნა, სტუმრისთვის  
პატივისცემა არ მოეკლო, ისიც უთხრა, ცხენებს დავაბინავებ და მალე მეც დავ-  
ბრუნდებიო.

— მშვენიერი ეზო გქონიათ, ქალბატონო მარინე. მაპატიეთ, რომ სახელს  
გიწოდებთ, ეს ჩემი თანდაყოლილი თვისებაა. ვინც უნდა გავიცნო პირველად,  
მაშინვე ასე ველაპარაკები ხოლმე.

— როგორ გეკადრებთ, ბატონო, ბოდინის მოხდა! თავისუფლად შეგიძ-  
ლიათ ილაპარაკოთ. სახელი რომ საძრახისი ყოფილიყო, არ დაგვარქმევდნენ.  
თქვენ ეზოზე მეუბნებოდით რაღაცას მგონი? — კილო შესცვალა მარინემ.

— დიად ეზოზე. ერთი შეხედვით, რა მომხიბვლელოა და მიმზიდველი,  
დარწმუნებული ვარ, დღისით უფრო უწყეთესი იქნება.

— მართალს ბრძანებთ. ბევრს ხიბლავს თავისი სიმშვენიერით, განსაკუთ-  
რებით მაშინ, როდესაც ყურძენი მწიფდება — აღარ გინდათ თვალი მოაშო-  
როთ. აი მაშინ უნდა გვესტუმროთ, თუ სიამოვნება გასურთ.

— ვნახოთ. ქალბატონო მარინე, შეიძლება ჩვენ ისე დავმეგობრდეთ, რომ  
ერთმანეთს აღარ ვშორდებოდეთ. გულს გული იცნობსო ნათქვამია. შეიძლება  
ჩვენმა გულემაც მონახონ ერთმანეთს შორის რაიმე საერთო, თქვენ რას  
იტყვი?

ამ სიტყვების გაგონებაზე მარინე დაიბნა, რაღაც უცნაურმა ჟრჟოლამ  
აიტანა. თითქოს დენმა გაუბრინაო. თვალემა გაუბრწყინდა, ოდნავ სიწითლეც  
დაეტყო სახეზე, მაგრამ რა კი წინ მიუძლოდა სტუმარს, ამ უკანასკნელს ეს  
არ შეუმჩნევია.

ოთახში შესვლისთანავე მარინემ ჩამოართვა ხელის ბარჯი სტუმარს და  
შესაფერის ადგილზე მოათავსა, შემდეგ ისევ სტუმრისკენ გამობრუნდა და მიუ-  
ახლოვდა მას.

თუ სახლში მისვლამდის სიბნელეში გაურკვეველი იყო სტუმრისათვის მა-  
რინეს გარეგნული შეხედულება, ახლა მარინეს სახით მის წინ იდგა ჩასკვნილი,  
ჩამკვრივებული საშუალო ხნის ქერათმიანი ქალი, რომელსაც გულამოჭრილი  
აბრეშუმის კაბა ეცვა, საიდანაც თეთრი თოვლივით მოსჩნდა მისი მალალი  
გულმკერდი.

დიმიტრის მოეწონა მარინე — ახლა რომ ასეთი ლამაზია და მიმზიდვე-  
ლი, ვინ იცის რა იქნებოდა ახალგაზრდობისას, ქალიშვილობის ასაკშიო.

ნეტავ რა ნახა მარინემ აღმასხანში ასეთი, რომ გადასწყვიტა ცოლად გა-  
ყოლოდა მას? დიმიტრის თვალწინ წარმოუდგა ახლა აღმასხანი, ტლანქი, მაღა-  
ლი ტანის კაცი, წვერმოშვებული, თმაგაბურძგენილი, ყებზარცვივნილი, რომ-  
ლის შეხედვა მზესაც კი უძძიმს დღეს, სხივებს არიდებს.

— აი ეს ვახლავთ ჩვენი საცხოვრებელი ბინა, — უთხრა მარინემ სტუ-  
მარს, — სულ სამი ოთახისაგან შესდგება, აქედან ორი მე და ჩემი ქმრის საკუთ-

რებაა, ერთი ჩვენს ვაჟს დავუთმეთ, რადგან მან ჩვენთან ცხოვრება აღარ ისურ-  
ვა. თუმცა, სიმართლე რომ ვსთქვა, ჩვენც არ წავსულვართ მისა სურვილის წი-  
ნააღმდეგ. მართალია, არ გვსიამოვნებს ერთადერთი შვილის დაშორება, მაგრამ  
რაკი დავრწმუნდი, რომ კარგს არ მოუტანს ჩვენთან ყოფნა, ამიტომ ნება დავ-  
რთეთ წავიდეს თავისთვის, იცხოვროს, იბედნიეროს, ეგ ერთი შვილი შეგვეჩე-  
ნია მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე და როგორც დაუეკარგოთ მომავალი, რის  
თვის გავუმწართ საცოცხლე? განა ჩვენ არ გვეყოფა ის, რომ ზიზლით გვიყუ-  
რებენ?—აქ მარინემ ენაზე იკბინა, რაღაც გაახსენდა, რაღაც შეცდომა იგონო,  
რის გამოც მისივე შესწყვეტა ოჯახის უბედურებაზე ლაპარაკი და, რომ სტუმ-  
რის ყურადღება დაეხიან, — თქვენ ნამგზავრი ბრძანდებით, დასვენება გესაჭი-  
როებათო — მიმართა თავაზიანად და იქვე ახლოს მდგარ ძველ სავარძელზე  
ანიშნა დასაჯდომად.

დიმიტრი დაჯდა მითითებულ სავარძელზე, მაგრამ ჯერაც ვერ დაეღწია  
თავი იმ ექვისაგან, რომელიც წარმოშვა მასში მარინეს ნალაპარაკებმა, განსა-  
კუთრებით აფიქრებდა ის, თუ რატომ სთქვა მარინემ „ზიზლით გვიყურებე-  
ნო“. ამ ლიტყვებით აღმასხანი გაახსენდა დიმიტრის, ისიც ხომ ასე გესლიანად  
ელაპარაკებოდა თავის ბედზე გზაში, ისიც რაღაც მწარე ნაღველს გამოსთქვამ-  
და თვითელ სიტყვაში. იქნებ ორივე ცოლქმარს ერთნაირი სევდა აწევთ გულ-  
ზე, ერთნაირი სენი სტანჯავთ და აწყლულვით.

მარინემაც დააბირა დამჯდარიყო სტუმართან ახლოს და გაერთო როგორ-  
მე ქმრის მოსვლამდე იგი, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ ვახშმის მომზადება  
იყო საჭირო, ღამე საჭიოდ დახანებულოც იყო და დაგვიანება აღარ შეიძლე-  
ბოდა. გარდა ამისა გურული ადათის მიხედვით პირველად მოსულ სტუმარს  
ოჯახში უფრო მეტი პატივის ცემა ეკუთვნის, ვიდრე მოშინაურებულებს და  
მარინეც, როგორც გურული ოჯახის დიასახლისი, სცდილობდა არ დაერღვია  
ეს ადათი და შესაფერისად დახვედროდა დიმიტრის, ამიტომ ბოდიში მოიხდა  
მასთან, — მაპატიეთ, რომ დროებით მარტო გტოვებთ, ამას დიასახლისის მო-  
ვალეობა მაიძულებსო, იმედია არ მოიწყენთ, სანამ ჩემი ქმარი დაბრუნდებო-  
დეს, — უთხრა მოკრძალებით.

სტუმარმა იგონო, თუ რა მოვალეობაზე ელაპარაკებოდა მარინე და უნ-  
დოდა ეთქვა ნუ წუხნდებითო, მაგრამ ფეხმარდი დიასახლისი ისე მკვირცხლად  
გაშორდა მას, რომ ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო. სახტად დარჩენილმა დი-  
მიტრიმ უკმაყოფილოდ გადადევნა თვალი მარინეს და ურუანტელივით დაურ-  
ბინა გულში ნატვრამ, ნეტავ არ მომშორებოდა გვერდიდან, მუგის ვახშამი არ  
მინდოდაო.

## ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ე

წვიმდა. ნიაღვარი ხმაურობდა ქუჩებში.

ფანჯარაზე მიყრდნობილი გავცქეროდი ტფილის და ვფიქრობდი ცილაზე.

სამი კვირაა მისგან წერილი არ მიმიღია. ეს პირველი შემთხვევაა წერილის დაგვიანებისა.

ცილას ყველა წერილი შინაარსიანია, იმედებით აღსავსე, ალტაცებით მწერს თავის მუშაობაზე, თუ როგორ განკურნა მძიმე ავადმყოფი. როგორ დაიმსახურა ხალხის სიყვარული... ვერ წარმოიდგენ, მიშიკო, როგორ მიხარია. როცა ჩემს მიერ განკურნებულ ადამიანს ვხედავ. მაშინ ვგოძნობ, რომ ტყუილად არ დავკარგე წლები, არ შევარცხვინე ჩემი მასწავლებელი პროფესორებით, მწერდა ერთ წერილში.

მეტად ახალგაზრდაა ცილა, მაგრამ მოსახლეობაში ნდობა და სიყვარული მაინც დაიმსახურა. ხელთა მაქვს გაზეთის ამონაჭრები. დახატულია ცილას სურათი. აქებენ ახალგაზრდა სპეციალისტს.

„... ნუ მოიწყენ უჩემობით, ჩემო მიშიკო. ჩვენ ცხოვრებას კიდევ მოვესწრებით, ახალგაზრდები ვართ. დიდად მახარებს, რომ სოციალისტური სამშობლოს წინაშე პირნათელი ვარ“, — მწერს ცილა ხშირად.

როგორც არ უნდა დამამშვიდოს ცილამ, მაინც მოთმინება მიწყდება. ოჰ! რა გრძელი მეჩვენა ეს სამი წელიწადი! ერთი კვირის შემდეგ სწორედ სამი წელი გაზნდება, რაც სვანეთში მიმავალი ცილა ტფილისის სადგურზე გავაცილე.

ფანჯარას მოვშორდი. მძიმედ გამოვალე საწერი მაგიდის უჯრა, სუფთად შენახული რვეული ამოვიღე. ჩემი დღიურები — სამი წლის წინათ დაწერილი! როცა ცილაზე ვფიქრობ, მიყვარს მათი წაკითხვა. ცილას წასვლის დღეებს მაგონებს.

ქუჩაში ისევ ისმოდა ნიაღვრის რუხრუხი, ქროდა ქარი. წვიმის მსხვილი წვეთები ეცემოდა მინებს.

დღიურების კითხვა დავიწყე:

„1 აპრილი. ჩემს და ცილას სიყვარულს შხამი ჩაერია.

დღეს ცილა მეტად მხიარული დაბრუნდა ინსტიტუტიდან. სახე არაჩვეულებრივად უბრწყინავდა. ალტაცებით შემეგება სიტყვა:

— იცი, მიშიკო, — ჩვენი ბედნიერება სამი წლით გადაიდო.

ხუმრობა არ ეტყობოდა. განცვიფრებული შევაჩერდი. აღელვებით შევეკითხე:

— ციალა, ეგ რა სთქვი?

— დღეს პირობა დავდე ჯანმრთელობის კომისარიატში, რომ სამი წლით წავაღ სვანეთში.

— მერე? — წამოვიძახე მოუთმენლად.

— მერე და ჩვენი ქორწილიც გადაიდება, შენ ტფილისს ვერ მოშორდები. ახლადშეუღლებულნი რომ დავშორდეთ, უარესია... — სრული სიმშვიდით ლაპარაკობდა ციალა. ოდნავადაც არ ეტყობოდა ნაღველი. ციალას არხეინობა მამბრაზებდა.

— ციალა, გთხოვ ხელი აიღო მაგ განზრახვაზე. მოუთმენლად ველოდი ბნელი ტყუილის დამთავრებას. ბედნიერების მოახლოებას. არა, ციალა, რასაც შენ ფიქრობ, ზღაპარია.

ციალა განცვიფრებული მომჩივებოდა, გაუკვირდა ჩემი გაბრაზება. მერე ოდნავ გულმოსულმა დაიწყო.

— მე გეუბნები სინამდვილეა, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია.

— ვერ შეასრულებ!

— შევასრულებ!

— მაშ ვნახოთ.

ციალა გაბრაზებული წავიდა.

2 აპრილი. დღეს დავიწყე სიარული ერთთვიან პროფკურსებზე. აქამდე უარს ვამბობდი. ახლა მიხარია. გულს გადავაცოლებ. ციალას ცაბუტვას უფრო ადვილად შევეურიგდები.

3 აპრილი. კურსებზე ახალი მსმენელი ქალი მოგვემატა. ჩემი ყურადღება მიიპყრო. ცხრამეტი თუ ოცი წლის იქნება. არ არის ძლიერ ლამაზი, მაგრამ მეტად მიმზიდველია. მისი მოძრაობა სადაა, ხელოვნურ ძალდატანებას მოკლებული. მოუსვენარ მიმოხვრაში ეტყობა მოქარბებული ენერგია, ახალგაზრდული სიცოცხლე. ყური მოვკარი მის სახელს, აღრიცხვაზე რომ ტარდებოდა: გულნაზი. მშვენიერი სახელია!

4 აპრილი. გულნაზიმ ლექციაზე დაიგვიანა, მოწყენილობა ვიგრძენი, გული ჩემს უნებურად სწუხდა. რაღაც აკლდა. ლექტორის ნაცვლად კარებს მივსჩერებოდი განუწყვეტლივ. „ვინ იცის არც მოვიდეს მეთქი“ — გამიელვა ეჭვმა. მაღლე კარები გაიღო. გულნაზი გამოჩნდა. ადგილი ბევრგან იყო. გულნაზი ჩემსკენ წამოვიდა. ვიგრძენი, ჩემი თვალების მიპატიჟება მიიღო. მჯერა თვალები ბევრს მეტყველებდნენ იმ წუთში.

— დიდი ხანია დაიწყო? — ჩუბჩუბით მკითხა.

— ათი წუთი თუ იქნება; — გუპასუხე და გულნაზისკენ შევბრუნდი, მინდოდა დაუსრულებლივ მეცქირა.

— სამსახურიდან არ გამომიშვეს, — თავს იმაბრუნებდა.

რვეული ამოიღო, ფანქარი დავიწყნოდა.

— ხომ არ გექნებათ ზედმეტი ფანქარი? — მორიდებით მომმართა. ფანქარი გადავეცი. ლექციის ჩაწერა დაიწყო.

ლექციის დამთავრების შემდეგ ვიღაცამ დაუძახა. მასთან საუბრის საშუალება არ მომეცა.

5 აპრილი. სახლში ადრე დაჯბრუნდი. ციალა დამხვდა. მესიამოვნა. მეგონა პატიებას მთხოვდა. განზრახვაზე ხელს აიღებდა. შესვლისთანავე გამიღიმა.

— შევრიგდეთ — და ხელი გამომიწორდა. ძვირფასი იყო ჩემთვის ეს სიტყვა. წარბი მაინც არ გავხსენი.

— არ მირიგდები? — ღიმილით გამიმეორა.

— ხელს აიღებ განზრახვაზე? — ვუპასუხე კიფხვით.

— არა! — მოკლედ მომიჭრა.

— მაშ არც მე გირიგდები! — და ზურგი შევაქციე:

— მიწიკო, — დაიწყო ალერსით, — საექიმო დარგს ვამთავრებ, ვალდებულნი ვარ წავიდე, სადაც საჭიროა. ტფილისში ისედაც ბევრია ექიმი.

— ვხედავ, ადარ გიყვარვარ, რაიონში წასვლა უბრალო საბაბია, — მკვახედ მივაძახე. სახეზე არც შემიხედავს.

— გრცხვენოდეს მიშა, ცილისწამებისტვის. ასეთი აზრი როგორ მოგივიდა. განა ამის საბუთი მოგეცი?!

ციალამ თავი ველარ შეიკავა, სკამზე დაეშვა. შევამჩნიე — წამწამები ცრემლებმა დაუსველა. ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი ციალას გულწრფელობაში, მხოლოდ გასაჯავრებლად ვეუბნებოდი. ჩემი გულისწყრომა ჩანელოდა. ციალა შემებრალო.

— ნუ იბუტები. მაშ რას მივაწერო ასეთი უცნაური გადაწყვეტილება?

— უცნაური სწორედ შენა ხარ. განა მიტომ ვისწავლე, რომ გათხოვებით დაეასრულო ყველაფერი!

— მე არსად არ გიშვებ, მორჩა და გათავდა!

— რა უფლებებით?!

— ახლა კი ცხადია სხვა გიყვარს, — შევნიშნე ვესლიანად.

— კარგი, მიწიკო, ნუ მტანჯავ. მილიონჯერ შემოგფიცავ, რომ შენს მეტს არავის შევიყვარებ.

და ციალა კისერზე შემომეჭდო. ჩამოვიშორე და ცივად ვუთხარი:

— შენი არაფერი არ მინდა, თუ განზრახვაზე ხელს არ აიღებ.

— მაგის მეტს ყველაფერს დაგიტომობ, — ვედრებით მითხრა. გავკერპდი.

— სხვა არაფერი არ მინდა.

ციალა რამდენიმე წუთით უძრავად იდგა. მერე ერთბაშად შეიქრხა:

— მაშ, მშვიდობით! — მომამახხა და კარი გაიხურა.

7 აპრილი. გულნაზი ღიმილით მომიახლოვდა.

— თქვენი ფანქარი რომ მივითვისე!

— იმაზედაც არ გეტყობდი უარს, რომ ფანქრის პატრონი მიგეთვისებიათ!

— ეგ მეტი იქნება. — და გულნაზიმ გამიღიმა, მომხიბლავი თვალები გამისწორა.

ვინაობა გამოგვკითხე. ახლად დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი, ბიბლიოთეკაში მუშაობს.

ლექციების დამთავრების შემდეგ გავაცოლე. გულნაზიმ მკლავი გამიკეთა. მეტი სიახლოვე ვიგრძენი. ენა დამეხა. სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე.

— ჩემი საქმეო მაცილებდა ყოველთვის. დღეს არ ეცალა, — დაარღვია სიჩუმე გულნაზიმ.

პირდაპირ თვალეში შევხედე. სახე ოდნავადაც არ არევია. ვიგრძენი გაფრთხილება მომცა. უხერხული დუმილი საეჭვოდ მოეჩვენა. გულნაზის ღირსება ჩემში ამაღლდა. ვიგრძენი ისიც, რომ გულში რაღაცა დამკალდა.

— უკვე გათხოვილი ხარ? — შევეკითხე.

— ჯერ არა. სამი წელია ერთიმეორე გვიყვარს.

ჩემი გული რაღაცას სწუხდა. ერთი წუთითაც არ მომსვლია აზრად ცივლას ლალატი. არ მიფიქრია გულნაზის სიყვარულზე.

გრილი საღამო იყო. ტფილისი ჩვეულებრივ ხმაურობდა. ჩვენ წინ ახმაურდა წითელარმიელთა მწყობრი ფეხის ხმა და აგუგუნდა ლაშქრული.

— რა ლამაზად მიდიან, — სთქვა გულნაზიმ.

— მშვენიერად მღერიან, — დავუმატე მე.

— რომ იცოდე, გული მწყდება, რომ ვაჟი არა ვარ, მშვენიერი მეტროპოლი ვიქნებოდი.

გულნაზის სიტყვებში უმისამართო საყვედური ისმოდა. ამ მშვენიერი არსების მკერდში ქალის სინაზესთან ერთად გამბედავი გული სცემდა.

— გიყვარს სამხედრო საქმე?

— გინდა შევეჯიბროთ სროლაში?

— მერე ქალობა რად გიშლის ხელს. ხომ იცი გმირი ქალები?

— ვიცი, მაგრამ... — სიტყვა აღარ მოათავა გულნაზიმ, სახეზე მოწყენილობა დაეტყო. მიზეზი მინდოდა მეკითხა. გულნაზიმ ხელი გამომიწოდა.

— მშვიდობით, უკვე შინ მივედი, გამადლობთ.

გონებაში ჩამრჩა გულნაზის მოწყენილი სახე.

9 აპრილი. ცივლას ამხანაგი მოვიდა ჩემთან. შერიგებაზე ჩამოაგდო სიტყვა. არაფერი გამოვიდა. ცივლა თავისას გაიძახის. მე არავითარ შემთხვევაში არ დავუთმობ. საეჭვოა ჩვენი შერიგება. ნუთუ ამით უნდა დასრულდეს ოთხი წლის სიყვარული! არა, მე ცივლა მიყვარს. უმისოდ ვერ გაეძლებ; როგორმე უნდა ვათქმევინო უარი.

10 აპრილი. ვგრძნობ რაღაც არასასიამოვნო მოხდა. გულნაზის ვაცილებ, რაღაც ამბის თხრობა დაიწყო გატაცებით. არ მოვუსმინე, დაჟინებით მოვთხოვე ეთქვა მაშინდელი მოწყენის მიზეზი.

— განა ასე ადვილად კითხულობ სახეზე ადამიანის განცდას?

— ძნელი გამოსაცნობი არ ყოფილა. აშკარად შეგეტყო.

— მე არც კი მახსოვს.

— სტყუი!

გულნაზიმ გაიცინა, თვალეში შემომანათა, სიმზიარულე სჩანდა ხედვაში, უღარდებლობა ისმოდა სიცილში. ამით უნდოდა ჩემი ეჭვების გაქარვება. არ ვეშვებოდი. გულნაზი ხმამაღლა იცინოდა.

ვილაცის უსიამოვნო ძახილი შემოგვესმა. გულნაზი შესდგა, სახეზე ღიმილი გაეყინა.

— ბოდიში, — ხმის კანკალით მითხრა და გამშორდა.

ვიკრპენ, იმ წუთში საჭირო არ ვიყავი გულნაზისთვის. ნელა განვაგრძე გზა. გულმა მითხრა, რომ გულნაზის უსიამოვნება შეემთხვა. საბაბი მე ვიყავი ტრამვაის მოსაცდელთან შეეჩერდი, თვალები უკან მრჩებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გულნაზი გამოჩნდა, სახე არეული ჰქონდა, ვერ შემამჩნია, უკვე მიმავალ ტრამვაის შეუხტა.

— ნეტა რა მოხდა?

11 აპრილი. კურსებზე გვიან მიველ. ლექცია კიდევ არ იყო დაწყებული. შესვლისთანავე გულნაზის თვალები შემეფეთენ. ჩემთვის სკამი დაეჭირა გულნაზის. მითხრა მის გვერდით დავმჯდარიყავი. სახე დაღვრემილი ჰქონდა. თვალებზე ძილის ვატეხა ემჩნეოდა. გაბიღიმა. ნაძალადეობა. აჩნდა ღიმილში.

— ბოდიში, გუშინ უხერხულად მივატოვე, — დაბალი ხმით მითხრა.

— პირიქით. ბოდიში, მგონი უსიამოვნების საბაბი მე ვარ.

— შენ რა შუაში ხარ? იცი როგორ გავლანძღე ის საზიზღარი! როგორ შემარცხვინა, განა ცუდს რას ვაკეთებდი?!

— შენი შეყვარებული იყო?

— ის იყო. მე მასთან აღარ გავივლი.

რამდენიმე წუთს დუმილით შევსცქეროდით ერთიმეორეს. გულნაზის სახე დაღვრემილი იყო.

ლექცია დაიწყო.. გულნაზის შევსცქეროდი. არ ვიცოდი — რით დამემშვიდებია. ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა ლექციის დროს. მოთმინება არ მეყო: რვეულის ფურცელზე დავუწერე:

„გულნაზი, შენ ძლიერ ნაღვლობ. რით შემიძლია დაგამშვიდო?“

გულნაზიმ ლამაზი ხელით მიაწერა:

„არ ვინაღვლებ, აღარც ვახსენებ.“

„ამას მხოლოდ სიტყვებით ამბობ. გული სხვას გეუბნება, არ ძალგის მისი გულიდან ამოღება“.

„მართალია... მიყვარს... სამი წელიწადია მიყვარს. მისი მშობლები შვილს მეძახიან. კარგი მშობლები ყავს, მისი ოჯახში დავდივარ. ჩემს ოჯახშიც დღის უხერხულია დაშორება. მაგრამ ხასიათი აუტანელი აქვს. საშინელი ექვიანია. უბრალო რამეზე მთელ ამბავს ამიტებს. შენ რას მიჩჩევ, როგორ მოვიქცე?!“

„შენი ბუნების ადამიანი ცოდვას მასთან. შენი ახალგაზრდა სილამე ჩაკვდება. დაიჩაგრები“.

გულნაზიმ რომ ჩემი აზრი წაიკითხა, ღრმად ამოისუნთქა, მეტად მოიწყინა. ალბათ სხვა პასუხს ელოდა. თავი ჩაჰკიდა. რამდენიმე ხანს ფიქრებს ებრძოდა, მერე ძლიერს აიღო თავი და მიპასუხა:

„გეთანხმები. ის ჩემთვის ნამდვილი ბორჯილებია, მაგრამ...“

უწერტილებოდაც გასაგები იყო გულნაზის აზრი. დავუწერე:

„გინდა ვიყო შენი კარგი მეგობარი? მხოლოდ მეგობარი“.

სიტყვა მეგობარს ხაზი ფავუსვი. არ მინდოდა გულნაზის ეფიქრა, თუნდაც ერთი წუთით, რომ სიყვარულს ვსთხოვდი.

— „სიამოვნებით, თუ თქვენ ეს გინდათ“.

ბედნიერებას?

„მითხარი მხოლოდ: ჩემი მეგობრობა ხომ არ შეუშლის ხელს თქვენს



„ფიქრობ — არა“.

კიდევ დაიწყო დუმილის წუთები. ცალცალკე გავყევით ფიქრებს: მეც მომეწყინა. გულნაზის ნაღველი გადმომედო.

„დღეს თუ აქ არა, სახლთან მაინც დამხვდებო. მეგობრულად მიჩივი: რა ვუპასუხო?“

მივხვდი, მხოლოდ ერთი რჩევა გაახალისებდა: შერიგება.

— „ჩხუბი და ბუტიაობა სიყვარულის განუყრელი თანამგზავრია. შერიგდი“.

გულნაზის სახეზე ვერ ამოვიკითხე, როგორ მიიღო ჩემი რჩევა.

12 აპრილი. მთელი დღე სახლში ვიჯექი. მეგონა ცილა მოვიდოდა. არ მოვიდა. უყვე აღარ შემიძლია მოთმენა. მომენატრა ცილას ალერსიანი ხმა. რა იქნება, რომ მოვიდეს და შემირიდეს, ხელი აიღოს რაიონში წასვლაზე? განა შემიძლია სამი წელიწადი უმისოდ გავძლო? ცილასაც ხომ უნდა გაუჭირდეს. აქამდე სამი დღეც ვერა სძლებდა უჩემოდ. მაშ რაშია საქმე? ეგებ მართლა აღარ უყვარხარ! უპ, რა საშინელი აზრი მომდის! ცილა არ მიღალატებს. მტკიცედ მჯერა. ცილა ცბიერი არ არის. ალბათ მალე მოვა. შერიგებას მთხოვს.

15 აპრილი. სამი დღე გულნაზი არ დადიოდა ლექციებზე. დღეს მოვიდა. დაღვრემილი სახე აღარ ჰქონდა. სიცილით მომესალმა.

— რით დამთავრდა თქვენი ტრაგედია?

— საბოლოო დაშორებით. კიდევ უფრო მაგრად ვიჩხუბებთ. მის შერიგებაზე აღარ ვიფიქრებ.

გულნაზის სიტყვებში სიმტკიცე სჩანდა. ეტყობოდა დაეძლია გულისათვის.

— ხომ კარგად მოვიქეცი?

— ვერაფერს გეტყვი, — და მხრები ავიჩიჩე.

18 აპრილი. ჩემს და ცილას შერიგებაში ნათესავეები ჩაერიენ. უმეტესობა ცილას ამტყუნებდა. არ უწონებდნენ რაიონში წასვლას. მეგონა საქმე კარგად დაბოლოვდებოდა, ცილას დაითანხმებდნენ, არაფერი გამოვიდა. ცილამ გადაჭრით განაცხადა, რომ დადებულ პირობას არ დაარღვევს. ყოველგვარი ცდა უნაყოფო გამოდგა. ისევ გაბუტულები ვართ. რა უსიამო დღეებია ჩემთვის!

20 აპრილი. კურსებიდან თეატრში წავვიყვანეს. გულნაზი ჩემს გვერდით დაჯდა. მხიარულად იყო. ვილაცამ დაუძახა. ბოდიში მოიხადა და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— ხომ არ გეგონა მიგატოვე? — და მღიმარე სახე მომაპყრო. გულნაზის თვალები მტკიცე მეგობრობას აღმოთქვამდნენ.

— არ მიფიქრია, — ღიმილითვე ვუპასუხე.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სახლამდე მივაცილე. გზაზე რამდენიმეჯერ ჩამოუდგეს სიტყვა შეყვარებულზე. ცუდად არ ახსენებს. ძლიერ უყვარს, თუმცა შერიგებაზე არ ფიქრობს.

22 აპრილი. ყური მოვკარი არასასიამოვნო ჩურჩულს. ჩემი და გულნაზის სიახლოვე საეჭვოდ ეჩვენებათ, ჰგონიათ: ერთმანეთი გვიყვარს. თუმცა ზოგიერთებმა იციან: ჩვენ მხოლოდ კარგი მეგობრები ვართ და მეტი არაფერი. ძნელია ამ ეჭვების გაფანტვა. იმდენად ახლოს ვართ ერთიმეორესთან, რომ თითქოს სხვა

აზრი არ შეიძლება იყოს. მხოლოდ მე და გულნაზის შევეიძლია სწორად შევხედოთ მდგომარეობას. ერთიმეორეს შევევუთ. გულნაზის ძლიერ პატივს ვცემ; მეტრალეობა, რომ დარდი აწევს გულზე: მინდა დავიმედო, მეგობრობა გავუწიო, მაგრამ ვინ დავაჯერო, რომ ჩვენ შორის მეტი არაფერია?

24 აპრილი. სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდი. 5 საათზე დავბრუნდი სახლში. ცილა დამხვდა. იღიშებოდა, მაგრამ ირონიულად, სახე არეული ჰქონდა. ლელავდა. პირდაპირ არ მიყურებდა.

— მაშ ასე, ყმაწვილო, — მომამახა შესვლისთანავე და თვალები გამისწორა.

წუთით დავიბენი. ვერ გავერკვიე რას ნიშნავდა ცილას წყრომა. საწერ მაგიდას გადავაველე თვალი. ჩემი დღიურები იყო გადაშლილი. მივხვდი რაშიც იყო საქმე. ჯერ დღემილი ვარჩიე.

— გამცვალე არა? — გესლონად მითხრა.

— არ მესმის რას მეუბნები.

— შენ გულნაზი გიყვარს, — მითხრა ეს სიტყვები და ზურგი შემაქცია:

— ის ჩემი მეგობარია, — სერიოზულად ვუპასუხე.

— შენ ის მოგწონს.

— მაგრამ არასდროს ჩემი ცოლი არ ვახდებ.

— ხომ არ ფიქრობ მე გიშლი ზელს? როგორც გინდოდეს.

— ცილა, ეჭვები უადგილოა, დამიჯერე, რომ...

— ეჭვებისათვის არ მცალია, გზა ხსნილი გაქვს.

— ცილა... — ხმა მაღლა დავიყვირე.

ცილა აღარ ლელავდა.

— შენ გულნაზიზე იზრუნე, ბორკილები ჩამოაშორე, ცოდვას არ დიჩაგროს... — გესლი ერია ამ სიტყვებში.

— აქ რას ხედავ ურიგოს?

— არაფერს. სხვის ომში სიბრძნეს იჩენ. გულნაზზე ფიქრობ, შენი ცილას ბედი კი გავიწყდება.

უკანასკნელ სიტყვებში მომჯადოებელი ალერსი ჩაუროთო. მე თავი ჩავკიდე, ვიგრძენი დამიჭირა. შემრცხვა. ცილას მეტი აღარაფერი უთქვამს. უსიტყვოდ გავიდა.

25 აპრილი. მთელი დღე ცილაზე ვფიქრობდი. მეტად ამალღდა ჩემს თვალში. დანაშაული შევიგენ.

გულნაზის უამბე ყველაფერი. ბევრი იცინა.

— მე ვფიქრობდი შენი შეყვარებული ბედნიერი იქნებოდა. სჩანს ყველა ვაჟი ერთნაირია.

29 აპრილი. კურსები დამთავრდა. მე და გულნაზი ტყბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ჩემს უბის წიგნაკში ჩამიწერა მისამართი. მთხოვა ვინახულო ხოლმე.

25 მაისი. ცილა გავაცოლე. სვანეთში წავიდა. უხაროდა. ჩემი დატოვებაც ეძნელებოდა. რომ დავემშვიდობე, ცრემლები გადმოყარა.

— ნუ გამკიცხავ, მიშიკო. ვიცი ფწყინს ჩემი წასვლა. მეც მიჭირს შენი მოშორება, მაგრამ მოვალეობა უნდა შევასრულო, ნუ დამივხწყებ წერილები ხშირად მომწერე.

და როცა მატარებელი თვალიდან მოეფარა მე ისევ დიდხანს გავსცქეროდი  
ლიანდაგს. ჩემი გული ციალას გაყვა.

სამი წელი... ეს ხომ მთელი საუკუნეა“...

\*  
\* \*

დღიურები ამით მთავრდება. აგერ მიიწურა ეს სამი წელიც. ჰ! როგორ,  
გრძელი მეჩვენა ეს დრო! რამდენი ღამე გავატარე ცილაზე ფიჭვებში. ახლა მი-  
ხარია, რომ შორს აღარ არის ჩვენი ბედნიერება. ივნისის ბოლოს ცილა დაბ-  
რუნდება. ეგებ ახლაც აპირებს წამოსვლას და წერილიც ამიტომ იგვიანებს?

და როცა ცილაზე ვფიჭობ, გულნაზიც მაგონდება. ეს სამი წელია მისი  
აღარაფერი ვიცი. დაშორების შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს.  
გულნაზის საუბარი მომენატრა. დაეურეკე სამსახურში, ვთხოვე მოსულიყო ჩე-  
მთან. სიტყვა არ გამიტეხა: შეყვარებულს შერიგებოდა. მიაშბო როგორც მოხდა.

— ავტომანქანა გადაბრუნდა და შიგ მოყვა. ძლიერ დაიჭრა, გადარჩენას  
აღარავინ ელოდა. მამამისი მოვიდა ჩემთან, მთხოვა მენახა. სიკვდილის წინ. მა-  
შინვე გავიქეცი. უკანასკნელ დღეში იყო. ჩემი ხმა რომ გაიგონა, თვალები გაა-  
ხილა, გაიღიმა... შენ მემღერი — ხმის კანკალით მითხრა. ცრემლები გადმოე-  
ყარე, ავტირდი. ერთი კვირა თავზე ვადექი ავადმყოფს. ახლა კარგად არის,  
ფეხზე დადის. მაშინდელი ჩხუბის შესახებ აღარაფერი უთქვამს“.

ერთი კვირის შემდეგ კიდევ დავურეკე გულნაზის. მითხრეს „გათხოვდა,  
სამსახურს თავი დაანებაო.“ მის შემდეგ აღარ მინახავს. ბევრჯერ აღმეძრა ნა-  
ხვის სურვილი. ვერ გავბედე მეზინოდა ჩემს ნახვას არ აენგრია გულნაზის მყუ-  
დროება. ნეტავ სად არის ახლა გულნაზი?

წვიმამ გადილო. რადიო-მიმღებში ისმოდა კრემლის საათის რეკა.

ყურში ჩამესმა. ჩემი გვარი. ვილაც ყვიროდა ეზოში.

გულმა დაიგმინა, თითქოს იგრძნო საშინელი ამბავი. მუხლები ამიკანკალდა.  
ძლივს შევძელი კარების გაღება.

ელვა-დებეშა...

„ცილა უკანასკნელ დღეშია. საჭიროა-სასწრაფოდ ტფილისში გადაყვანა“.

ჩემი სხეული თითქოს ნაწილებად დაიშალა. უგონოდ დავემხე ლოგინზე.  
ღამე საუკუნედ გადამექცა.

— აეროდრომისკენ, — შევყვირე შოფერს და მანქანა გასრიალდა. ქალაქი  
იღვიძებდა, ქუჩებში მოძრაობა მატულობდა.

დილის მყუდროებას არღვევდა საყვირების ხმა.

მე მხოლოდ ამინდი მაინტერესებდა. აღარ სწვიმდა, აღარც ქარი ქროდა:  
ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული, თითქოს ძლიერი წვიმისთვის ემზადე-  
ბოდა. კავკასიონის მთებისკენ შევებრუნე თავი. სქელი ნისლი აწვა მთებს.

— ასეთ ამინდში რომ არ გაფრინდეს თვითმფრინავი? — დამკრა თავში  
საზარელმა ეჭვმა და სევდა მომაწვა გულზე.

გულის კანკალით მივედი სამოქალაქო ავიაციის უფროსთან.

— რა გნებავთ? — შემავება სიტყვა და თვალი გამისწორა, თითქოს წინა-  
სწარ მავრძნობინა, რომ ყველაფერს გააკეთებდა.

წუთები ძვირად მიღირდა. მღელვარე სიტყვებით გადავეცი ჩემი დარდი.  
— ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გადარჩინა. იგი ახალგაზრდა ექიმი, სამი წელია იქ მუშაობს.

ყურადღებით მისმენდა. როცა დავამთავრე, უფროსმა თავი ჩაჰკიდა. ეძებდა საიმედო პასუხს და რაღაც აჩერებდა. რამდენიმე წუთმა განვლო დუმილით. მერე ტელეფონის მილი აიღო. მეტეროლოგიური ცნობები მოითხოვა.

შეგჩერებოდი უფროსს და მინდოდა წინასწარ გადამეწყვიტა ციალას ბედი. საიმედო არაფერი სჩანდა. უფროსმა წარბი შეიკრა. უიმედოდ დადვა ტელეფონის მილი და ოდნავ დაღვრემილმა შემომხედა.

— ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელია სვანეთში გადაფრენა, ცუდი მეტეროლოგიური პირობებია, — მითხრა და თანაგრძნობით შემომხედა. წუხილი ემჩნეოდა სახეზე.

— მაშ იღუპება ახალგაზრდა სპეციალისტი. ვთხოვთ... თუ შესაძლებელია... — ნაწყვეტებად ვისროდი სიტყვებს. ვემუდარებოდი.

— თხოვნა საჭირო არ არის. ჩვენ ვიცით ადამიანის ფასი და ვალდებული ვართ დავებმაროთ. რა წუთშიაც შესაძლებელი გახდება სვანეთისაკენ ფრენა, განკარგულებას გავცემ. ასეთ ამინდში კი ძნელი დავალება.

თანაგრძნობა სჩანდა უფროსის სიტყვებში. რაღა მეთქმოდა. გაჩერდი და საკუთარ ფიქრებს გავესაუბრე:

„ციალა მგლოდება. შველას ელის ჩემგან. ოჰ! ეს ამინდი“. ჩემს გვერდით ადამიანები დადიან, საუბრობენ, რამდენიმე მფრინავმა მომაქცია ყურადღება, იკითხეს ჩემი მდგომარეობა და ერთიმეორეს ჩურჩულთ გადასცეს.

უფროსი დიდხანს იჯდა თავის ადგილას. ჩემი დაღვრემილი სახე არ აძლევდა მოსვენებას, ვგრძნობდი, რომ ჩემზე ფიქრობდა. სამჯერ ზედიზედ მოსწია პაპიროსი. მერე ისევ მოითხოვა ცნობა ამინდის შესახებ. არც ახლა უთხრეს საიმედო.. მოწყენილი გავიდა გარეთ. ყოველი მისი მოძრაობა ახალ იმედს მძლევდა.

„ნუთუ ციალა დაიღუპება?“ — არ მშორდებოდა თავიდან ასეთი კითხვები. ბედნიერებისათვის ვემზადებოდი, მახარებდა ციალას დაბრუნება, ალერსი, სამი წლის დაგროვილი განცდების გაზიარება. ტკბილი უნდა ყოფილიყო ჩვენი შეხვედრა და ყველაფერს შხამი გადაესხა.

— „ნეტა ცოცხალს მაინც ჩავუსწრო!“ — გამკრა აზრმა და სახე დამემანქა, ცრემლები წამომაწვა თვალებზე.

კარი გაიღო და უფროსი შემოვიდა. სახე უბრალოდ წინასწარ მახარეს კარგი ამბავი. პირდაპირ ჩემთან მოვიდა, მხარზე დამადო ხელი და ალერსიანად მითხრა:

— ერთი ახალგაზრდა მფრინავი კისრულობს გაფრენას, უკვე შეუდგა თვითმფრინავის მომზადებას.

გაქრა ნაღველი, გახარებული შევეკითხე უფროსს:

— ვინ არის, მითხარი მაინც.

— კარგი მფრინავია. არ შეგეშინდეს, — იმედინად მითხრა და თავის მაგიდას მიუჯდა. სასწრაფოდ შევეუდექი თადარიგს. გავგზავნე ელვა-დებეშა. ვაცნობებდი, რომ ციალა აეროდრომზე დაეხვედრებოდა, გული გამჩატდა.

— თვითმფრინავი მზად იყო ფრენისთვის, კაბინაში შევიხედე მფრინავს მინ-  
ლოდა მიგსალმებოდი. რაღაცას ასწორებდა, ახალგაზრდა სჩანდა; ძლიერ, თუმ-  
ცა სახის მხოლოდ მცირე ნაწილი უჩანდა, ღიმილით შევხედე. დვალეებით გა-  
დავეცი უსაზღვრო მადლობა. მფრინავმა ოდნავ დახარა თავი, შემდეგ ხელით  
მანიშნა ჩავმჯდარიყავი.

პროპელერი აზუზუნდა და თვითმფრინავი შეცურდა. სივრცეში, სიამაყით  
გადმოვხედე ტფილისს. უცნაური აღფრთოვანება ვიგრძენი.

— რამდენიმე საათის შემდეგ ციალას ვნახავ, — გამიელვა თავში და შე-  
ვეცადე წარმომედგინა ციალას მდგომარეობა. ეგებ მძიმე ავადმყოფია; გონე-  
ბადაკარგული აქვს, ვეღარ მიცნოს. ეგებ ყოველივე ცდა უნაყოფოა. ეგებ...  
მაგრამ არა, ციალა არ დაიღუპება... ციალას სიცოცხლე სწყურია. ციალას  
სიკვდილი ვერ სძლევს.

გუგუნებდა თვითმფრინავი და სიამაყით დავსცქეროდი მაღალ მთებს.

სქელი ნისლი აწვა სვანეთის მთებს. არაფერი სჩანდა, თვითმფრინავი  
ბრმად მიფრინავდა. მხოლოდ ხანდახან გაიბობოდა ნისლი. გამოჩნდებოდა მთის  
მწვერვალები, ზოგი ამწვანებული და ზოგი თოვლით დაფარული.

თვითმფრინავი მაღლა იწევდა.

სიცივე ვიგრძენი, ავჯანკალდი. სახე გამიფითარდა. მფრინავი ჩემსკენ შემო-  
ბრუნდა, რაღაც მანიშნა. ალბათ ის, რომ არ შემშინებოდა. პასუხად თავი და-  
ვეუქნიე. თუმცა ძნელი იყო ჩემი სახის მეტყველების შეცვლა.

ორსაათნახევრის ფრენის შემდეგ თვითმფრინავით ფრთხილად დავეშვით  
სვანეთის აეროდრომზე.

ციალა მოეყვანათ. გველოდებოდნენ. საკაცეში იწვა. თვალეები დახუჭული  
ჰქონდა. კენესა შემომესმა.

— ციალა! — დავუძახე მისვლისთანავე. თვალეები გაახილა, წამოიწია.

— მიშიკო! ნუთუ შენ! — წამოიძახა. ხმა უძლური მჩვენა, მაგრამ ალე-  
რსიანი.

— ციალა, როგორა ხარ? — ლელვით შევეკითხე.

— აწი აღარაფერი მიჭირს, გადავრჩები.

— დიად, გადავრჩები!

— გმადლობ, მიშა! სჩანს არ დავგიწყებიავარ. — ჩურჩულებდა ციალა.

— თვითმფრინავზე ხომ არ გეშინია?

— არა, მშვენივრად ვგრძნობ თავს. დროა ჩავსხდეთ.

ისევ აზუზუნდა პროპელერი. თვითმფრინავი მოსწყდა მიწას და მაღლა  
აიწია.

ციალა მომეყარდნო. თვალეები დახუჭა...

ავტომანქანა აეროდრომზე დამხვდა. ციალა გადავსვი. უკეთ გრძნობდა  
თავს, თითქოს ადგომაც შეეძლო. მიღიმოდა. ვჩქარობდი საავადმყოფოში წამე-  
ყვანა. მახარებდა ციალას უკეთობა. სიხარულმა დამავიწყა მფრინავს გამოფ-  
თხოვებოდი, მადლობა მეთქვა.

ის იყო ავტო უნდა დაძრულიყო, ჩემთან ვილაც მოვიდა.

— თუ შეიძლება თქვენი მისამართი. მფრინავს სურს სახლში გინახულოთ.

ახლა მომავლენა ჩემი დაუდევრობა. გავწითლდი. დავწერე მისამართი და გადავეცი. ბოლიში მოვიტხოვე.

— ზევ მთელი საღამო შინ ვიქნები, — მივამძახე და ჩვენი მანქანა დაიძრა.

\*  
\*  
\*

ფანჯარასთან ვიჯექი და ტფილისს გავსცქეროდი.

მამის მშვენიერი ღამე იწყებოდა.

მფრინავს ველოდი. მიხაროდა ამ მშვენიერი ადამიანის შეხვედრა, ცილას მხსნელისა. საკმარისი იყო ცილას ერთი ორი დღე კიდევ დაგვიანებოდა და ყველაფერი გათავდებოდა, ცილა დაიღუპებოდა. სვანეთში შეუძლებელი იყო სათანადო დახმარების აღმოჩენა. ახლა ცილას საფრთხე არ ელოდა. ექიმებმა შესაფერი ზომები მიიღეს. ორ კვირაში ცილა საბოლოოდ განიკურნება და ჩემი ბედნიერებაც ახლოვდება.

ოთახის კარებზე ნაზი კაკუნი გაისმა.

— სწორედ ის არის: — გავიფიქრე და კარებს მივაშურე. გულის კანკალით გამოვადე კარი.

— გულნაზი! — წამოვიძახე.

უძრავად ვიდექი, შევცქეროდი გულნაზის და თვალებს არ ვუჯერებდი. გულნაზი ხედავდა ჩემს გაკვირვებას და იღიმებოდა.

— გულნაზი საიდან. როგორ მოგაგონდა ჩემთან მოსვლა? — აღტაცებით შევეკითხე და ხელი ხელზე მოუჭირე.

— არ მელოდი განა? — შემეკითხა და მშვენიერი თვალები გამისწორა.

მომხიბლავი იყო გულნაზის სახე. შეეჩერდი. რაღაც აზრი მომივიდა. წუთით დავიბენი, ჩავფიქრდი, ხომ არ ვსცდებოდი.

— გულნაზი, ნუ თუ შენ იყავი?!

— ეგრე ძლიერ რად გიკვირს?.. სიცლით მითხრა გულნაზიმ.

— გულნაზი, მეგონა, ოჯახში ჩაიკეტე. ჩაკვდა შენი მისწრაფებანი.

— არა, მიშა. როგორც ხედავ, ოცნებას ფრთები შევასხი.

— ქმარი?

— აღარ ექვიანობს. გავტეხე მისი ხასიათი. ახლა ძლიერ კმაყოფილია ჩემით. კარგი მეგობრები ვართ.

— მიხარია, გულნაზი, რომ ძველი მეგობარი დამიბრუნდა. ახლა ჩემთვის უფრო ძვირფასი ხარ, ვიდრე ოდესმე.

— და მე ვიქნები მეგობარი, თუ ჩემი სიახლოვე ხელს არ შეუშლის შენს ბედნიერებას.

გულნაზიმ გაიცინა:

ვიცანი ჩემი სიტყვები, სამი წლის წინათ ნათქვამი.

წუთით ისევ მოგონებას გავყევი. ყურში თითქოს ჩამესმა წითელარმიელთა ლაშქრული და გულნაზის ტბილი ჩურჩული.

... მშვენიერი მებრძოლი ვიქნებოდი!

## პარლის სიხე

დაგვცდა გოდერძის უღელტეხილი, —  
დღის ურიაშული გათენებისას,  
ბარში ჩამოგვეყვა გზების გრეხილი  
და მაღლი მთების სურნელებისა.

ვხარობთ აჭარის ყველა მნახველი,  
ზღვის სიხარულიც ჩვენთან ტრიალებს,  
ციხე გვპატიჟობს ვარდის სახელით,  
როგორც მოხუცი შემატრიანე...

გავყევით ქობინით და კრიმანჭულით —  
მოგვდგა თილისმის ბადე, ლახტური,  
დახოცილ ვმირთა მოგვი-ტანჯული,  
დღას მოზაიკით შემორახტული.

მზიურ აჭარას ტინის კედელი  
„ათას ერთ ღამის“ ამბებს უყვება,  
მოაქვს ზღაპრები გაუცვეთელი  
დროთა სტიქიის ხელშეუხებლად.

უყვება ყველას, მტრებმა ეს არე,  
როგორ დაბუფეს ხათქით, რაღლით  
როგორ დატოვეს ციხე მკვნესარე  
მკერდ-დასერილი ინიციალით.

რომ შეიჩინოს ყოფა-კეთილი,  
გაპყვეს მზისა და ქვეყნის დიდებას,  
არ შერჩეს ხედვა კარმოკეთილის  
და სიხარულის შემობინდება,

უამბობს კენესით თუ წინაპრების  
დღეები როგორ მწარედ გავიდა,

შემოვლევთ თითქოს ზღაპრები...  
„ათას ერთ ღამეს“ იწყებს თავიდან...

შემოთასმია ციხეს რა ხანი,  
ვარდის სახე და მისი სურვილი;  
შემოსწყვეტია ხმლების ჯახანი  
და ქრილობები განუკურნელი.

მოსდევს აჭარას ვარდი ფენილი,  
ვერ დაუცია დროთა დინებას...  
მზე პერანგადან ამორბენილი —  
მოვის პერანგად მოეფინება.

უამბობს ყველას: „ჩემი მამული  
მკენესარ წყლულებით აღარ დადისო.  
მხრებზე მახურავს ცა — მეწამული  
და გაზაფხული სამარადისო.“



## ქ ა რ ი

დაიგრილა შორიდან ქარმა  
ზათქით, ღრიალით და საყვირითა,  
გაჩნდა ტფილისში ფრთამალი ჩქარა  
და დიდ გამზირზე გაიჯირითა.

ტფილისს მზე უყვარს, ვინ დაპატიუა?  
მშვიდი დაქროლვა — ქადრებს გაშლილებს,  
მაგრამ ჰტუმრობა რა იცის ვიქმა,  
რა დააწყენარებს, რა დაამშვიდებს?

ასე ვფიქრობდი, ვიდრე მღუმარედ...  
იგრძნო ტფილისის მზეობა მანაც,  
რამდენ რამეებს გადაუარა,  
მაგრამ აქ ნახა მზეთა ქვეყანა.

შეხედა ქალაქს, უმაღვე ჩადგა,  
აკაკის ძეგლთან გაფურჩქნა სურო,  
სალამი მისცა აშოლტილ ქადრებს,  
ჩრდილების ზღვა რომ გადმოეხურა.

დაკეცა ფრთები, დაიწყო ჩავლა,  
ქარი აშარი, უბელო რაში,  
მისწყდა, მინელდა და დაიძალა,  
მააცილებდა ფრთლების ტაში.

ყოველთვის იყო ბოროტი, უნდო:  
აქ კი ტფილისის ეშხმა მოხიბლა,  
დახარა თავი შეიქნა მყუდრო,  
დაემორჩილა უეცარ იღბალს.

რუსთველის გამზირს აჩუქურთმებდნენ  
ქადრები, როგორც სტრიქონებს რითმა.  
გაიქცა ქარი, გადევლო ქედებს  
და მთებს გადაღმა გაიჯირითა.

# კ რ ი ტ ი კ ა

დავით კასრაძე

## ლიგარაგურული მენიშვნები

ი. ლისაშვილი

ი. ლისაშვილმა მეტად შეუმჩნეველად შემოაღო კარი ჩვენს მწერლობაში. მისი წერის მანერა განსაკუთრებულია, მეტად ნაზი.

ლისაშვილს არ უყვარს ძველი თემატიკა, იგი მუდამ ახალი სიტყვის, ახალი თემატიკის ძიებაშია.

ახალსა და რთულ თემატიკაზე იყო აგებული მისი რომანი „ვარდნილი“. „ვარდნილის“ სუჟეტი მშენებლობის ფურცლებზეა გაშლილი. „ვარდნილზე“ გაჩაღებულ მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი ლევან ქვაკირელი; რომელსაც მხარში უდგანან მშენებლობის სხვადასხვა ხელმძღვანელი. მშენებლობის მთავარი პროექტის ავტორი სერგო ნიაგარელი მუშათა წრიდანაა გამოსული და პირველი მსხვერპლიც ის ხდება მშენებლობაში შეპარულ მავნებლებისა.

რომანი გადატვირთულია მრავალი ხლართული და მოულოდნელი მომენტებით, მაგრამ, ავტორის ღირსებას ის შეადგენს, რომ არ იბნევა და მძაფრად მიჰყავს სუჟეტი. მავნებლები ვერაგულად ჰკლავენ სერგო ნიაგარელს, მთავარ გვირახს ააფეთქებენ, დასჭრიან მშენებლობის მთავარ ხელმძღვანელს — ლევან ქვაკირელს.

ვინ არიან მშენებლობაში შეპარული მავნებლები? უწინარეს ყოვლისა, ინჟინერი კაკანაძე, ეს არის ნამდვილი გაიძვერა, არამზადა; ძველი ქვეყნის მზაკვარი ადამიანი. მას უკან მისიანჩალებენ გამხეცებული კულაკები, რომლებიც ბანდიტიზმის გზას დასდგომიან, ნახუცრები, ნადიაკვნარები, ერთი სიტყვით: ვერაგი ხალხი, ძველი ქვეყნის უბადრუკი ნაშთები.

მავნებლობაში თავს ამოჰყოფს თვითონ ლევან ქვაკირელის შეუღლე ელენე. ეს ფუქსავატი ქალი, მომაცვდავი კლასის წარმომადგენელი; ლევანთან ანგარებითაა შეზიზნული და არა ნამდვილი სიყვარულით მასთან. ამიტომაც, რომ იგი გესლიანად კისკისებს მაშინ, როდესაც მშენებლობაზე საქმე გაძნელდება. ელენეს არა აქვს არავითარი თანაგრძნობა არც ქვაკირელის თავგანწირულებისადმი, არც მის აღფრთოვანებისადმი, მას ახასიათებს შოლორდ ურცხვი მტრობა და ძველი ცხოვრებიდან გამოტანილი თავქარიანობა, აი ყველაფერი ის, რითაც შემკულია ელენე. მას ერთი სერიოზული ხელობაც არ აინტერესებს, გარდა ტრავიალებისა.

ავტორმა ელენეს დაუპირისპირა ნინო კურაშვილი, ბოლშევიკი ქალი, შრომის ენთუზიასტი, ძლიერი, მშენებლობისთვის თავდადებული ადამიანი ბევრს მხატვარს შეენატრება მისი ფიგურის გადატანა ტილოზე, როდესაც იგი ავდარში, ჯანყსა და სეტყვა-კორიანტელში შიშველი თავით, აწეწილი თმით თავშეუკავებლად მიჰქრის, რომ მავნებელი ავაზაკები ადვილზევე შეიპყროს, ვიდრე ისინი მოასწრებდნენ მშენებლობის აფეთქებას. ნინოს ფიგურა თავისი მშვენებით დიდად ამდიდრებს რომანში ფინალს, როდესაც იგი „ვარდნილის“ მშენებლობას იხსნის დაღუპვისაგან.

„ვარდნილის“ შემდეგ ავტორმა წარმოგვიდგინა მთელი სერია სულ სხვადასხვა უანრის ახალი მოთხრობებისა, რომელთაგან აღსანიშნავია „კადონა“, ეს მშვენიერი სურათი კოლმეურნეთა ცხოვრებიდან, „კერაი“ და „კოლხეთის მზე“.

„კერაში“ გამოყვანილია შეძლებული გლეხი—წითური, შვილდევით წელში მოხრილი ივანე ჩარდიშვილი, რომელიც ყველა საზოგადო კრებაზე, თემშარაზე და თითქმის ყველგან, სადაც შემთხვევა მიეცემოდა, სულ ერთსად იამივე სიტყვას გაიძახოდა: „არ მინდა, ძამიფ, არ მინდა“...

არის ქართველ ენაზე შესანიშნავი ტერმინი, ივანესთანა კაცების დასახსიათებლად, რომელიც სხვა ენაზე ძნელად მოიპოვება — ვირეშმაკა! ამ კაცს აქვს ყველა ის თვისებები, რაც გაუმძაღრობას ახასიათებს, იგი ძუნწი, გაუხარელი და სხვისი სიხარულის არგამზიარებელი, მდევნილი სწავლა-განათლებისა, არ დამნდო არც მეზობლებისა, არც ნათესავებისა, თვით საკუთარი შვილებისაც. ობლად დარჩენილ ძმისწულების მეურვეობა მან იმით დაასრულა, რომ უწლოვანი გულქანა სასწრაფოდ, ნაძალადეგად მიათხოვა ვინმე ილარიონს, რომელიც ყველასათვის უცნობი იყო.

მაგრამ გავიდნენ დრონი. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გარდაქმნა ქვეყანა, მოხდა ჯერ არნახული აყვავება მეცნიერებისა, ტექნიკისა; მოისპო კაპიტალისტური ექსპლოატაცია და დამყარდა ჰარმონია სოფლისა და ქალაქის მშრომელთა შორის. სოფელში კოლექტიურმა ცხოვრებამ შექმნა ყოველნაირი პირობები ბედნიერი ცხოვრების ასაყვავებლად. ეს ესმის ივანე ჩარდიშვილის შვილს, სარდიონს და დედასთან ერთად ჩაებმება კოლმეურნეობაში მაშინვე, როდესაც კერაი ივანე ისევ „არმინდას“ გაიძახის. ბოლოს ივანე ხორკლიანი ჯოხით შეუვარდა ბედნიერ შვილს და კინაღამ მოჰკლა. ამის შემდეგ ივანე თავის მოსაკლავად შევარდება ბელელში და იქ საპნისმოსადღებულ სოდას სვამს. მაგრამ გადაარჩა შვილი, მოასულიერებენ ივანესაც, რომელიც უკვე გატყდა და ურიგდება ახალ ცხოვრებას, — სამუდამოდ ეშობა მისი საკერაე!

ვირეშმაკა ივანე ჩარდიშვილს ლისაშვილმა დაუპირდაპირა ბიქტორი, პატარა რომან „კოლხეთის მზეში“. „კოლხეთის მზე“ მარტივად მოქსოვილი მინიატურული რომანია. რომანის გმირი ბიქტორი სიდატაკეში გაზრდილი გლეხის ბიჭია. მეტად სევდიანი ფურცლებით აგვიწერს ავტორი მის გაწამებულ ცხოვრებას და იმ დამყაყებულ ცხოვრების ფონს, სადაც იზრდება ბიქტორი. პირველ სტრიქონებიდანვე მკვეთრი ხაზებითაა მოცემული ბიქტორის პროფილი თავისი „ჩიჩილაკივით“ დაფლეთილი პერანგით, საშინელი ჭაობნარი და

ლაქაშები თავისი განუშორებელი ბაყაყების ორკესტრით. ადგილი, სადაც მიწას შმორისა და ბალამის სუნი ასდის, სადაც იწამლება ჰაერი, სადაც უნუგეზოდ მიგდებული ქვეყნის ყოველი კუთხე სიღამპლეს წარმოადგენს — აი ის არე, რომელიც ეაკვანა ბიქტორს. აღარ გაგიკვირდება თუ ისეთი სიცოცხლით სავსე და ხალისიანი ჭაბუკი, როგორცაა ბიქტორი, მუდამ ნაღვლით დაზიდულ „ჩელა-საჩეჩელას“ მოიმღერს და ერთხელ კინაღამ მსხვერპლი შეიქნება ამ ჭაობების, როდესაც იგი კამეჩებს დაეძებს, რომელთაგან ერთი უცვვე ჩაელუბება ჭაობში. ჩელას უკანასკნელი ყროყინი, მისი თვალების მზერა და შველის თხოვნა, გაკვირვებთ, ცრემლსა გგვრით; მაგრამ იცვლება დრო, საბჭოთა ქვეყანა სასწაულებს ახდენს და ერთი სასწაულთაგანი ის არის, რომ ამ ჭაობებში ამუშავდება წერსაქვი და დიადი მშენებლობა დაიწყება. მაგრამ რაოდენად გაგიხარდებათ, რომ კოლხეთის მომავალი მზის ამ დიადი მშენებლობის ხელმძღვანელად სწორედ ეს ბიქტორია, ბიქტორ, ოდესაც სევდიანი, ახლა კოლხეთმშენის ერთერთი ხელმძღვანელთაგანი. ორი ბრიგადა იბრძვის სხვადასხვა მხრიდან წამოსული. და აი, სწორედ იმ ადგილს, სადაც ოდესღაც ბიქტორის „ჩელა“ ჩაილუბა — შეჯიბრებაში შესული ბრიგადები ერთად შეიყრებიან, ხოლო არხების შეჯვარების ადგილას უკანასკნელი დარტყმით ამოაგდებენ კამეჩის ჩონჩხის ძვლებსაც. ბიქტორ შეკრთება, მაგრამ მის შეკრიობას გამოაფხიზლებს მეორე მხრით წამოსული არხის მთხრელის ყიჟინა და ამ ბრიგადის მეთაური ნუნუ, რომელმაც ერთ დროს სიკვდილთან მებრძოლ ბიქტორს ალერსიანი მოვლით აჩუქა სიცოცხლე და რომელიც აქამდის თითქოს ჰორიზონტიდან იყო გამჭვრალი. აღტაცებაში მოჰყევებათ ამ სურათს.

\* \*

უკანასკნელი რომანი ლისაშვილისა არის „ძახილი მთაში“. ეს არის პირველი ცდა ფსიქოლოგიური რომანის განახლებისა ახალს პირობებში.

ლისაშვილმა ამ რომანით გააშუქა მივარდნილს მთებში კომკავშირელ ნოდარის ცხოვრება, რომელიც ასე ლამაზად გაშალა მან ჩვენი ეპოქის სოციალურ ფონზე. ჩვენ უშუალო მოწმენი ვხდებით ნოდარის შინაგანი სულიერი მღელვარებისა, თუ ვნებავთ დრამისა, რომელსაც განიცდის ჩვეულებრივ 19-20 წლის ჰასაკში გადასული ჭაბუკი ნოდარი. ეს ფართოდ ფილოსოფიური, ცენტრალური ფიგურაა. მაგრამ იგი მაინც ინდივიდუალური პიროვნებად რჩება. დანარჩენი პირები მის ირგვლივ ეპიზოდურ, როლებს ასრულებენ, ავტორმა იმიტომ შემოაკრიბა ისინი, რომ უფრო რელიეფურად გამოეყო ცენტრალური ფიგურა ნოდარისა; ეს თუ ვნებავთ ნამდვილად დრამატიული პორტრეტი გახლავთ.

ნოდარის ფიგურა, მისი განცდები, ავტორს მეტად ნათლად აქვს წარმოდგენილი. ლისაშვილი მას გვიხატავს უადრესი სიყვარულით, უადრესი ტანჯვით, გვიხატავს როგორც გამოუცდელ ახალგაზრდას, რომელიც ხელმძღვანელობას საჭიროებს.

ნოდარს შეუყვარდა ეთერი, კულაკის ქალიშვილი. კლასობრივი ინტერესების შეჯახება მსხვერპლად შეიწირავს თვით ეთერის გრძნობებს, რომელიც პირველ ხანებში ნაზი აღტაცებით უპასუხებდა ნოდარის გრძნობებს. მის თავ-

შეტუკავებელ აღმაფრენას მოსდრეკავს კულაკი მამა და თავისი ბოროტი ზრახვების ბრმა იარაღად გამოიყენებს ეთერს, რომ ნოდარიც გახრწნას და ყაჩაღისა და გარეწარის სახელწოდებით დაუდალოს მას სპეტაკი შუბლი. მაშინ ნოდარი შეარცხვენდა ხალხის თვალში მთელს კომკავშირს, — ასეთი იყო ბოროტი ზრახვები გაბოროტებული კულაკისა.

მწუხარებით დაზიდული ნახტომ-შემლილი ნოდარი ხსნას დაეძებს, განცდების მორევში დაყურყუმალაობს, როგორც გამოუცდელი მყვინთავი და ბოლოს ბანდიტების ხელში ჩაეარდება. მის გაწამებულ სულში, შეგინებულ არსებაში გაისმის აღსარება, როგორც დამსხვრეული ჩანგის უკანასკნელი სიმის თრთოლვა, რომ ის სპეტაკია, წმინდაა, კომკავშირელი, რომელსაც უფლება ჰქონდა სიყვარულისა, მაგრამ ეს სათუთი გრძნობა შეუღლებს, გაუთახსირეს.

მეტად ურუანტელდამვლელია სცენა, როდესაც ნოდარის მამა მოხუცი სოლომონი სირცხვილის ჩამოსაწმენდად გასწევს შვილის მოსაკლავად ბერდანის თოვლით ხელში და თოვლით შემოსილ მთებს გადალახავს. ის ერთადერთი აზრითაა გამსჭვალული, რომ შვილი დიდიხანია ზნეობრივად მოუყვდა და ახლა ფიზიკურად უნდა მოსპოს იგი აი; ისრაოლა... გაისმა მომაკვდავი შვილის კვნესა. ეს კვნესა გამოაფხიზლებს მამას, მიიჭრება და დაჭრილ შვილს ველური ღმუილით დასტირის უკვე, როგორც ნამდვილი მამა და არა როგორც მარტოდენ მოქალაქე, ჩვენნი საზოგადოებრივობის სიფხიზლის სადაზავოზე გადმომდგარი და შვილმაც შეუღლო მამას:

„...მამა, მე ყველაფერი ვიცი... შენ მართალი ხარ, მე დამნაშავე... მაგრამ ყაჩაღი მაინც არა ვარ... მე ვკვდები კომკავშირელი...“

და ეს წრფელი აღსარება იმდენად დამაჯერებელია, რომ მამა ფხიზლდება და მზადაა შვილის სიცოცხლეს შესწიროს უკანასკნელი სუნთქვა, რომელიც ისევ ველურ ამონაკივლში გადმოიღვრება:

— აჰუ!..

და ეს ამონაკივლი ველური ირმის ჯოგით გაინავარდება არა მარტო იმ მთებში, სადაც სოლომონი ეზიდება მომაკვდავ შვილს, არამედ თქვენ გულშიაც შემოიჭრება და აგათრთოლებთ.

რომანის პირველი ნაწილიდან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჩვენს დიად ეპოქაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა ძველის-ძველი შემონარჩენი, როგორც ბილწი კერპებისა და მათი რღვეული ტაძრის კედლებიდან გამოშვებული შავი ჩრდილები. ჩვენთვის გასაგებია ნოდარის ბედი, რომელიც გათამაშებულია ჩვენი დიადი მზიური ეპოქის ფონზე. არა ცივი, ყინულოვანი საფლავი უნდა გვემეტებოდეს ასეთი ჭაბუკისათვის, არამედ ძმური თანაგრძნობა, რომ ის წამოვაყენოთ, გვათბოთ, ავამალლოთ, სწორ გზაზე დავაყენოთ, როგორც ჩვენი დროის ჭაბუკი. კომკავშირელში ანთებული ტრფიალების დახლართულმა ბილიკმა ჩვენ გზა არ უნდა აგვიბნოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეულ ჩვენგანში ოდესღაც ცოცხლობდა ნოდარ, რომელიც ტრფიალებისთვის მუხის ოქროს რკოებს გვირგვინით არ დაუდაფნიათ, როგორ სიკვდილის სიმბოლოთი...

## გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე\*)

ვიდრე თეირანში ის საშინელი ქლეტა შემზადდებოდა და მოხდებოდა, ნინო კვლავ თავრიზში იყო. ინგლისის ელჩის მაკდონალდის მეუღლე თვალისჩინივით ზრუნავდა მასზე და ნინო თითქმის მთელ დღეს მათთან ატარებდა.

„ინგლისის ელჩის ცოლმა, — წერს ბოროზდინი, — და მისმა მოზრდილმა ქალიშვილებმა ოჯახის საკუთარ წევრებით შეიყვარეს ახალგაზრდა გრიბოედოვა და ისე დღე არ გაივლიდა, რომ არ შეკრებილიყვნენ. თავმოებზრებამდე ერთობდნენ ისინი თავს მუსიკით, კითხვით, ხელსაქმითა და მასლაათით“.<sup>1</sup>

ამავე ხანებში ალექსანდრე ჭავჭავაძემ ფეხმძიმე ქალიშვილის მეტავალყურეთ თავისი ბიძაშვილი რომან ჭავჭავაძე გამოგზავნა.

როცა თავრიზში რუსეთის მისიის დაღუპვის ამბავი მოვიდა, გადასწყვიტეს ნინოსთვის დაემალათ გრიბოედოვის სიკვდილი, ხოლო რომან ჭავჭავაძეს ურჩიეს თავისი ნათესავი ქალი მაკდონალდის ოჯახში გადაეყვანა, რომ ვინმე მისულთაგანს შემთხვევით არ ეამბნა თეირანში მომხდარი უბედურება.

რომან ჭავჭავაძე ასეც მოიქცა...

აბაზ-მირზა ძალზე აღშფოთებული იყო გრიბოედოვის დაღუპვით და აღარ იცოდა რა ღონე ეხმარა, რომ რუსეთის ელჩის ფეხმძიმე ცოლი დაეთანხმებინა თბილისში დაბრუნებაზე.

მაკდონალდმა ურჩია აბაზ-მირზას, რომ მოიძებნოს ნინო ალექსანდრეს ასულის ვინმე ნაცნობი ქალი, რომელიც შთააგონებს მას ტფილისში წასვლის აუცილებლობას. აბაზ-მირზამ კარგად იცოდა, რომ აგალარ-ხანის მეუღლე გეოზალე-ხანუმი თბილისიდან კარგი ნაცნობია ნინოსი, რომელიც თავრიზშიაც მეგობრობდა მას.

ამიტომ აბაზ-მირზამ და მაკდონალდმა დაარიეს აგალარ-ხანი და გეოზალე ხანუმი დაარწმუნონ ნინო, რომ თავრიზში ვინეკოლოგი არ არის და მშობიარობისათვის თბილისში წასვლა აუცილებელია.

ამავე დროს თავრიზში ჩავიდა ტფილისელი ვაჭარი იაგორ ბეჟოშვილი, რომელმაც ნინო ალექსანდრეს ასულს მისი დედის სალომე ჭავჭავაძის ბარათი გადასცა.

\*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა № 8.

<sup>1</sup> „А. С. Грибоедов в воспоминан. совр.“ „Федерация“ 1929 წ. გვ. 306.

„როცა მე, — გვიამბობს იაგორ ბეჟოშვილი, — გრიბოედოვის მეუღლეს ვნინასაგან წერილი ჩავაბარე, მან იგი სიხარულით მიიღო და დაჩქარებით დაუწყო კითხვა. ამ ბარათში ეწერა, რომ ნინა ალექსანდრეს ასულმა გამოსთხოვოს ნებართვა ალექსანდრე სერგეის ძეს და რამდენიმე ხნით ჩამოვიდეს თბილისში. ამ სიტყვების წაკითხვისას გრიბოედოვის ცოლმა ტირილი დაიწყო, თუმცა მეუღლის დალუბვაზე მან არაფერი იცოდა“.<sup>2</sup>

ბარგს გასამგზავრებლად ამზადებდნენ, მაგრამ ნინო ალექსანდრეს ასულმა განაცხადა, ვიდრე ქმრისგან ნებართვას არ მივიღებ, ადგილიდან არ დავიძვრებო.

ჯერ უთხრეს, გრიბოედოვი შახთან ერთად ხორასანში წავიდა, მერე მაკდონალმა დააჯერა: გრიბოედოვისაგან წერილი მივიღე, ოდნავ ავად ყოფილა; შემოგითვალათ, ტფილისში დაბრუნდი დედასთან და მეც მალე იქ ჩამოვალ.

ნინო მიხვდა რაღაც არასასიკეთოს მიმალავენო, სწუხდა, შფოთავდა და მალულად სტიროდა.

ამ დროს მამისაგან — ალექსანდრე ჭავჭავაძისაგანაც მოუვიდა წერილი, რომელიც იმასვე ატყობინებდა და თან დასძენდა, შენ შესახვედრად ჯუღუფაში წამოვედი და იქ გელოდები.

სხვა რაღა გზა იყო და ნინო ალექსანდრეს ასული დათანხმდა ტფილისში წასვლაზე.

1829 წლის 13 თებერვალს დღის 12 საათისათვის გრიბოედოვის ცოლი და ამბურგერი თავის მეუღლითურთ, აგალარ-ხანისა და ირანის მთავრობის მიერ გამოყოფილი ამაღის თანხლებით გამოვიდნენ თავრიზიდან.

როცა მაკდონალმა გაიგო, რომ აგალარ-ხანმა ნინო გრიბოედოვა უვნებლად ჩაიყვანა ტფილისში, ის მივიდა აგალარ-ხანის სახლში და მის ცოლს გეზალე-ხანუმს ბრილიანტის თელიანი ბეჭედი გადასცა. აბას-მირზამ კი მას ქიშირის ძვირფასი წამოსასხამი გაუგზავნა საჩუქრად.

ტფილისში ნინო ალექსანდრეს ასულმა შემთხვევით გაიგო ქმრის ტრაგიკული დაღუბვა. მას იმ წამსვე საშინელი ისტერიკა მოუვიდა, მეორე დღეს კი დაებადა დღენაკლული ვაჟი, რომელმაც რამდენიმე საათს იცოცხლა მხოლოდ.

\*  
\*  
\*

ცნობა გრიბოედოვის დაღუბვისა ელვისისწრაფით გავრცელდა კავკასიასა და რუსეთში. პოეტის ქერივს და სიმამრს ალექსანდრე ჭავჭავაძეს სხვადასხვა მხარეებიდან უამრავი სამძიმრის ბარათები მოსდიოდათ.

თეირანში კი გრიბოედოვის აჩეხილი გვამი უპატრონოდ ეგდო. საჭირო იყო ირანელებისაგან ცხედრის გამოთხოვა და გამოსვენება. დაიწყო მოლაპარაკება. ნებართვის მიღებისთანავე გრიბოედოვის გვამი წამოიღეს თეირანიდან.

1829 წლის მაისის 27-ს ტფილისში ჩამოვიდა გრიბოედოვის უახლოესი მეგობარი პოეტი ა. ს. პუშკინი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ პასკევიჩის მოქმედ არმიის უნდა გამგზავრებულიყო.

<sup>2</sup> ურ. „Дела и Дни“, 1921 წ., № 2 გვ. 76.

გრიბოედოვის პანაშვიდები კვლავ გრძელდებოდნენ, სამძიმრის ბარათებს დასასრული არ უჩნდათ.

იმხანად უკვე ტფილისში დაბრუნებული ალექსანდრე ჭავჭავაძე წერილობით მადლობას უხდოდა ყველა მათ, რომლებიც ეხმარებოდნენ მისი სიძის — გამოჩენილი პოეტის ვერაგულ სიკვდილს.

ბუნებრივად იბადება საკითხი, შეხვდა თუ არა ტფილისში 1829 წლის მაისის 27-ს ჩამოსული პუშკინი თავის მეგობრის ქვრივს ნინო ალექსანდრეს ასულს და სიმამრს პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს?

რა თქმა უნდა, რომ შეხვდა.

პირველი, რაც აიძულებდა პუშკინს მისუღიყო გრიბოედოვის ქვრივთან და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ეს იყო ერთგვარი ზნეობრივი ვალდებულება პირადად ენახა ტრაგიკულად მოკლული მეგობრის ჭირისუფალნი (პუშკინი ზომ გრიბოედოვის გლოვის პირველ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში) და სამძიმარი გადაეცა მათთვის.

ამის გარდა პუშკინს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მიიზიდავდა სხვა გარემოებაც. ალექსანდრე ჭავჭავაძეს პუშკინის სქართველოში ჩამოსვლის პერიოდში უკვე ნათარგმნი ჰქონდა მისი რამდენიმე ლექსი, რომელნიც მაშინ რომანსებად იმღერებოდნენ. ერთი თანამედროვე ამის გამო შენიშნავს: „ქართველნი ასულნი მღერიან პუშკინის რომანსებს, რომლებიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ ქართულადაა სთარგმნა“<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, რომ პუშკინს ზემოთდასახელებული მიზეზებიც რომ არ ჰქონდა, მას მაინც აღეძრებოდა სურვილი ენახა მისი ლექსების მთარგმნელი, უახლოესი ამხანაგების ნ. რავესკის, პ. კავერინის, პ. ჩაადაევის. და სხვების მეგობარი, ცნობილი ქართველი პოეტი — ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ვთქვათ, პუშკინი არ მივიდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, როგორ შეიძლება დაიჯეროს კაცმა, რომ სტუმართმოყვარე ალექსანდრე ჭავჭავაძემ თვითონ არ ინახულა „რუსული პოეზიის მზე“ და არ მიიწვია იგი თავის ბინაზე. პუშკინი თავად ამბობს „მოგზაურობაში“. „ტფილისში ორ კვირამდე დავყავი და იქაური საზოგადოება გავიცანიო!“ ტფილისის საზოგადოების თვალისჩინს წარმოადგენდა პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი და პუშკინი ამ ოჯახს ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ ასცილდებოდა.

არსებობს ერთი დოკუმენტი, რომელიც აგრეთვე მიგვითითებს პუშკინისა და ჭავჭავაძის ნაცნობებზე. ამ დოკუმენტს თავდაპირველად პოეტმა და მკვლევარმა გიორგი ლიონიძემ მიაქცია ყურადღება.

„პუშკინს ტფილისში, — წერს იგი; — მართლაც რომ უნდა გაეცნო ჭავჭავაძე, ამას ერთი პატარა დეტალიც გვაფიქრებინებს. როცა ფრანგმა მოგზაურმა ვიქტორ ფონტანიემ ჩვენი პოეტის გვარი არა სწორი ტრანსკრიპციით დასწერა: **mistsevaze** „ჭიჭევაძე“. პუშკინმა მას შეუსწორა **Чавчавадзе** (იხ „აზრუმში გამგზავრებას“ წინასიტყვაობის პროექტი). თვით ეს პატარა ფაქტი პუშკინის მიერ კორექტივის შეტანისა ჭავჭავაძის გვარის სწორ დაწერილობაში, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პუშკინი მართლაც იცნობდა ჭავჭავაძეს, იცოდა, თუ

<sup>2</sup> კ. ბოროზდინი „სამეგრელო“, 1934 წ: გვ. 5.



როგორ უნდა წარმოთქმულიყო მისი გვარი და დაწერილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც გამოედავებოდა ფონტანის ამ წერილმანში“.<sup>4</sup>

მაშ რატომ არაფერს ამბობს ა. ჭავჭავაძესთან შეხვედრაზე „არზრუმში“ გამგზავრებაში“ პუშკინი?

ამ კითხვაზე სრულიად სწორ პასუხს იძლევა ერთ თავის გამოკვლევაში პოეტი გიორგი ლეონიძე.

„წინადაპრველად, — ვადმოგვცემს იგი, — ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ პუშკინი საქართველოში თავის მგზავრობის დროს იყო ახლადგათავისუფლებული მიხაილოვსკოეს ტყვეობიდან, სადაც მან იმპერატორის მიერ გარისხულმა დაპაო 1826 — 1829 წლამდე, რომ მაშინდელი საქართველო სავსე იყო მთავრობისაგან ექვემდებარებულ პირებით, დეკაბრისტებით, საიდუმლო საზოგადოებათა წევრებით, ხოლო უმრავლესობა ამ ხალხისა იყო პუშკინის ნაცნობ-მეგობრები — ყველა ამ მიზეზების გამო ერთხელ ნაწვენევი პოეტი ფრთხილობდა, ერიდებოდა ზოგიერთ ამბის და გულისთქმის აშკარად გამოთქმას.

მეორე, და პუშკინისათვის ერთი მთავარი ხელისშემშლელი გარემოება უნდა ყოფილიყო შემდეგი: როგორც ვიცით, პუშკინი დიდხანს თავს იკავებდა ამ თხზულების დაბეჭდვისაგან და მხოლოდ 1835 წელს წარუდგინა იგი ცენზურას თეთრად გადაწერილი და დასაბეჭდად გამზადებული. იმ ხანებისათვის კი პუშკინის ქართველი მეგობრები და ნაცნობები, მისი ტფილისელი მასპინძლები და პატივისმცემლები — წარმომადგენლები მაშინდელი ქართული მწერლობისა და საზოგადოებისა — 1832 წელს მომხდარ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გასამართლებულნი და დასჯილნი, უკვე ისხდნენ რუსეთის შორეულ ციხეებში და ქალაქებში და წერა მათზე — სახელმწიფო დამნაშავეებზე, თვითაც პოლიტიკურად შენიშნული პუშკინისთვისაც ყოვლად შეუძლებელი ამბავი იქნებოდა.

აი რა უნდა იყოს, ჩვენის აზრით — მიზეზი ქართული ამბების და ქართველი საზოგადოების და მისი წევრების (აღ. ჭავჭავაძის და სხვ.) სრული იზოლაციისა პუშკინის „მგზავრობაში“. 1825 წ. აჯანყებაში ვადარჩენილი პუშკინი, შესაძლოა ძალაუფლებურად მოხვედრილიყო მთავრობის მიერ 1832 წლის უსიამოვნო გამოძიებაში“.<sup>5</sup>

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე მთავრობა თვალყურს ადევნებდა ყველა იმ პირთ, რომლებიც დაპატიმრებულ და გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეების სახლებში დაიარებოდნენ. სწორედ ამას გულისხმობს გრაფი ტოჩნაუ, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალებზე საუბრისას აღნიშნავს: „... ტ... მირჩევდა მე გამეწყვიტა ნაცნობობა ჭავჭავაძესთან იმ საკმაოდ სულელურს საქმის გამო (1832 წ. შეთქმულება იგულისხმება, ი. ბ.), რომელშიც მათი მამა სრულიად უდანაშაულოდ ჩარიეს“.<sup>6</sup>

ეს არის, როგორც ჩანს, მიზეზი, რომ პუშკინმა თავის „მოგზაურობაში“ გრიბოედოვის მეუღლეზე საუბრისას არ ახსენა ნინო ჭავჭავაძის სახელგეარო

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. № 227.

<sup>5</sup> ჟურ. „Русский Вестник“, 1869 წ., № 4.

და მის ნაცვლად თხზულებაში მრავალწერტილები დასვა. აი როგორ აქვს გადმოცემული ეს ადგილი პუშკინს: „საქართველოში ჩამოსვლისას გრიბოედოვმა შეიერთა ის, ვინც უყვარდა...“

ათ იენის ტფილისიდან აზრუმისაკენ გამგზავრებულ პუშკინს ორი დღის შემდეგ გერგერის ციხესთან შემოეყარა საქართველოში მიმავალი ურემი, რომელშიც გრიბოედოვის ცხედარი ესვენა.

თვითონ პუშკინი ასე აღწერს ამ ამბავს:

„...მდინარის მაღალ ნაპირზე ჩემს პირდაპირ გერგერის ციხე დავინახე. სამი აქაფებული ნაკადი ხმაურით ეშვებოდა მაღალი ნაპირიდან. გადაველი მდინარეს. ურემში შებმული უღელი ხარი ციხაბო აღმართზე აღიოდა. ურემს რამდენიმე ქართველი მისდევდა. საიდან? — ვკითხე მათ. — თეირანიდან — რა მოგაქვთ? გრიბოედოვი. ეს იყო მოკლული გრიბოედოვის გვამი, რომელსაც ტფილისში მისვენებდნენ“.

17 იენის გრიბოედოვის ცხედარი ტფილისს მიუახლოვეს და ყამიანობის გამო რამდენიმე საათით კარანტინში დაასვენეს. იმავე დღეს საღამოთი მოხდა გრიბოედოვის გვამის ტფილისში გადმოსვენება.

„სამგლოვიარო პროცესიაში, — გვიამბობს მოწმე, — იყო რადაცნაირი სიდიადე, რომელიც წარმოუდგენლად ასევედინებდა ადამიანის გულს: ჩირაღდნებით განათებული ღამის წყვილი, თეთრ ჩადრებში გახვეული მოტირალი ქალები, სამღვდელოების გაბმული ვალობა, მანებზე გადმომდგარ ხალხთა ხროვა, მოგონება გრიბოედოვის ტრაგიკულ დასასრულისა — ყველაფერი ეს შემადრწუნებლად მოქმედება მის ნაცნობებზე და თაყვანისმცემლებზე. უდროოდ გაუბედურებული ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ქვრივი თავის ოჯახთან ერთად ქალაქის საღარაჯოსთან ელოდებოდა პროცესიას. პირველი ჩირაღდნის შექმა აცნობა მას ძვირფასი ნეშტის მოახლოვება: ის მაშინვე გულშეწუნებული დაეცა მიწაზე და დიდხანს გონზე არ მოსულა.“<sup>7</sup>

გვიანი ღამით ცხედარი დასვენეს სიონის კათედრულ სობოროში. მეორე დღეს ტფილისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვისა და მთელი ტფილისის სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელთა თანდასწრებით მიტროპოლიტი იოანეს მიერ გადახდილ იქმნა წირვა. მან ეკლესიაშივე თითქმის ქვითინით წარმოსთქვა გულისსამაჩუყებელი სიტყვა, რომელმაც აატირა დამსწრენი.

შემდეგ გრიბოედოვის ცხედარი შესანიშნავად მოწყობილ ცერემონიალით აიტანეს მთაწმინდაზე და მიაბარეს მიწას.

ამგვარად აღსრულდა გრიბოედოვის მიერ ომში წასვლის წინ შეუღლისათვის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები: „თუ სპარსეთში მოვეკვდე, ნუ დასტოვებ იქ ჩემს ძვლებს, ტფილისში მამადავითის მონასტერში დამკრძალო“.<sup>8</sup>

იმავე წლის პირველ აგვისტოს ერზერუმიდან ტფილისში დაბრუნებულმა პუშკინმა „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქტორ პავლე სტეფანესძეს სანკოვსკისთან და პოეტ ნიკოლოზ პოტოცკისთან ერთად ინახულა გრიბოედოვის საფლავი. „პუშკინთან და სანკოვსკისთან ერთად, — გვიამბობს პოტოცკი, დავათ-

<sup>7</sup> „А. С. Грибоедов в мемуарах совр.“, 1929 წ. გვ. 224.

<sup>8</sup> ურ. „Русская старина“, 1881 წ., № 10.

4. „ჩვენი თაობა“, № 9.

ვალერიეტ გრიბოედოვის ახლადგაჭრილი სამარე. მის წინ ალექსანდრე სერგეისძემ მოიყარა მუხლი და დიდხანს იყო თავჩაქინდრული, ხოლო, როცა წამოდგა, მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე“.<sup>9</sup>

გრიბოედოვის დამარხვის დღიდანვე ნინო ჭავჭავაძე ლოგინად ჩავარდა და თითქმის წელიწადნახევარზე მეტი იავადმყოფა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე ვადმომცეს ნინო ალექსანდრეს ასულის მიერ ავადმყოფობის უკანასკნელ ხანებში ჭავჭავაძიანთ ოჯახის მეგობართან დიმიტრი დავითისძე ჯორჯაძესთან მიწერილი ლექსი და ბარათი.

ნინო ჭავჭავაძის პოეტური ცდები დღემდე ცნობილი არ იყო. ეს ლექსი იქნებ პირველი და უკანასკნელი კალმის ნაგერჯიმებია მარტოობაში მყოფ ავადმყოფ ქალისა:

ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ო კ ნ ი ა ზ ო  
დ ი მ ი ტ რ ი დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ო !

თვრამეტის თვისა სნულს  
თქვენგან წყალობისა ჩვეულს,  
მაღირსე მოგონება,  
მესამედ გაგონება,  
ვგდივარ ცუდსა საკანსა;  
ხელთ ვერ ვიღებ კალამსა.  
ძველ შონად მომიკითხე  
მცირედით განმიკითხე.  
მეც ვყო ღვთისა გალობა,  
და თქვენთვის შევედრება.

წმინდა სახარება სწერს: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. მეც ბევრი მიცნობენ და ვცნობ, მაგრამ ჩემს თავს ღმერთთან მწუხარების ნუგეშად თქვენ გამოგარჩიათ. თუ ამ გაზაფხულზედ აღვსდევ და პირად მადლობა მოგახსენეთ, ხომ კარგი და თუ მოვკვდი და, მეც შემეერთეთ იმ არსთა, რომელნიც თქვენის შრომის წყალობით ჰსარგებლობდნენ.

მარადის ერთგული მონა თქვენი სიკვდილამდე. ნინო გრიბოედოვა.

20 მარტს.

სნეულებისაგან განკურნებულმა ქვრივმა დასტოვა ბინა, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე დღე იცხოვრა ბედნიერებით და თავის მამის სახლში დაბრუნდა.

გრიბოედოვის დაღუპვის წელსვე პოეტის ქვრივს, როგორც პირდაპირ მემკვიდრეს გრიბოედოვის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობისა მიენიჭა უფლება ოცდახუთი წლის განმავლობაში ყოფილიყო გამომცემელი ქმრის თხზულებებისა.

ჭავჭავაძეებს უბირველესი სალონი ჰქონდათ ტფილისში. ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე ივანეს ასული თავის ულამაზეს ქალიშვილებთან ერთად იყო შთამოგონებელი და მმართველი ამ სალონისა.

ჭავჭავაძეების მდიდრულად მორთულ და მოწყობილ სახლში დიდი დანაშაულოდ იყო განუწყვეტელი დენა სტუმრებისა, რომლებსაც ხელგაშლილი მასპინძელნი ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდნენ.

<sup>9</sup> იგივე წყარო

ანდრეი ფადეევი თავის იმოგონებაში სწერს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის კარები ღია იყო ნათესავეების, მეგობრების, ნაცნობებისა და სტუმართა უთვალავ რიცხვისთვის, რომელნიც მასთან მხიარულობდნენ, ლხინობდნენ და ცეკვავდნენ მოყიჩუკებამდე.“

ყველა, ვინც კი ჩამოვიდოდა პეტერბურგიდან და სხვა მხარიდან, რიგიანი და წარჩინებული, იგი მაშინვე ხდებოდა სტუმარი თავადის სადარბაზო ოთახისა.

ეს სადარბაზო აქედილი იყო ანტიური შპალერიით, რომელზედაც ეხატა მითოლოგიიდან აღებული სცენები. ამბობდნენ, რომ ეს შპალერი ეკატერინე მეორემ აჩუქა ალექსანდრე გარსევანისძე ჭავჭავაძის მამას, ერეკლე მეფის მიერ რუსეთის კარზე გაგზავნილ დესპანს.

სადარბაზოს და მის გვერდზე მდგარ ოთახს ამშვენებდნენ უძვირფასესი, იმხანად ტფილისში ერთადერთი, ფანჯრებში ჩასმული სარკიანი შუშები.<sup>10</sup> ამასვე ადასტურებს თედორე ტორნაუც:

„ჭავჭავაძეების სადარბაზო ოთახი არასდროს არ იცლებოდა სტუმრებისაგან. ყოველ დღე გათენებიდანვე მათთან გროვდებოდნენ ქართველი ნათესავები ორივე სქესისა, მერე კი სამსახურის გათავებისთანავე ერთიმეორეზე მოდიოდნენ რუსები.“

ძალიან ხშირად მაგიდას ოჯახის წევრების გარდა მოუსხდებოდა ოცამდე მოულოდნელად შემოსწრებული სტუმარი. თავადი ალექსანდრე გარსევანისძე, მისდევდა რა ძველ რუსულ და ქართულ სტუმართმოყვარეობის წესს, არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა სადილობამდე შემოსულ სტუმარს.<sup>11</sup>

ასე მიდიოდა დღეები ზამთარში, ზაფხულობით ჭავჭავაძიანთ სახლობა წინანდალში მიემგზავრებოდა, ხოლო შემოდგომაზე სტუმართა მიღება ეწყობოდა ბანზე.

კონსტანტინე დადიანი გვიამბობს:

„შემოდგომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალებოდა მეოთხე, მეხუთე საათზე, ბანზე იყო ყრილობა, სადაც მიირთმევდნენ დღუმას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინოს.“<sup>12</sup>

ალექსანდრე ჭავჭავაძე თვითონ უძღვებოდა ამ ლხინებს, თამადაობდა და როგორც იონა მეუნარგია გვამცნობს, „ჩონგურზედ საუკეთესოდ უკრავდა“.<sup>13</sup> მისი ქალიშვილები ნინო და ეკატერინე მღეროდნენ და უკრავდნენ ფორტოპიანოზე. ნინომ დაკვრა და მრავალი სიმღერა თავის ქმრისაგან ისწავლა.

„ნინო ალექსანდრეს ასულმა, — წერს ბოროზდინი, — ბევრი სიმღერა იცოდა თავის ქმრის საკუთარი კომპოზიციისა, რომელნიც განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ ოსტატური და მუსიკალური და მელოდიების ორიგინალობით.“

იგი სიამოვნებით უკრავდა ხოლმე მუსიკის მოყვარულთა შორის; განსაკუთრებით კარგი იყო ერთი სონატა შესრულებული გულწრფელი მშვენიერებით.

<sup>10</sup> А. Фадеев „Воспоминания“, 1897 წ. გვ. 116, 117.

<sup>11</sup> ურ. „Русский Вестник“, 1869 წ., № 4.

<sup>12</sup> ი. მეუნარგია „ა. ჭავჭავაძე“, 1937 წ. გვ. 60.

<sup>13</sup> იგივე წყარო გვ. 61.

მან იცოდა, რომ ეს სონატა იყო ჩემი საყვარელი და ფორტოპიანოსთან დაჯდომისას არასდროს არ მეუბნებოდა უარს დამტკბარიყავი მისი მოსმენით. სამწუხაროა, რომ ეს სიმღერები დარჩნენ ჩაუწერავნი. ნინო ალექსანდრეს ასულმა ჩაიტანა ისინი სამარეში.<sup>14</sup>

ხოლო ეკატერინე ალექსანდრეს ასულის ჯადოსნურ ხმას ნიკოლოზ ბარათაშვილმა ასეთი ტერიჟონები უძღვნა:

თ ა ვ ა დ ის    ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს    ა ს უ ლ ს ,    ე კ ა ტ ე რ ი ნ ა ს .

ხმით მშვენიერით,  
ტკბილი სიმღერით,  
ჰაეროვანო, სულს ელხინებო,  
თვალს არონინებ,  
გულს დაიწყულულებ.  
და ღიმილითა ესალმუნები!  
სად ხარ იმ არეს  
მოჰფენ სიამეს, —  
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!  
შენის ენითა,  
სავსე ლხენითა,  
ვინ არა იგრძნო გულკეტილობა!  
მახსოვს სიამით  
ოდეს ტკბილის ხმით,  
ვარდს და ბულბულს მოელხინარე,  
პირმცინარითა,  
სინარნარითა,  
მგოსნის ყარიბს გულს ესხვიმფენარე!

მუნასიბების საუკეთესო ოსტატი ალექსანდრე ჭავჭავაძე მოულოდნელად შემოსულ სტუმრებს სახელდახელოდ ლექსს სტუორცინდა ხოლმე.

ერთხელ ანა და მანანა ორბელიანებს ჭავჭავაძეებთან სტუმრობისას კარც არ ჰქონდათ კარგად გაღებული, როცა ალექსანდრემ უთხრა მაჯამა:

სვემ მიწვიმა მანანა,  
მომივლინა მან ანა;  
მას თან მოჰყვა მანანა,  
მინანავა მან ნანა.

მოსწრებულ სიტყვებს დასასრული არ ჰქონდა.

„ერთხელ სტოლიპინმა — გვიამბობს კონსტანტინე დადიანი, — უთხრა ჭავჭავაძეს ბანზე ყრილობის დროს. ამ ღვინოს რიუმეკებით უნდა სვამდნენ, ალექსანდრემ ჩვეულებრივად მარჯვენა ხელი მოუსვა თავის მარჯვენა ყურის უკანა მხარეს და უთხრა:

— А кто Вам мешает, если угодно пить от стакана пиво“.<sup>15</sup>

ხშირი იყო ლექსებით გაკამათებაც ამ სალონში.

იონა მეუნარგია გადმოგვცემს:

„ნიკოლოზ ჩარკვიანმა ვჩ. დადიანის ლექსი უთხრა ალ. ჭავჭავაძეს:

<sup>14</sup> „А. С. Грибоедов в воспоминании совр.“ 1929 წ. გვ. 312.

<sup>15</sup> იხ. მეუნარგია „ა. ჭავჭავაძე“, 1937 წ. გვ. 60.

Каждый любит существовать.  
Где родился тот селения.  
Не может без его  
Есм ест как я чувствительния.  
Золото не имею, не надо  
Слаба сердца висохнелня  
Холост тело согретения.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ პასუხად უთხრა:

Великий поэт Чарквания  
Кажду душу согривания".<sup>16</sup>

ერთ დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან სხვა სტუმართა შორის იყო ივანე ჭსნის ერისთავიც. ლაპარაკი ჩამოვარდა გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ლექსის „იარალის“ პერსონაჟზე — იარალ შანშიაშვილზე, მერე პირველად ლექსი წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. ივანე ერისთავმა მუნასიბად იქვე სთქვა ეს ლექსი:

შანშიანთ შენ იარალო!  
მოჰფრინდი აქ, რა განარო.  
დაუკარ შენ, საზანდარო,  
უთხარ ესტი არალო.  
ვარდზედ ჰყევს ბულბულ პოეტი  
ჭავჭავაძე, ფრანცუზ მეტი,  
პოემის ტკბილ გვირგვინ სვეტი,  
მოწმობს თბილისის სოვეტი.  
ბუჩქიანს სტვენს ეს ბულბული,  
მას შეუწყო ხმა უსული,  
უბუჩქოს ვარდს უწალა გული,  
ისმინე აწ მისი თქმული.  
კოკობის ვარდის სადარო,  
დაუკარ აწ საზანდარო,  
სადა ხან შენ, იარალო,  
უთხარ ესტი არალო.<sup>17</sup>

ჭავჭავაძეებთან სისტემატურად ეწყობოდა ნაწარმოებთა კითხვა-განხილვები, რომლებშიაც ნინო ალექსანდრეს ასული ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხოლმე.

გიორგი ერისთავი ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში ერთ ასეთ შემთხვევის შესახებ სწერდა:

<sup>16</sup> იგივე წყარო 61 გვ.

<sup>17</sup> ი. ბალაზაშვილი „ლიტერატურული წრეები და სალონები“, 1940 წ. გვ. 165, 166.

## ნიდა ზავზავაძეს

ვისთვის ვსთქვა ლექსი? ნუთუ ჰგონებთ იყოს ადვილი თქმა ლექსების; მახსოვს როს ვიყავე ჯერეთ ყმა ჩვილი, ვიწყებ განფანტვა მე ამაოდ ძვირფასთა ნიჭთა, რაზედაც ქალნი სიცილითა იკრებდნენ კიჭთა, რომელთა ელვათ, ვით მახვილით, მიგმირეს გული, და დღენი ჩემნი ოქროვანნი ჰყვეს მოწამლული. ესრეთ ყვაველი ბალახთ შორის არ აღიზრდების; იგი საწყალი ჭინჭართაგან დაიხაგრების! მახსოვს ერთხელა, საღამო უამს იყო ყრილობა სახლსა დიდებულს; ტურფა გვამთა შექმნეს ცილობა, რომე აწინდელთ ქაბუკთ შორის არ არს მწერალი „ბესიკის ნაცვლად ვინ არისო, ვსთქვათ, მომღერალი!“ მე წარვეუკითხე, საბრალომან ჩემი ლექსები, სიცილით ტურჩედ დაიფარეს ქალთ ლეჩქები. და ერთმა გვამმა მითხრა ცივად: „მოსაწონია, მაგრამ ოსურად გაგიცარცვამს ლექსიკონია!“ რა მოვისმინე, გამოვიქეც გულგახეთქილი, თუმცე ჯერ ვიცინე, მაგრამ მერე შევექმენ ტირილი. რისთვის და ვისთვის, ან მითხარით, ვსთქვა მე სიმღერა ვინ მოისმინოს ჩემის სულის სიმისა ბგერა?

ჭკვავედებობის სალონში იმართებოდა სხვადასხვა სახის თამაშობანიც. თედორე ტორნაუს აწერილი აქვს ერთი ასეთი თამაშობა, რომელიც ჭკვავედებობთან ოცდაათიან წლებში მეტად დიდ პატივში იყო.

„ერთ საღამოს ჭკვავედებობის სახლში თავს ირთობდნენ კრომელიდაც თამაშით, რომლის დროსაც მოთამაშენი სხედან წრეში და უნდა ადგნენ სკამიდან მაშინვე, როგორც კი გამოძახილი იქნება ნადირის ან ყვაველის ფერი, რომელიც მოთამაშეს წინასწარვე აქვს არჩეული, უყურადღებობისას ის აძლევს უკან თავის ფანტს.

ამ წრეში ბრწყინავდნენ ყველა ლამაზ ქალთა თვალები, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ თბილისში. თამაშში ჩარეულმა ნიკოლოზ პავლესძე ტ. ... გადახლართა ჩვეულებისამებრ თავისი გრძელი ფეხები სკამის ფეხებთან და ჩაშტერებით ყურება დაუწყო ნინო ალექსანდრეს ასულს.

მოულოდნელად დაასაზღვრეს მისი კუთვნილი ფერი. ის არ გამომხატურებია: გაიმეორეს სიტყვა ხელმეორედ, მაშინ დაავიწყდა რა თავის ფეხების შესახებ ტ... წამოხტა, მაგრამ იმ წამსვე სკამთან ერთად გაიშლართა ოთახის შუა გულში, რომელიც ისე მიკვროდა მას, როგორც ქერქი ხეს, ძნელი იყო თავის შეკავება, ნინო ალექსანდრეს ასულის გარდა, ყველამ გადახარხარა“.<sup>18</sup>

ამ სალონშივე ეწყობოდა, როგორც ევროპული, ისე აზიური ცეკვის საღამოებიც.

\*  
\*

1831 წელს „სამსახურის ქარმა“ ქალაქ პეტერბურგიდან სცენით გატაცებულმა ახალგაზრდა სამხედრო პირი — მიხეილ გამაზოვი „გადმოავლო“ კავკა-

<sup>18</sup> ურ. „Русский Вестник“, 1869 წ. № 4.

სიაში შესანგრეთა ოფიცრად. „ყველაზე მეტად, — სწერდა ის რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, — მე თეატრალური დატკობა მწყუროდა, თეატრი კი, იმ ხანად ტფილისში არ იყო. არც შინაურ წარმოდგენების შესახებ ისმოდა რაიმე და მე გადავწყვიტე საოჯახო წარმოდგენები მომეწყო.“<sup>19</sup>

ტფილისში მიხეილ გამაზოვი შეხვდა თავის ძველ ნაცნობს კრასნოსელსკის ბანაკიდან იუნკერს რომან ალექსანდრესძე ბაგრატიონს, რომელმაც იგი ბოროდინის ცნობილ გმირის — პეტრე ბაგრატიონის ძმის რომან ივანესძეს ბაგრატიონის სახლში მიიყვანა.

რომან ივანესძე ბაგრატიონის სახლობა შესდგებოდა ცოლის, ცოლის გაუთხოვარი დისა და ორი ქალვაჟისაგან. არც თუ ისე ეკონომიურად უზრუნველყოფილი ოჯახი მეტად ხელგაშლილსა და უდარდელ ცხოვრებას ატარებდა. ჟამიდან ჟამამდე ღია იყო კარი მომსვლელთათვის და სახლი მუდამ სტუმრებით სავსე.

მუსიკის მოყვარე მეუღლე თავადისა გამუდმებით აწყობდა კვარტეტებს. შემდეგ იმართებოდა ცეკვა. საღამო კი ჩვეულებრივ თავდებოდა კახური ღვინით, დამშვენებულ ვახშითა და მხიარული საუბრით.

ასეთი მომზადებული ნიადაგი ჰპოვა ბაგრატიონების სახლში შესანგრეთა ოფიცერმა თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და საქმეს შეუდგა.

მასზე არა ნაკლებ გატაცებული იყო თეატრით მისი ძველი მეგობარი იუნკერი რომან ალექსანდრესძე ბაგრატიონი და ამის წყალობით ბაგრატიონების სახლი მალე თეატრალურ არედ გადაიქცა.

სწარმოებდა ძველი პიესების ძიება და ახლების გამოწერა, როლების გაწაწილება და დასწავლა.

გამოძებნილ იქნა რეჟისორიც, — რომელიც ტფილისის სახელმწიფო პალატაში ოცდახუთ მანეთიან სამსახურიდან, რაღაც დანაშაულისათვის დაქვეითებული ორ მანეთს იღებდა თვეში, — ეს იყო ლავროვსკი, რომელმაც დიდი ლიტერატურული გემოვნება, თეატრალური ცოდნა გამოიჩინა, და მომავალი წარმოდგენის მონაწილენი უღაო გამარჯვებაში დაარწმუნა.

აკლდათ მხოლოდ მუსიკა, მაგრამ ერთ საღამოს, ვიღაცამ თავადის სახლში შემოიყვანა დაბალი ტანის, ილიაში სკრიპკა ამოჩრილი წყნარი სახის მოხუცი, რომლის სახელი რუსეთისათვის საკმაოდ ცნობილი იყო. სტეფანე სტეფანესძე აპრაქსინს ეძახდნენ ამ მაღლიან მოხუცს.

დაიწყო წარმოდგენები. სპირველად კარატიგინის „უცნობნი ნაცნობნი“ გაითამაშეს. მერე ხმელნიცისა და იმავე კარატიგინის სხვა პიესები. რამდენიმე ხნის შემდეგ წარმოადგინეს მიხეილ გამაზოვის ორიგინალური ვოდევილი „Грузини 19 века“

წარმატებით წახალისებულნი „ვაი ჭკუისაგან“-ის დადგმის სამზადისსაც შეუდგნენ. ამ პიესის დადგმა კი არც ისე იოლი იყო.

წარმოდგენის ინციტორი ამ დადგმის შესახებ მოგვითხრობს:

„ყველაზე მძიმე ამოცანა მონაწილეთა შერჩევა იყო, განსაკუთრებით ქალთა შემადგენლობისა. ხშირად საქმე მუხლზე ჩოქებამდე მიდიოდა, რომ იქნებ

<sup>19</sup> უფრ. „Вестник Европы“, 1874 წ. № 7.



ამით მაინც დაგვეთანხმებია ქართველი გათხოვილი და გაუთხოვარი თავადის ქალები.

ქალაქური ქორის, ქალური ეჭვიანობის და მშობლების გავლენის წყალობით ჩვენს რიგებს არაერთი და ორი მშვენიერი თავადის ქალი გამოაკლდა. ამ დამაპროვლებელ მიზეზთა გამო იძულებულნი გავხდით კომედიის თავი და დასასრული შეგვეკვეცა. დაგვეწყო იგი პირველ მოქმედების მეშვიდე გამოსვლიდან ჩაცკის გამოჩენით და დაგვესრულებია რეპეტილოვის გამგზავრებით.“<sup>20</sup>

ამავე პიესაში მონაწილის დიმიტრი ზუბარევის სიტყვით: „დიდი ხნით ადრე, სანამ „ვაი ჭკუისაგან“-ს დასდგამდნენ, ტფილისის სადარბაზო ადგილებში ამ კომედიის წარმოდგენის შეუძლებლობაზე მასლაათობდნენ ზოლომე. ზოგს პიესა მიაჩნდა უვარგისად შინაურ წარმოდგენისათვის და ვინ უწყის რას არ ამბობდნენ ქორების მოყვარულნი“.<sup>21</sup>

მიუხედავად ყოველგვარ დამაპროვლებელ მიზეზებისა 1832 წლის იანვრის 21-ს კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის ვისი მეუღლისა და მთელი ტფილისის „რჩეულთა“ თანადასწრებით რუსულად წარმოდგინეს კომედია „ვაი ჭკუისაგან“-ი, რომელმაც ყოველგვარი წინასწარი მოლოდინი დაჩრდილა.

ალექსანდრე სერგეისძე გრიბოედოვის უკვდავი კომედიის ტფილისში პირველ წარმოდგენას სოლომონ დოდაშვილის „ტფილისის უწყებანის“ იანვრის თვის ნომერმა ასეთი თბილი შეფასება მისცა.

„ჩვენს ქალაქში წარსულ კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურვლად წარმოდგინეს უკეთესად არ შეიძლებოდა“.<sup>22</sup>

წარმოდგენის ხელმძღვანელი თავის მოგონებაში შემდეგს სწერს: „მე ოცი წლის აფიცრ ფამუსოვს ვთამაშობდი. პეტერბურგში რიაზანცევის გაკვეთილებისა და ტფილისში ლავროვსკის რეჟისორული უნარის წყალობით ჩემი ნაკისრი ვალდებულება ბრწყინვალედ შევასრულე“.<sup>23</sup>

რეპეტილოვის როლი მოხდენილად ითამაშა კონსტანტინე ივანესძე საჯოს-ტიანოვმა, რომელმაც 1829 წელს ორთაქალის ბაღში ნადიმი მოუწყო რუსეთის უდიდეს პოეტს ალექსანდრე სერგეისძე პუშკინს.

ტფილისის პალატის სოვეტნიკმა დიმიტრი ელისეისძე ზუბარევა პიესის ცენტრალური როლი ჩაცკისა მთლიანად ვერ დასძლია. ზუბარევი თავის თამაშის შესახებ გულაბდილობით აღნიშნავს: „ჩაცკიმ ვერ შესძლო როლის თანაზომიერად წაყვანა, სიყვარულის ახსნისას იგი ერთობ ცივი იყო“.<sup>24</sup>

არც სოფიო იღვა თავის ადგილზე. სოფიოს როლს თამაშობდა სახლის პატრონის ცოლის და. სამაგიეროდ მასპინძლის ვაჟმა მხიარულად და ჭკვიანად შეასრულა ლიზას როლი. სოფიო ივანეს ასული ორბელიანი ნატალია დიმიტრიევას როლში შეტად ორიგინალური იყო და საერთო აღტაცება გამოიწვია. ნატალიას ქმრის როლს პლატონ მიხაილიჩს თამაშობდა თვით რეჟისორი ლავროვსკი. მაღჩალინი კი საკმაოდ კარგად შეუსრულებია ოფიცერ ოლშევსკის.

<sup>20</sup> იგივე წყარო.

<sup>21</sup> გაზ. „Тифлиские Ведомости“ 1832 წ. № 3.

<sup>22</sup> გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1832 წ. № 2.

<sup>23</sup> უფრ „Вестник Европы 1875 წ. № 7.

<sup>24</sup> გაზ. „Тифлиские Ведомости“ 1832 წ. № 3.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკალოზუბის შემსრულებელი.“ ასეთი სკალოზუბები, — ამბობს რეცენზენტი, — შეიძლება თამამად ითქვას, არც ერთ საჯარო თეატრს არ ჰყოლია“.<sup>25</sup> თავადი რომანი ალექსანდრესე ბაგრატიონი თამაშობდა მას.

ზაგორეცის როლში გამოვიდა თბილისის გუბერნატორის ნათესავი ზავილესკი. კარგი იყო ხლესტოვაც. იგი შეასრულა ულამაზესმა ქართველმა ქალმა მარიამ ივანეს ასულმა ოზბელიანმა.

წარმოდგენის დასრულებისთანავე გაიმართა ბალი. სცენა და დეკორაცია აალაგეს. იგრილა მუსიკამ და ახალგაზრდობა ხალისით დაეწაფა ვალსს. მახურკა და ფრანგული კადრილები გაგრძელდა დამის ორ საათამდე.

„მე მოხუცი, — გადმოგვცემს დამსწრე, — ჭაბუკური გატაცებით ვუმზერდი, თუ როგორ სრიალებდა ქართველ ქალების თვალმომტაცე ფეხები კადრილში და როგორ იხატებოდა მათი მოქნილი ტანი ფრანგულ კადრილების ასრულებისას.

მუსიკა მათთვის შეთხზული იყო თურქულ და ქართულ სიმღერებიდან ტფილისის მკვიდრთათვის დაუვიწყარ კომპოზიტორ ი. ა. სოკოლოვსკის მიერ.

ვანშმის დროს გაისმა რუსული გუნდის ხმა. მომზიბლველმა ხმებმა ალტაცებაში მოიყვანა მსმენელები. ვანშმის შემდეგ კვლავ გაიმართა ცეკვა და დასრულდა დილის ხუთ საათზე“.<sup>26</sup>

გრიბოედოვის ქვრივი წინანდალში ყოფნის გამო ვერ დაესწრო წარმოდგენას.

იმავე წელს ნინო ალექსანდრეს ასულის ტფილისში დაბრუნებისთანავე „ვაი ჭკუისაგან“ მეორედ წარმოდგინეს.

სამწუხაროდ ავადმყოფობამ საშუალება არ მისცა ნინო ჭავჭავაძეს ენახა ეს დადგმა.

(გაგრძელება იქნება).

<sup>25</sup> იგივე წყარო.

<sup>26</sup> იგივე წყარო.

# ლიზიკაგუკული კალენდარი

## პიერ-ჟან ბერანჟე

მიმდინარე წელს 160 წელი შესრულდა ცნობილი ფრანგი პოეტის პიერ ბერანჟეს დაბადებიდან.

იგი დაიბადა 1780 წელს, 19 აგვისტოს, ქალაქ პარიზში, ბაბუას ოჯახში (დედის მხრივ). შვილის დაბადებას მამა არ დასწრებია, რადგან იგი ვალების გამო გაქცეული იყო ბელგიაში. პიერის მამა ნაკლებად ფიქრობდა ოჯახის ბედზე და შვილის მომავალზე. იგი გატაცებული იყო ბერანჟეთა გვარის არისტოკრატიული წარსულით და კარიერის შექმნის უაზრო ფიქრებით. ბავშვის აღზრდა თავს იღვა მკაცრმა, მაგრამ ოჯახისა და შრომისმოყვარულმა, ხელობით მკერვალმა ბაბუამ პიერ შამპიმ.

მცირე შეძლების მქონე ბაბუა შვილიშვილისადმი დიდ სიყვარულს იჩენდა. პატარა პიერ ბაბუას სახლში ნამდვილი „პატონი“ იყო, მისი კაპრიზები შამპის ოჯახში უსიტყვოდ სრულდებოდა. პატარა ბერანჟე შამპიმ პირველ დაწყებითი სწავლის მისაღებად მისი სახლის მახლობლად მდებარე ვაპროს სკოლაში მიიბარა. ვაპროს მოუწყობელ და უსუფთაო სკოლაში პიერს გული ეხუთებოდა, ხშირად გაკვეთილებს აკლდებოდა და სახლში ატარებდა დროს. ბაბუა სახლში პიერს ზღაპრებს უამბობდა, ხალხურ პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს უკითხავდა და რუსოსა და ვოლტერს აყვარებდა.

1790 წლიდან პიერის მამა უბრუნდება საკუთარ ოჯახს და შვილს აბატ შანტეროს პანსიონში აწყობს. მაგრამ იქ პიერს დიდხანს არ მოუხდა ყოფნა, რადგან მამამისი კვლავ ცუდად წაუვიდა საქმეები და აღარ ჰქონდა საშუალება პანსიონისათვის გადაეხადა საჭირო თანხა. ბაბუა პიერ შამპი ძლიერ ღელავდა პიერის სკოლის გარეშე დატოვებით, მაგრამ მასაც ავადმყოფობის გამო აღარ შეეძლო კვლავ ეკისრა შვილიშვილის აღზრდა. ამგვარად პიერი 1790 წელს სტოვეზს პანსიონის და მამის წერილით მიემგზავრება მამიდასთან, რომელიც საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ პერონში ცხოვრობდა და სასტუმრო „მეფის დაშნას“ განაგებდა. მამიდას არ სურდა ძმისწულის თავის კმაყოფაზე აყვანა. მაგრამ პიერის ბრწყინვალე და კეთილმა თვალებმა მალე გატეხეს მისი გადაწყვეტილება და პიერი დარჩა სასტუმრო „მეფის დაშნას“ ჯერ უბრალო ლაქიად, შემდეგ კი, მისი პატრონის საქმიან თანაშემწედ. პიერმა მამიდას წინაშე სულ მოკლე ხანში ნდობა დაიმსახურა, რისთვისაც საკმაოდ გამპყრახი ქალი მისდამი დიდ მზრუნველობას იჩენდა... მამიდა პიერს გრამატიკას ასწავლიდა, აკითხებდა რაბლეს, ვოლტერს, რუსოს, რასინს და მოლიერს. არითმეტიკაში ავარჯიშებდა და მხატვრობას აჩვენებდა.

ქვირვის მზრუნველობა მარტო ამით არ ამოიწურებოდა, მან თავისი პატარა ძმისშვილი ხელობის შესასწავლად ოქრომჭედელს მიიბარა. ოქრომჭედელთან პიერი დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ოქროს მოხელე სწავლების ნაცვლად ამბების თხრობით ართობდა მას.

ოქრომჭედლის სახელმწიფოდან გამოსული ბერანჟე ნოტარიუს ბალუდგ ბელანგლიზთან იწყებს მუშაობას. ნოტარიუსი დემოკრატიული იდეებით იყო გაუღენთილი და რევოლუციის მხარეზე იდგა. რესპუბლიკამ თავის აყვავების პერიოდში ბელანგლიზი მოსამართლე და საკანონმდებლო კრების წევრი გახადა. მოსამართლემ ქალაქ პერონში გახსნა სკოლა, რომელიც რესპუბლიკას ემსახურებოდა და რუსოს პედაგოგიური შეხედულებების საფუძველზე იყო აგებული. ამ სკოლაში ჩაირიცხა კეთილი ბელანგლიზის თაყვანისმცემელი ბე-

რანე. ბერანეემ თავის ნიჭით სულ მალე მიიპყრო უფროსების ყურადღება. პიერი იქ რესპუბლიკის საპატივცემულოდ მოწყობილ საზეიმო კრებებზე მკერმეტყველურ სიტყვებს ამბობდა, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა თავის სკოლის ამხანაგებიდან.

1795 წელს პიერის მამა ესტუმრა დას და უსაყვედურა შვილის იაკობინელების გზაზე დაყენება. ოცნებობდა ბურბონების დინასტიის აღდგენაზე, მას არ სურდა თავისი შვილი მონარქიის მტერი გამოსულიყო და რესპუბლიკის სამსახურში მომკვდარიყო.

პიერის მამა შვილს ხსნას ბელანგიზის სკოლის დახურვაში ხედავდა. რესპუბლიკის მტრებმა მართლაც დახურეს აღნიშნული სკოლა და ბერანე და მისი ამხანაგები სკოლის-გარეშე დასტოვეს. სკოლის გარეშე დაჩენილი ბერანე უფროსი მეგობრების დახმარებით სტამბაში იწყებს მუშაობას ასოთამწყობად.

1796 წელს, 16 წლის პიერი პერონს სტოვეებს და პარიზს უბრუნდება. პარიზში ბერანე მამის თხოვნით კომერციულ საქმეებს კიდებს ხელს და პირველ ხანებში დიდ ცოდნას და ინტერესს ამჟღავნებს.

რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მეორეჯერ დაპატიმრეს ბერანე მამა. როიალისტი მამის დაპატიმრებას ბერანეში არავითარი სულიერი მღელვარება არ გამოუწვევია. პიერი ადვილად შეურიგდა მამის გაკოტრებას და დაპატიმრებას, მხოლოდ მას აწუხებდნენ კრედიტორები, რომლებიც მამის ვალების პასუხისმგებლად ხდიდნენ.

ბერანე ამ პერიოდში მთელ დროს წიგნების კითხვას და ლექსების წერაში ატარებდა (ბერანეემ ლექსების წერა ადრე დაიწყო. როდესაც 1797 წელს პარიზის ლიტერატურულ აღმანახში პირველი ორი ლექსი „ორმაგი სიმთვრალე“ და „ჰო იყოს აგრე“ დაბეჭდა, იგი მაშინ 17 წლისა იყო).

1805 წელს საარსებო სახსრებს მოკლებულმა ბერანეემ თავის მდგომარეობის შესახებ ვრცელი წერილი გაუგზავნა იმპერატორის ძმას ლუსენ ბონაპარტეს. ლუსენ ბონაპარტემ, რომელიც აღარ თანაუგრძნობდა თავის ძმას, ბერანეს წერილს ყურადღებით მოეპყრო. ლუსენსა და ბერანეს შორის მტკიცე, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ლუსენი მატერიალურ დახმარებას უწყევდა პოეტს, რითაც საშუალება ეძლეოდა განეგრძო შემოქმედებითი მუშაობა. პარიზის სალონებში ევლო და მწერალთა საზოგადოებას გასცნობოდა.

სალონებში სიარულის დროს ბერანე გაეცნო შატობრიანის „ჭისტიანულ სულს“. ამ წიგნმა დიდად გაიტაცა ახალგაზრდა ბერანე და ცოტა ხნით ჰეშმარიტი კათოლიკეც კი გახდა.

1809 წელს ბერანე მუშაობას იწყებს პარიზის უნივერსიტეტის კანცელარიაში ექსპედიტორის თანამდებობაზე.

1809 — 1812 წლებში ბერანე შემოქმედებითი გზების ძიებაშია. შემოქმედებითი სტილის დიდი ძიების შემდეგ პიერის ფანტაზია და მუზა ლირიკულ პოეზიის ფორმაში მოექცა.

1812 წლიდან ბერანეს შემოქმედებაში აყვავების პერიოდი იწყება. წერს მთელ რიგ ლექსებს, რომლებიც ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ხელიდან ხელში გადადიოდა და ვრცელდებოდა ხალხის ფართო მასებში.

წერილობურუჟახიული დემოკრატია ბერანეს ლექსებში თავის მომავალ დიდ პოეტსა და პოლიტიკურ ფიგურას ხედავდა, რისთვისაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს მისი ლექსების გავრცელების საქმეს.

1813 წელს ფართოდ გავრცელდა ბერანეს ხელნაწერი ლექსი „მეფე ივეტო“. ეს მწარე სატირა იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეზე პირველად 1814 წელს ლიტერატურულ კრებულში „საფრანგეთის ეპიკურში“ დაიბეჭდა. იმპერატორს ძლიერ უკვირდა, თუ რატომ მოხდა მისი ასეთი კრიტიკა პოეტთა ქვეყნიდან. ნაპოლეონ პირველს პოეტის წინააღმდეგ არავითარი ზომები „არ მიუღია“, მხოლოდ მისმა პოლიციამ აღრიცხვაზე აიყვანა პოეტი და როგორც საშიში პიროვნება საიდუმლო წიგნში ჩასწერა იგი.

ბერანე 1813 წელს უახლოვდება ბოჰემის პოეტებს და მათთან ერთად „სარდაფში“ ატარებს დროს. ბერანე „მეფე ივეტოს“ დაბეჭდვის შემდეგ ბოჰემის პოეტებმა თავის საზოგადოების „სარდაფის“ წევრად აირჩიეს. არჩევა დიდი ზეიმით ჩატარდა, მიუხედავად ამისა ბერანე დიდხანს არ შერჩენია „სარდაფს“, რადგან მათ შორის ვერ დამყარდა მტკი-

ცე კავშირი, პირიქით, ლექსით „ჯამბუზები“ მან საბოლოოდ გასწყვიტა მათთან კავშირი და ურთიერთობა.

ამის შემდეგ იგი სწერს ლექსს „გალი და ფრანკ“, რომელიც სწრაფად გავრცელდა ხალხში.

1815 წლის დეკემბერში პიერ ჟან ბერანემ გამოსცა თავის ლექსების პირველი კრებული.

1816 წლიდან ბერანეს ნიქი და ლექსები საქვეყნოდ ცნობილი ხდება... მისი ლექსები მოედო მთელ საფრანგეთს, მის ლექსებს მღეროდნენ საფრანგეთის ყველა კუთხეში.

1818-19 წლამდე ბერანე თანამშრომლობს ოპოზიციურ ჟურნალებში, სადაც ბეჭდავს თავის ცნობილ ლექსებს: „მისიონერები“, „საფრანგეთის ბავშვები“ და სხვა.

1821 წელს გამოვიდა ბერანეს ლექსების მე-2 წიგნი. ამ წიგნში მეფის სასამართლომ უზნეო და ანტი-სახელმწიფოებრივი ლექსები აღმოაჩინა, რისთვისაც ავტორს 3 თვე ციხე და 500 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა.

1825 წელს გამოვიდა ბერანეს ლექსების მე-3 წიგნი. მთავრობამ ამ წიგნშიც დაინახა წინა „შეცდომების“ რეციდები. მას სურდა „ძველი სერჟანტი“ და „გალის მონების“ ავტორი კვლავ პასუხისგებაში მიეცა, მაგრამ ხმაურს მოერიდა.

1828 წლის 15 ოქტომბერს გამოდის ბერანეს ლექსების მე-4 წიგნი.

კრებულის გამოცემისთანავე ბერანეს მეგობრები უკვე გრძობდნენ, რომ საქმე სასამართლოს გარეშე არ დამთავრდებოდა. მართლაც 1828 წელს 10 დეკემბერს პოეტი წარადგინეს სასამართლოს წინაშე, ახლა ბრალდებოდა რელიგიის აბუჩად აგდება, მეფის პიროვნების შეურაცყოფა და ხალხის ამხედრება ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბრალდებლო აქტის დამტკიცების შემდეგ სასამართლომ ბერანეს 10 თვის ციხე და 10000 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა. ჯარიმა მისმა მეგობრებმა მაშინვე გადაიხადეს, ხოლო 10 თვე პოეტმა ლაფორსის ციხეში გაატარა. აქ ბერანეს ნახულობდნენ მისი მომდევნო ახალგაზრდა მწერლები და პოეტები, შემდეგ ცნობილი ვ. ჰიუგო, ა. დიუმა და სხვები. ლაფორსის ციხეში პოეტმა დასწერა „კარდინალი და პოეტი“ და „ათი ათასი ფრანკი“. ამ ლექსებში პოეტი კვლავ მწარედ დასცინის თავის მტრებს და კლერიკალებს.

როცა საფრანგეთის ტახტზე ავიდა ლუი ფილიპე, ბერანეს მეგობრებს მან სამინისტროს პორტფელები არაგუნა. ბერანესაც განათლების მინისტრის პორტფელი შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ბერანეს არ სურდა პატრიოტული გრძობები და თავისუფლება ლუი ფილიპეს სამინისტროს კედლებში ჩაეკლა და ხალხის სიყვარული „ბურჟუა მეფის“ სამსახურში ეგრძნო.

1830 წელს ბერანემ გამოსცა თავისი ნაწერების სრული კრებული. იგლისის მონარქიის შემდეგ ბერანე დიდი ხნით სტოეებს პარიზს და პროვინციებში ატარებს დროს. სოფელში ბერანეს დაანახვა გლეხების უმწეო და აუტანელი მდგომარეობა, რაც 1833 წელს აიძულებს მას დასწეროს ლექსი „უაკი“, ლექსი „მოხუცი მაწანწალა“ სოციალურ მოტივებზე არის აგებული. ამ ლექსში მოცემულია ბერანეს რეფორმისტული იდეები და მისი საგანმანათლებლო პოლიტიკა. იმხანად ბერანეს ძლიერ აწუხებდა „მარსელიოზის“ ავტორის ბედი. მან გულითადი დახმარება გაუწია რუჟე დე ლილს და იხსნა იგი მევალეთა ციხიდან.

1848 წლის რევოლუციამ არ დაივიწყა თავისი პოეტი და ნაციონალური კრების წევრად აირჩია იგი.

1857 წელს ბერანემ თავის ანდერძში დამატებით ჩასწერა, რომ იგი უსიტყვოდ და უხმაუროდ დამარხათ სამშობლოში.

1857 წლის 16 ივნისს სამუდამოდ შესწყვიტა სიცოცხლე ადამიანისა და თავისუფლების მოყვარულმა დიდმა პოეტმა.

**მლადინოზა ჯიუზტი.**

## ლიმიტრი ზაქარიასძე ბაქრაძე

1890 წლის 23 (10) თებერვალს ქ. ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი ზაქარიასძე ბაქრაძე.

ის დაიბადა 1827 წლის 8 აპრილს ს. ხაშში (გარეკახეთი), მღვდლის ოჯახში.

მამამისს ყოლია სულ ხუთი ვაჟი და ორი ქალი. ამათგან მესამე შვილი ყოფილა ჩვენის ისტორიკოსი.

მამამ პატარა დიმიტრი მიაბარა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში იმერეთიდან გადმოსულ გერასიმე ბერს. დიმიტრიმ სახლში შეისწავლა ქართული წერა-კითხვა მამისგან. მას პატარაობიდანვე გამოუჩენია სწავლაში უდიდესი სიბეჯითე და ნიჭი.

ცხრა წლის დიმიტრი, მამამ მონასტრიდან წაიყვანა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან ოთხი წელი დაჰყო, აქედან კი გადაიყვანეს საეკლესო ხარჯით სემინარიაში და ჩაირცხეს საექსარხოსო მგალობელთა შორის.

სემინარიაში იგი ხუთ წელიწადს სწავლობდა, რის შემდეგაც გაგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. სასულიერო აკადემია დაამთავრა 1850 წელს, ხოლო 1851 წელს მიიღო კანდიდატობის ხარისხი.

დიმიტრი ბაქრაძეს, რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივმა სასულიერო მართვებლობამ შეაძლია მღვდლობა, მაგრამ მან უარი განაცხადა და არ მოისურვა საეკლესიო მოღვაწეობისთვის მიეყო ზელი. ეს გარემოება არ ესიამოვნათ მაშინდელ მმართველებს, ამიტომ პირველ ხანებში არსად არ მუშაობდა. იგი განიცდიდა ეკონომიურ გაჭირვებას. ამის გამო დიმიტრი ბაქრაძე შევიდა სინოდის კანტორაში შტატგარეშე სამსახურში.

ამ პერიოდში დიმიტრიმ რამდენიმე წერილი დაბეჭდა რუსულად, რითაც მიიპყრო მაშინდელი სწავლა-განათლების მზრუნველის სემიონოვის ყურადღება.

1851 წლის 11 აპრილს დიმიტრი ბაქრაძე, სემიონოვმა დანიშნა მასწავლებლად გორის სამაზრო სკოლაში, სადაც მუშაობდა 1857 წლამდე, რის შემდეგაც, თანახმად თავისი თხოვნისა, გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

1858 წელს დიმიტრი ბაქრაძე დანიშნულ იქნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან განსაკუთრებულ მოხელედ, უჯამაგიროდ.

გუბერნატორის მინდობილობით იგი პირველად შეუდგა სენათის სტატისტიკურ, ისტორიულ და არქეოლოგიურ აღწერას კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის.

დიმიტრი ბაქრაძემ ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა, რამაც ხელი შეუწყო დაფართო გზა გაუხსნა მის მომავალ, მრავალნაყოფიერ მოღვაწეობას საისტორიო და საარქეოლოგიო ასპარეზზე.

1862 წელს დიმიტრი ბაქრაძე ჩაირიცხა კავკასიის მთავარმართებლის უმთავრეს გამგეობის უწყებაში.

1864 წელს მთავარმართებლის ბრძანებით დანიშნულ იქნა „კავკასიაში მართლმადიდებლობის გამაგრებლებელ საზოგადოების“ წევრად, და გაგზავნილ იყო სამრეწველო სკოლების დასათვალისწინებლად, სამხრეთ-ოსეთში, თიანეთსა და ზაქათალის მხარეში.

1865 წელს დათვალისწინდა იმავე საზოგადოების სკოლები ახალციხის მხარეს, სამურზაყანოში, აფხაზეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში.

1868 წელს დანიშნა ტფილისის სამოსამართლო პალატის მდივანად და 1872 წელს თავისი სურვილით დაანება თავი სამსახურს.

1872 წელს დანიშნულ იქნა აღმოსავლეთის ენების ცენტრის თანაშემწედ. 1873 წელს სამეცნიერო აკადემიის დავალებით, დიმიტრი ბაქრაძემ მოიარა აქარა-ქაბულეთი-გურია და აღწერა იგი ისტორიულ-არქეოლოგიურად და გეოგრაფიულად, შემდეგ ეს შრომა „Археологическое путешествие по Гурии и Адчаре“ 1878 წელს დაიბეჭდა სამეცნიერო აკადემიის შრომებში და ცალკე გამოიცა.

1879 წელს თავმჯდომარედ დანიშნეს იმ კომისიაში, რომელსაც უნდა გამოერკვია გვარეულობათა და ადგილ-მამულთა კუთვნილება ზაქათალის მხარეს. გაგზავნილ იქნა აგრეთვე ბათუმის დროებით დადგენილ საადგილ-მამულო კომისიაში.

1879 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ, დიმიტრი ბაქრაძე აირჩია თავის წევრ-კორესპონდენტად.

1883 წელს დიმიტრი ბაქრაძე თავმჯდომარედ იქნა დანიშნული შემდეგი კომისიის: „Комиссия для окончания сословно-подземельного вопроса в частях кавказского края военно-народного управления“.

1888 წელს მთავარმართებლის ბრძანებით დიმიტრი ზაქარაძემ ბაქრაძე გაგზავნილ იქნა სტამბოლს, რომ გადმოეღო სათანადოდ შემოწმებული პირობი სიგელ-გუჯრებისა, რომლებიც შეეხებოდნენ ბათუმისა და ართვინის მხარის ადგილ-მამულის მფლობელობას, რაც შესრულებულ იქნა იმავე წელს.

დიმიტრი ბაქრაძეს მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში უხდებოდა მძიმე მუშაობა სახელმწიფოებრივ სხვადასხვა თანამდებობის პრაქტიკულ საქმიანობის შესრულებაში.

წარსული საუკუნის შავბნელ პერიოდში მოუხდა დიმიტრი ბაქრაძეს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა. მაშინდელი გაბატონებული სახელმწიფოებრივი წრეებისთვის სრულიად მიუღებელი იყო დიმიტრი ბაქრაძის ეროვნული თვითშეგნებისათვის საბრძოლო მოღვაწეობა, სამშობლო ქვეყნის ისტორიის წარსულის კვლევაძიების მრავალმხრივ ნაყოფიერი მუშაობა.

მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, უანგარო შრომის მოყვარე, სამშობლო ქვეყნის დიდი პატრიოტი, მეცნიერული კვლევაძიების ცოდნით შეიარაღებული დიმიტრი ბაქრაძე დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა და მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა საქართველოს წარსულის მეცნიერულ ძიებას.

დიმიტრი ბაქრაძე ისტორიის შესწავლისათვის სწავლობდა და იკვლევდა არქეოლოგიურ ნაშთებს, სხვადასხვა ისტორიულ ძეგლებს, ძველ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტებს.

მან მოიარა, დაათვალიერა და შეისწავლა მთელი საქართველო.

დიმიტრი ზაქარაძემ ბაქრაძის მრავალნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაბეჭდილი და გამოცემული იქნა უურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებად, რუსულად და ქართულად, შეტად საყურადღებო მეცნიერული შრომები საქართველოს წარსული ისტორიიდან ძვირფასი არქეოლოგიური ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობებით.

დიმიტრი ბაქრაძის რედაქტორობით განმარტებული და შევესებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით გამოცემულია ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ და სხვა მრავალი შრომანი.

დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ-მეცნიერულ მემკვიდრეობას და მის საზოგადოებრივ ღვაწლს სათანადო ადგილი უკავია საქართველოს ისტორიის მეცნიერულ საგანძურში:

**შალვა გოჯალიშვილი**

# იბერიობრათია

დავით სულიაშვილი: „მეორე დღე“, რომანი. ფედერაცია, 1940 წ.

1905 წლის რევოლუციაზე, მის შემდეგ წლებზე და განსაკუთრებით გამათავისუფლებელ მოძრაობაზე ქართულ ლიტერატურაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება მხატვრული ნაწარმოებები. ასეთ წიგნებს შორის სარეცენზიო ნაწარმოები, რომელიც გვისახავს 1907-8 წლებში რევოლუციურ მოძრაობას და პარტიულ ცხოვრებას, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ძირითადად რომანი საგნებისა და მოვლენებისადმი სწორი მიდგომითაა დაწერილი. ყოველი მოქმედი პირი პოლიტიკურად მკვეთრად ჩამოყალიბებულია და მისი სიტყვა და საქმე განსაზღვრულ კალაპოტშია მოქცეული. ნაწარმოებში კარგად არის ასახული ბოლშევიკების კლასობრივი პრინციპულობა, გმირობა და თავდადება, ძალა და შეუპოვრობა მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში და მენშევიკების მერყეობა, ორჭოფობა, დაცემულობა, კრიტიკულ მომენტში ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა, მუშათა კლასისადმი მოღალატეობა. რეაქციის პირველსავე დღეებში მენშევიკებს ეუფლებათ ლიკვიდატორული განწყობილება, რენეგატულ გზას ადგებიან, ილაშქრებენ არალეგალური პარტიული მუშაობის წინააღმდეგ და თავს აფარებენ თბილ ადგილებს. ყოველივე ეს ნაწარმოებში მოცემულია მხატვრული დამაჯერებლობით.

რომანის სუბიექტური მშენებლობა კარგადაა მოფიქრებული. მოქმედების კვანძები და კოლიზიები ბუნებრივად და კანონზომიერად ვითარდება და იხსნება. რომანი იშლება ბოლშევიკ პარტიულ მუშაკის ლევან ყაზიშვილის გადასახლებიდან გამოქცევით და ტფილისში დაბრუნებით.

ნაწარმოებში ბელადის — სტალინის სახე, მისი ხელმძღვანელი როლი რელიეფურად და ოსტატურად არის ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს იგი მოქმედ პირად არ გამოყავს, თქვენ ყველგან გრძნობთ მის ხელმძღვანელ როლს. პარტიულ წრეებში ბელადის შესახებ ხშირად ლაპარაკობენ, ყველანი მას ემყარებიან, მისგან ლებულობენ მითითებებს და დირექტივებს, მუშაობენ მისი მითითების მიხედვით. ბელადის მითითება-დირექტივები ყოველთვის სწორი და მიზანშეწონილია. პარტიულ მუშაკთა მასებს კარგად ესმით ეს, მას განუხრელად ატარებენ და დიდ გამარჯვებასაც აღწევენ. ეს, ის დროა, როდესაც სტალინი ბაქოში ეწევა პარტიულ მუშაობას და იქიდან ხელმძღვანელობს ტფილისის ორგანიზაციის მუშაობას.

ნაწარმოებში საინტერესოდ არის ჩართული რომანიული ხაზი. ლევან ყაზიშვილის რომანი ქეთოსთან აძლიერებს ნაწარმოების მხატვრულ ეფექტიანობას. ლევანი ასევე არ არის, ის თავისი ეპოქის ცოცხალი ადამიანია, აქედან გამომდინარე ყველა თვისებებით. ლევანს სიყვარული მესჩანურად და შაბლონურად არ ესმის და არც მონა არის ამ გრძნობისა. ის სწორედ უდგება და სწორადვე სწყვეტს ქეთოსთან დამოკიდებულების საკითხს. ლევანი კი არ ექცევა წვრილბურჟუაზიულ მეშინურ წრიდან გამოსულ ქეთოს გავლენაში, არამედ პირიქით, ლევანის ზეგავლენით ქეთო ხდება ერთგული და თავდადებული პარტიული მუშაკი. კარგად და მხატვრულად არის ნაჩვენები ქეთოს მიამიტური გულუბრყვილა და გულწრფელა სიხარული და აღფრთოვანება პარტიისაგან პირველი დავალების შესრულებით გამოწვეული. რომანის პირველი წიგნი იმით თავდება, რომ ლევანს აპატიმრებენ და ქეთო პარტიულ მუშაობაში აქტიურად ებმება.

რომანში უეჭველად დამაჯერებლად არის ნაჩვენები კონსპირატიული პარტიული მუშაობის დეტალები, არალეგალური სტამბის შექმნა და მოწყობა, ქუჩაში მზეერავ შპიკე-



ზედან თავის დაძვრენა, პროკლამაციების ოსტატურად გავრცელება, ჯაშუშების აღმოჩენა და მათთან ბრძოლა და სხვ. ასევე ითქმის კონფერენციის მომზადების, ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ბელადის ჩამოსვლის და თვით კონფერენციის ჩავარდნის შესახებ. რომანში საინტერესო ტიპია აგრეთვე სტალინის პარტიული მუშაობის სკოლაში აღზრდილი სომეხი ბოლშევიკი სურენი. სურენის ტიპი ავტორს გაკეთებული აქვს დიდი სიყვარულით და გულწრფელობით. სურენს შეაქვს ნაწარმოებში მრავალფეროვნება და აძლიერებს მის სუფეტურ აღნაგობას.

სარეცენზიო ნაწარმოებს ამ ღირსებებთან ერთად ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი. მასში მრავლად მოიპოვება სტილისტური და მხატვრული ლაპსუსები, მრავალი კორექტურული შეცდომა ზოგჯერ შინაარსობრივად აბუნდოვანებს აზრს (მაგ.: ექსების ნაცვლად ლექსი). მხატვრული სახეებისა და შედარებების ხმარების დროს ავტორი ყოველთვის არ იცავს სიზუსტეს. სახეებისა და შედარებების თავისუფალი ხმარება იწვევს უსწორობასა და ბუნდოვანებას. მაგ.: „შავი ლოყები აწითლებულიყვენ“, „ტკბილი სითხე სხეულში სრიალებდა“; მეორე ადგილას ამავე გრძნობის გამოსახატავად სწერია: „ცივი სითხე სხეულში ცურავდა (ლაპარაკია სიყვარულის განცდაზე)“ და სხვ.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, ეს წიგნი დავით სულიაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. როგორც სჩანს ავტორს მოფიქრებული აქვს რეაქციის ეპოქა აგვისახოს მთლიანად და სარეცენზიო ნაწარმოები ამ დიდ და ფართო ტილოს პირველ წიგნს წარმოადგენს.

**გ. მებუკე.**

**1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გაგზავნის  
ყოველთვიურად**

**ხელის მოწერის პირობები**

წლიურად . . . . . 18 მან.  
ნახევარი წლით . . . . . 9 „  
ცალკე ნომერი . . . . . 1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩა-  
ტის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

**ჩაღატყიის მისამართი:**

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

h 553  
1940

ფასი 1 ლ. 50 კ.

ქ. ბერი  
ქ. ბერი  
ქ. ბერი  
ქ. ბერი  
ქ. ბერი

ქ. ბერი  
ქ. ბერი  
ქ. ბერი  
ქ. ბერი

(1866 - 1933 წ.)

(8 წელი)



Ежемесячный журнал

„**ЧВЕНИ ТЛОБА**“

Сахелгами 1940 г. Тбилиси